

## **დავით დემეტრაშვილი**

**მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენების ეფექტიანობის  
კვლევა საგზაო სამოსების კონსტრუქციებში**

**წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, 0175, საქართველო  
აპრილი, 2012 წელი**

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დავით  
დემეტრაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს  
დასახელებით: „მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენების ეფექტიანობის  
კვლევა საგზაო სამოსების კონსტრუქციებში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და  
მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის  
განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი -----

ხელმძღვანელი: ალექსი ბურდულაძე  
სრული პროფესორი

---

რეცენზენტი: თამაზ შილაკაძე, ტ.მ.დ. საერთაშორისო  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

---

რეცენზენტი: თამაზ ჭურაძე, ტ.მ.დ, სრ. პროფესორი

---

ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი:

---

მანანა მოისწრაფიშვილი,  
ასოც. პროფესორი

---

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2012 წელი

ავტორი: დავით დემეტრაშვილი

დასახელება: მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენების  
ეფექტიანობის კვლევა საგზაო სამოსების  
კონსტრუქციებში

ფაკულტეტი: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: -----

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ  
ზემოთმოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით  
მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და  
გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ  
უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც  
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან  
სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი  
ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო  
უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა  
ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ  
მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია  
სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს  
პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

თემის აქტუალობა ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მწყობრიდან ნახევარ მღწ. ტონამდე სალტე (ავტომობილის საბურავი) და სხვა რეზინგექნიკური ნაკეთობა გამოდის. ნარჩენების მოხმარების დონე ბოლო 5 წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ გაიზარდა და შეადგენს არა უმცირეს 5%-ს მთელი მარაგიდან. გაცვეთილი სალტეების მოცულობის ნაზარდი წელიწადში დაახლოებით 3%-ს შეადგენს, ე.ი. მათი დაგროვება მუდმივად მიმდინარეობს. ნარჩენების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით რეზინის ძვირფასი საახებისგან დარჩენილი, წლების განმავლობაში ინახება საწყობებში, ნარჩენების დანარჩენი ნაწილი კი უკეთეს შემთხვევაში ექვემდებარება დამარხვას ან დაწვას, როთაც გარემოს მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ზიანი ადგება.

გაცვეთილი საავტომობილო სალტეების უტილიზაციის ეპოლოგიური პრობლემა მწვავედ დგას მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, კერძოდ: გერმანიაში, იაპონიაში, აშშ-ში, სადაც უტილიზაციას დაქვემდებარებული ძველი სალტეების ყოველწლიური მოცულობა მილიონობით ტონას შეადგენს. გაცვეთილი სალტეების და უტილის რეზინ-ტექნიკური ნაკეთობების ეფექტიანი გადამუშავების პრობლემა ჯერ კიდევ არა გადაჭრილი.

ნარჩენების დაწვრილმანება (დაქუცმაცება) გადამუშავების ყველაზე მარტივ და რაციონალურ ხერხადაა აღიარებული, ვინაიდან იძლევა რეზინის ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებების მაქსიმალური შენარჩუნების საშუალებას. მაგრამ სწორედ ნაფხვენის ეკონომიკურად ეფექტიანი გამოყენების საბოლოო სტადია წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას რეზინის ნარჩენების სრული რეციკლინგის პრობლემის გადაჭრაში.

განხილული ფაქტებიდან ლოგიკური დასკვნა იქნებოდა გვეცადა გადაგვჭრა რეზინის რეციკლირებისა და ბიტუმის შემკვრელების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა, ერთმანეთთან კავშირში.

აღნიშნიშნული პრობლემის გადაწყვეტაზე მსოფლის მრავალ ქვეყანაში მუშაობენ. დღეისათვის შემუშავებულია რეზინის ასფალტბეტონის ნარევებში პირდაპირი შეყვანის, საგზაო-სამშენებლო მასალებში რეზინის ნაფხვენის შემავსებლის სახით გამოყენების უამრავი ტექნოლოგიური სქემა. აშენებულ იქნა ასობით გზის ექსპერიმენტული მონაკვეთი, ხიდებისა და აეროდრომების საფარი, რომლებიც თავიდან მაღალი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მაჩვენებლებით ხასიათდებოდნენ, მაგრამ შემდგომში სწრაფად იშლებოდნენ.

ამრიგად, საგზაო მშენებლობაში რეზინის ნარჩენების გამოყენების უარყოფითმა გამოცდილებამ მოახდინა საგზაო მასალებში რეზინის გამოყენების იდეის კომპრომენტირება საგზაო სპეციალისტების თვალში.

ცხადია, რომ საკვანძო რგოლად, რომელიც მოგვცემს აღნიშნული კომპლექსური პრობლემის ცალკეული ნაწილების დაკავშირების და დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას, უნდა იქცეს რეზინის ნარჩენების ნავთობის ბიტუმებთან შეერთების ტექნოლოგია, რომელიც გაითვალისწინებდა მიმდინარე პროცესების მთელ სირთულეს. თანაც ამოცანა უნდა გადაიჭრას გზის საფარის აუცილებელი და საკმარისი

პარამეტრებიდან გამომდინარე ასეთი ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად უნდა იქნეს კონსტრუირებული და მიღებული შემკვრელი მასალები, რომლებმაც შესამჩნევად და რაც მთავარია ხანგრძლივად უნდა აუმჯობესებდნენ გზების ასფალტბეტონის საფარებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი რეზინის ნარჩენების უტილიზაციის პრობლემის ეკონომიკურად და ტექნიკურად ეფექტური გადაჭრა.

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ რეზინისგან მიღებულ წერილდისპერსულ ( $<0,5\text{მ}$ ) ნაფხვენს, როგორც ბიტუმების მოდიფიკატორებს, გააჩნია უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები.

დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებით, ფორმულირებული იქნა ზოგიერთი ძირითადი ზოგადი მოხთოვნა ახალი ტექნოლოგიისადმი:

- ის უნდა იყოს უფრო მარტივი, ეფექტური და ეკონომიკური არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით.
- ბიტუმების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესების გარდა, ის უნდა აუმჯობესებდეს შემკვრელი მასალის ადჰეზიურ თვისებებს და მის მდგრადობას დაძველებისადმი გარემოს აგრესიული ფაქტორების მოქმედების ქვეშ. ჩვენი აზრით, სწორედ ამ თვისებების კომპლექსია განმსაზღვრელი საგზაო ასფალტბეტონის საფარების ხარისხისა და ხანგამდლეობის ამაღლებისათვის.
- ასფალტბეტონების საფარების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებების გაზრდა მოდიფიცირებული ბიტუმები გმოყენებით.
- ბიტუმები მოდიფიცირების ტექნიკურ-ეკონომიკურად ხელსაყრელი მეთოდების დამუშავება, რომლითაც მიიღწევა ასფალტბეტონის საგზაო ფენილების მაღალი საექსპლუატაციო მაჩვენებელი ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**გამოკვლევის საგანია:** ბიტუმების მოდიფიცირების ტექნიკურ-ეკონომიკურად ხელსაყრელი მეთოდების დამუშავება, რომლითაც მიიღწევა ასფალტბეტონის საგზაო ფენილების მაღალი საექსპლუატაციო მაჩვენებელი ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**დისერტაციის მიზანს წარმოადგენს:** საგზაო მშენებლობისათვის მოდიფიცირებული ბიტუმების მიღების მეთოდების სრულყოფა, სხვადასხვა დანამატებით მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენების არეალის გაზრდა, რეზინის ნარჩენების საგზაო მშენებლობაში გამოყენების რაციონალური მეთოდების დამუშავება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დისერტაციაში დასტული და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:

- ჩატარებულია ანალიზი და ჩამოყალიბებულია პრობლემები, რომელიც თან ახლავს სხვადასხვა მეთოდებით მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენებას საგზაო მშენებლობაში;
- შესწავლიალია და თეორიულად დასაბუთებულია ორგანული შემკრავი მასალების მოდიფიცირების უპირატესობა რეზინის ნარჩენების გამოყენებით;
- დამუშავებულია ის მიდგომები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოდიფიცირებული ორგანული შემკრავი;

- ჩატარებულია მიღებული შედეგების საცდელ-საწარმოო გამოკვლევა;
- ჩატარებულია შემოთავაზებული ტექნოლოგიის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება.

**სამეცნიერო სიახლე.** წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდგომში:

- დასაბუთებლია ორგანული შემკრავი მასალების წერილად დისპერსირებული რეზინის ნარჩენებით მოდიფიცირების უპირატესობა;
- დამუშავებულია სხმული და ლორდ-მასტიკოვანი ასფალტბურნების მიღებისა და გამოყენების მეთოდები რეზინით მოდიფიცირებული ორგანული შემკრავების საფუძველზე;
- ბიტუმ-რეზინის კომპოზიციურ შემკვრელიზე დამზადებული ასფალტბეტონების გამოყენების არეალი.

**სამუშაოს პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდგომში:**

- გაზრდილია ბიტუმ-რეზინის კომპოზიციურ შემკვრელზე დამზადებული ასფალტბეტონების გამოყენების არეალი;
- ჩატარებულია მოდიფიცირებული ბიტუმის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, ეკოლოგიური ეფექტურობის გათვალისწინებით.

## Abstract

**Topicality of the issue.** Half a million tons of rubber (auto-tire) and other rubber-technical products comes out of action every year in our country. The level of residue recovery in the course of last 5 years is significantly increased and comprises no more than 5% from total reserves (stock). The increase in worn-out tires volume equals to approximately 3% per year, i.e. their accumulation occurs permanently. The certain part of the residues, especially those remained from expensive kinds of rubber, is kept in the storages for years, while the other part of the residues at the best case experiences dumping or burning, that inflicts important and long-term harm to the environment.

The environmental problem of worn-out auto-tires utilization is especially acute in the most developed countries worldwide, namely in Germany, Japan, USA, where annual volume of old tires pertained to utilization comprises of million tons. The problem of effective treatment of worn-out tires and waste rubber-technical products still is not solved.

Braking-up (disintegration) of the residues is recognized as the most simple and rational method of treatment, since allows to preserve to the maximum extent physical-mechanical and chemical properties of the rubber. Though namely the last stage of economically effective application of the crumb is a key obstruction to the solution of the problem of rubber wastes' full recycling.

Proceeding from the discovered evidence it would be logical to try to solve the problems of rubber recycling and improvement of bitumen binding materials' quality in relation to each other.

The work on the solution of mentioned problem is carried out in many countries worldwide. Today plenty of process scheme are elaborated concerning direct addition of the rubber in the asphalt concrete mixture and application of rubber crumb in road construction materials as of filler. Hundreds of experimental road sections, bridge and aerodrome pavement are constructed, which have been distinguished by high transport and operation parameters at the start, but were rapidly worn out hereafter.

Therefore, the negative experience of rubber wastes application in the road construction compromised the idea of rubber use in road materials in the eyes of road specialists.

It is clear that the key aspect that will allow us to connect the particular parts of mentioned complex problem and to solve the assigned task should be the technology of rubber wastes' binding with oil bitumen that would foresee the whole complexity of current processes. At the same time this task should be accomplished based on the necessary and sufficient parameters of the road carpet. As a result of the application of such technology the binding materials should be designed and received, which should improve asphalt concrete road carpets noticeably and, the most important thing, for a long time. Only in this case is possible to find economically and technically effective solution of the problem of rubber wastes utilization.

The analysis of data obtained by us shows that finely dispersed (<0,5mm) crumb (received from rubber) as bitumen modifier has the huge potentiality.

With the use of accumulated experience and knowledge have been formulated some basic general requirements to the new technology:

- it should be simple, effective and cost-effective in comparison with current technologies;

- except for the improvement of bitumen's physical and mechanical properties, it should improve adhesive properties of the binding material and its ageing resistance under the influence of aggressive environmental factors;

In our opinion namely the following complex of properties is crucial for improvement of quality and durability of asphalt concrete road carpets:

- improvement of asphalt concrete road carpets properties with the use of modified bitumen;
- elaboration of technically and economically profitable methods of bitumen's modification, as a result of which the high operating parameters will be achieved during the whole time of their exploitation.

**The research subject is:** the elaboration of technically and economically profitable methods of bitumen's modification, as a result of which the high operating parameters will be achieved during the whole time of their exploitation.

**The objective of the thesis work is:** the perfection of methods of modified bitumen's receipt for road construction, expansion of area of modified bitumen's application, elaboration of rational use of rubber wastes in the road construction. In order to accomplish this objective the following tasks has been assigned and solved in the thesis work:

- the analysis is carried out and problems are defined that accompany the application in road construction of bitumen modified by different methods;
- the advantage of organic binding materials modification with the use of rubber wastes is studied and theoretically substantiated;
- those approaches are elaborated, which should be satisfied by modified organic binding materials;
- pilot-productive research of obtained results is carried out;
- technical and economical assessment of the offered technology is carried out.

**Scientific novelty.** The scientific novelty of the represented thesis work is as follows:

- the advantage of organic binding materials modification by finely dispersed rubber wastes rubber wastes is substantiated;
- the methods of receipt and application of poured asphalt concrete and broken stone-mastic asphalt concrete on the basis of rubber-modified organic binding materials are elaborated;
- the sphere of application of asphalt concretes manufactured on the basis of bitumen-rubber composite binding material is determined.

**The practical importance of the work is as follows:**

- the sphere of application of asphalt concretes manufactured on the basis of bitumen-rubber composite binding material is expanded;
- the calculation of economic indexes of modified bitumen's application is carried out, by taking ecological efficiency into account.

## შინაარსი:

შინაარსი:.....	ix
ცხრილების ნუსხა .....	x
ნახაზების ნუსხა.....	xii
შესავალი.....	13
1. საქართველოში საავტომობილო გზების განვითარების პერსპექტივები .....	22
2. საგზაო საფარის მოვლა – შენახვის თანამედროვე ტექნილოგიები .....	28
2.1. სლარი საფარები .....	31
2.2. მიკროსურფეისინგი (ზედაპირის მიკროპროცესირება) .....	33
2.3. მასალების და ნარევის რეცეპტურის შერჩევა დაბალი ტექნიკურის პირობებში დაგებისათვის .....	34
2.3.1 ემულსიები .....	34
2.3.2. ქვის მასალა .....	37
3. თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა .....	41
3.1. ორგანული შემკვრელი მასალების ქიმიური შედგენილობა და სტრუქტურა .....	41
3.2 ორგანული შემკვრელი მასალების რეოლოგიური თვისებები .....	50
3.3 ტექნიკურის გავლენა ორგანულ შემკვრელ მასალებზე .....	61
3.4. მოდიფიცირებული ბიტუმის ქვის მასალასთან მიკვრა და პოლარობა .....	63
3.5 მოდიფიცირებული შემკვრელი მასალების დაძველება და მათი სტაბილურობის ზრდის მეთოდები .....	69
3.6 დანამატები და მათი გავლენა ბიტუმის თვისებაზე .....	74
3.7 მოდიფიცირებული ბიტუმის შერჩევა საგზაო კონსტრუქციის მუშაობის რეალური პირიოდების გათვალისწინებით .....	78
3.8. რეზინაბიტუმი .....	80
3.9. კომპოზიციური შემკვრელები ბირდ ა/ბ-ის საფუძველზე .....	87
3.10 წვრილდისპერსიული რეზინის ნამცეცებით ქიმიურად მოდიფიცირებული დაუანგული ბიტუმის ტექნილოგის უპირატესობა .....	109
3.11 მოდიფიცირებული ა/ბ-ის მომზადება .....	111
4. შედეგები და მათი განსჯა .....	121
4.1. შემკვრელი ბიტრეპ-ის გამოყენება სხმულ და ღორღოვან მასტიკოვან ასფალტებებში .....	121
4.2. მოდიფიცირებული ბიტუმის გამოყენების ეკონომიკური გაანგარიშება .....	126
4.3 ბიტუმ-რეზინის კომპოზიციურ შემკვრელიზე დამზადებული ასფალტებების გამოყენების არეალი .....	128
ზოგადი დასკვნები .....	134
გამოყენებული ლიტერატურა:.....	136

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. პოლიმერმოდიფიცირებული შემკვრელების თვისებები -----	36
ცხრილი 2. ბიტუმის შემკვრელების ნიმუშების მახასიათებლთა შედარება-----	90
ცხრილი 3. ა/ბ-ის საფარის ზედა ფენის მახასიათებლების შედარება-105	
ცხრილი 4. ბირკ ნარევებისადმი დამატებითი ტექნიკური მოთხოვნილებები-----112	
ცხრილი 5. ბიტუმ-რეზინის ნარევის გამოშვების ტემპერატურა-----113	
ცხრილი 6. ბირკ-ის შემკვრელზე დამზადებული ღორღ-მასტიკოვანი ა/ბეტონის ნიმუშების გამოცდის შედეგები-----114	
ცხრილი 7. სხმული ა/ბეტონის თვისებები ბირკ შემკვრელზე ხელით დაგებისას-----115	
ცხრილი 8. ტემპერატურა ნარევის დაგების დაწყებისას-----115	
ცხრილი 9. ნარევების ტიპების დასაშვები შენახვის დრო-----116	
ცხრილი 10. საფარის დაგების ტემპერატურები-----118	
ცხრილი 11. რეზინა-ბიტუმის შემკვრელიზე დამზადებული სხმული ასფალტბეტონის თვისებები-----123	
ცხრილი 12. შემკვრელი ბიტრეპ-ზე ხელით დაგების სხმული ასფალტ-ბეტონის მახასიათებლები-----124	
ცხრილი 13. კერნის გამოცდის შედეგები-----125	
ცხრილი 14. დანახარჯები ქარხნის მოწყობაზე-----126	
ცხრილი 15. პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები---127	
ცხრილი 16. ჩადებული კაპიტალდაბანდების გამოსყიდვა-----127	

## ნახაზების ნუსხა

ნახაზი 1.	საფარის დაშლის მრუდი-----	28
ნახაზი 2.	საფარის მომსახურების ვადის გახანგრძლივება-----	29
ნახაზი 3.	ბიტუმის ქიმიური შემადგენლობის შეფასება-----	35
ნახაზი 4.	დამატებების გავლენა ნარევის გამკვრივების სიჩქარეზე და მოძრაობის გახსნაზე-----	38
ნახაზი 5.	ტემპერატურის, დროისა და ტენიანობის გავლენა სლარი სილის და მიკროსურფეისინგის ფენილების გამტკიცებაზე-----	39
ნახაზი 6.	ბზარწარმოქმნის ტემპერატურები სხვადასხვა ტიპის ნარევებისათვის. ზედაპირის ტიპიური სახე-----	40
ნახაზი 7.	კომპლექსი დისპერსიული ფაზისა და მასზე ადსორბირებული საპირისპირო ნიშნის იონებისაგან-----	42
ნახაზი 8.	მაქსველის სხეულის (სითბოს) რელაქსაცია-----	52
ნახაზი 9.	დეფორმაციების განვითარება კელვინ-ფოგტის სხეულში-----	53
ნახაზი 10.	რეოლოგიური მოდელები-----	54
ნახაზი 11.	მოდიფიცირებული ბიტუმის სრული რეოლოგიური მრუდი-----	57
ნახაზი 12.	ბიტუმის რეოლოგიური მრუდები -20დან +30°C-მდე ტემპერატურის ინტერვალში -----	57
ნახაზი 13.	სრული რეოლოგიური მრუდი -----	57
ნახაზი 14.	პოლიმერების თერმოქანიკური მრუდები-----	61
ნახაზი 15.	ზედაპირულაქტიური ნივთიერებების მოლეკულების ორიენტაცია ზედაპირულ შრეზე-----	64
ნახაზი 16.	ყყარი სხეულის დასვლება სითხით-----	64
ნახაზი 17.	გაჭიმვისას სიმტკიცის დამოკიდებულება გარსის სისქეზე-----	78
ნახაზი 18.	დაჭუცმაცებული რეზინის გაფანტვის ტიპიური მრუდი-----	82
ნახაზი 19.	ბიტუმისა და რეზინის ნაწილაკების რეაქციის სტადიურობა-----	82
ნახაზი 20.	თერმული მგნობელობის გაუმჯობესება რეზინის დამატებით -----	84
ნახაზი 21.	ზემოქმედება რგოლისა და ბურთულის მეთოდით განსაზღვრული დარბილების ტემპერატურისა და ფრასის მიხედვით განსაზღვრულ სიმყიფის ტემპერატურაზე -----	84
ნახაზი 22.	რეზინაბიტუმის შემკვრელთა დაბერების უფასტი დუმელში და ამინდის პირობების სიმულატორში. 1-1 დღე; 2-5 დღე; 3-8 დღე-----	85
ნახაზი 23.	რეზინაბიტუმის გამოყენების გავლენა ზედა ფენების დაძაბულობაზე-----	86
ნახაზი 24.	ბიტუმის მოდიფიცირების გავლენა წყვეტაზე, სიმტკიცის ხდვაზე და ჭიმვაზე გაწყვეტისას-ბენსონის ტესტი-----	86
ნახაზი 25.	დორდის მიკვრადობა რეზინაბიტუმის შემკვრელთან-----	87
ნახაზი 26.	სხვადასხვა ბიტუმების კინემატიკური სიბლანტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე-----	89
ნახაზი 27.	ბიტუმი ნიდ 60/90 -სა და -6% კპმ-ის დანამატით მოდიფიცირებული ბიტუმის დაღლილობის ხანმედეგობაზე დამოკიდებულება-----	92
ნახაზი 28.	ასფალტის შემკრავის სიბლანტის ლოგარითმი-----	94
ნახაზი 29.	კპმ-ის დანამატის გავლენა ასფალტბეტონის თვისებებზე-----	96
ნახაზი 30.	ტემპერატურის და ბიტუმის რაოდენობის ზემოქმედება	

	სიმტკიცებები დინამიური ლუნგის დროს-----	98
ნახაზი	31. ბიტუმის ოპტიმალური რაოდენობის შერჩევა ბ ტიპის ასფალტბეტონის გრაფო-ანალიზური მეთოდით-----	99
ნახაზი	32. კპმ-ის დანამატის დანარევის ტიპის გავლენა ასფალტბეტონის სიბლანტებები დაჭიმვისას-----	99
ნახაზი	33. ასფალტბეტონის სიბლანტის გამნსაზღვრელი ხელსაწყო ძვრისას შეზღუდული განივი გაგანიერების პირობებში-----	100
ნახაზი	34. ასფალტბეტონების ნიმუშების დატვირთვის სქემა, მათი სიბლანტე გამოცდისას-----	101
ნახაზი	35. კპმ-ის დანამატის ზემოქმედება ასფალტბეტონის სიბლანტებები გაცურებისას-----	102
ნახაზი	36. ასფალტბეტონის სიმტკიცის ზღვარის დამოკიდებულება კუმშვისას $20^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე ასფალტბეტონის БНД60/90 ბიტუმითა და კპმ დანამატით-----	103

## შესავალი

საქართველოში საერთაშორისო გზების სიგრძე 1.474კმ-ია, აქედან 95.9% ასფალტირებულია, შიდა სახელმწიფო გზების სიგრძე 5.369კმ-ია, ასფალტირებულია -70%, აღგილობრივი გზების სიგრძე კი, 13.386კმ-ია, ასფალტირებულია -25%. ე.ი საქართველოში 60% გზები გრუნტისაა, 40% კი ასფალტის. ამ გზების ძირითად ნაწილზე არ ჩატარებულა მნიშვნელოვანი სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გამონაკლისია ახალი მშენებარე ავტობანი. ეს გზები თხოვლობს მოდერნიზაციას, ამიტომ საჭიროა ახალი ტექნოლოგიების და ეფექტური სამშენებლო მასალების გამოყენება, რადგან მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტენსიონი, დერძული დატვირთვები დიდი ეკონომიკური ტვირთბრუნვის გამო. პერსპექტივაში მოსალოდნელია ამ პარამეტრების მნიშვნელოვანი გაზრდა, ამიტომ საჭიროა გზის გამტარუნარიანობის, სიმტკიცის, ჩაჭიდულობის ძალის, სისწორის, ხანგძლივობის და სხვა კრიტერიუმების გაზრდა. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია ბიტუმის მოდიფიცირების შედეგად.

ბოლო ხანებში, სატრანსპორტო დატვირთვების მნიშვნელოვნად მომატებასთან დაკავშირებით გაიზარდა ტექნოგენური ზემოქმედება საავტომობილო გზებზე. ეს ყველაფერი გამომდინარეობს იქიდან, რომ ხშირია მარილების და მჟავების ურთიერთქმედების შედეგად ატმოსფერული ნალექების (მჟავური) და ამასთანავე დაბინძურებული ატმოსფეროს აგრესიული ზემოქმედება. შესამჩნევი გახდა ბუნებრივი და კლიმატური ცვლილებები. გახშირდა ტემპერატურული ვარდნები, ნული გრადუსის ფარგლებშიც. ზოგადად 70% საავტომობილო გზებს ესაჭირებათ მიწის ვაკისის გაძლიერება (სტაბილიზაცია), იმიტომ რომ ა/ტრანსპორტის რიცხვი და მათი დერძული დატვირთვები საფარზე მნიშვნელოვნად გაზრდილია ძველ ნორმატივებთან შედარებით და აღწევს 10-13ტ. ამ ფაქტორების და ამ ზემოქმედების აგრეთვე ზემოთხესენებული მიზეზების ერთობლიობის შედეგად ხდება საავტომობილო გზის საფარის გაძლიერებული ნგრევა.

ა/ბ-ი საგზაო საფარებისათვის იწარმოება ნავთობის ბიტუმის საფუძველზე, რომელიც არის შემკვრელი. გამოშვებული ბიტუმების

უმეტესი ნაწილი თვისებების გამო ვეღარ უძლებს შეცვლილ და რთულ საექსპლუატაციო პირობებს, მეორეს მხრივ ნავთობის ბიტუმები თავისი ბუნებიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფენ ა/ბ-ის გზის საფარის საჭირო სიმტკიცეს და ითხოვენ პრინციპულად ახალ მიღების ანუ თვისებების გაუმჯობესებას.

ნორმატიულ დოკუმენტაციებში საგზაო ბიტუმებზე და სხვა ერთგვაროვან შემკვრელებზე ტემპერატურული დამოკიდებულება მის რეოლოგიურ თვისებებზე ნიშანდობლივია ორი ფაქტორით, მსხვრევაზე და წელვაზე ტემპერატურებით. გასაგებია, რაც უფრო ნაკლებია ტემპერატურა მსხვრევის და მაღალია წელვის, ესე იგი რაც უფრო ფართოა ტემპერატურის ინტერვალი ანუ შემკვრელის პლასტიკურობა მით უფრო უკეთესია შემკვრელი. ამის შემდეგ შემკვრელს დეფორმაციების მიმართ უნდა მივანიჭოთ სიმტკიცის თვისებები.

შემკვრელების ყველა დეფორმაციული მაჩვენებელი დამოკიდებულია მის ბლანტ-მკვრივ თვისებებზე, სიმტკიცეზე და ჩაჭიდების ძალაზე სხვაგვაროვან ზედაპირთან ე.ი. მის ადჰეზია კოჰეზიაზე. ამ ქიმიურ-სტრუქტურული თვისებებიდან გამომდინარეობს ზუსტად ის თვისებები როგორიცაა გარემოს აგრესიული ზემოქმედებისადმი გამძლეობა, რომელიც ხანგრძლივია კონსტრუქციაში (სიცოცხლის-უნარიანი). ადჰეზია – შემკვრელის უმნიშვნელოვანესი თვისებაა, უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს გარე ფაქტორებს ისე, რომ არ დაირდვეს ერთიანობა და მთლიანობა სხვადასხვაგვაროვან მასალების შეჭიდების საზღვარზე და ჩვენი აზრით ეს პარამეტრი განსაზღვრავს ფაქტიურად კონსტრუქციებში მასალების ხანგძლივობას, აგრეთვე გზის საფარში. ეს პარამეტრი მასალის გამოკვლევის დროს განისაზღვრება მასალის გახლების თვისებით ის უნდა იყოს განსაკუთრებულად კოჰეზიური.

ა/ბ-ში არსებობს სიდიდე, რომელიც უფლებას გვაძლევს ზუსტად დავახასიათოთ შემკვრელის ინტეგრალურ ადგეზიური თვისებები, ესაა ა/ბ-ის წყალგაუმტარობა. მაღალი ხარისხის ა/ბ-ში წყალგაუმტარობის სიდიდე სტანდარტებში არის 0,95 რაც ახლანდელი ბიტუმების პრაქტიკაში იშვიათად და ძნელად თუ მიიღწევა. შესაბამისად რაც უფრო მეტია ეს სიდიდე ე.ი. წყალგაუმტარობა მით უფრო მეტია

შემკვრელის ხანგძლივობა, მითუმეტეს თუ ხშირია ტემპერატურის ცვალებადობა  $0^{\circ}\text{C}$ -ზე და დიდია დატვირთვები კონსტრუქციაზე

შემკვრელ მასალებზე სეზონური ტემპერატურების ცვლილებები უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ  $-30^{\circ} - +60^{\circ}\text{C}$  ფარგლებში და ასეთივე პირობებში ხდება მათი ექსპლუატაცია.

ბიტუმის თვისებების გასაუმჯობესებლად მასში უნდა შევიყვანოთ ტიპიური ელასტომერები, დიდი ხნის ცნობილი და ყველაზე გავრცელებული რეზინის ფხვნილის სახით. სიმკვრივის სიდიდე პოლიმერული ბიტუმის შემკვრელებისა ხასიათდება სტანდარტებში ამ მასალების ელასტიურობის მაჩვენებლით. გასაგებია, რომ ელასტიურობის ხარისხი დამოკიდებულია შემკვრელის ქიმიურ შემადგენლობაზე და სტრუქტურაზე. ცნობილია, რომ დიდი ციკლიული დატვირთვებისადმი გამდლება შენარჩუნებულია მაშინ, როცა ამ მაჩვენებლის სიდიდე არანაკლებ 3-4-ჯერ მეტია ექსპლუატაციის დროს შემკვრელის დეფორმაციების სიდიდეზე კონკრეტულ კონსტრუქციაში.

პრობლემის გადაჭრის ერთ ერთი პერსპექტიული მიმართულებაა - უფრო ხარისხიანი მასალების გამოყენება და ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებისათვის ხელის შეწყობა. რა თქმა უნდა ასეთი მასალები უფრო ძვირია, მაგრამ რეალურად რემონტთაშორისო ვადების შემცირებას მივყავართ იქითქენ, რომ ამას მოაქვს უმნიშვნელოვანესი ხარჯების ეკონომია.

**თემის აქტუალობა** ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მწყობრიდან ნახევარ მღწე. ტონამდე სალტე და სხვა რეზინ-ტექნიკური ნაკეთობა გამოდის. გარდა ამისა, საწარმოო რეზინის ნარჩენების დიდი ოდენობა იქმნება. ნარჩენების მოხმარების დონე ბოლო 5 წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ გაიზარდა და შეადგენს არა უმეტეს 15%-ს მთელი დაგროვებისაგან, თანაც რეციკლინგს მხოლოდ 2% ექვემდებარება. გაცემითი სალტეების მოცულობის ნაზარდი წელიწადში დაახლოებით 3%-ს შეადგენს, ე.ი. მუდმივად მიმდინარეობს მათი დაგროვება. ნარჩენების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით რეზინის ძვირფასი საახებისგან დარჩენილი, წლების განმავლობაში ინახება საწყობებში, ნარჩენების დანარჩენი ნაწილი კი უკეთეს შემთხვევაში

ექვემდებარება დამარხვას ან დაწვას, რითაც გარემოს მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ზარალი აღგება.

გაცვეთილი საავტომობილო სალტეების უტილიზაციის ეკოლოგიური პრობლემა მწვავედ დგას მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, კერძოდ, გერმანიაში, იაპონიაში, აშშ-ში, სადაც უტილიზაციას დაქვემდებარებული ძველი სალტეების ყოველწლიური მოცულობა მილიონობით ტონას შეადგენს. გაცვეთილი სალტეების და უტილის რეზინ-ტექნიკური ნაკეთობების ეფექტიანი გადამუშავების პრობლემა არცერთ ქვეყანაში არაა გადაჭრილი, არადა მას უკვე ნახევარი საუკუნე უსრულდება.

ნარჩენების დაწვრილმანება (დაქუცმაცება) გადამუშავების ყველაზე მარტივ და რაციონალურ ხერხადაა აღიარებული, ვინაიდან იძლევა რეზინის ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებების მაქსიმალური შენარჩუნების საშუალებას. მაგრამ სწორედ ნაფხვენის ეკონომიკურად ეფექტიანი გამოყენების საბოლოო სტადია წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას რეზინის ნარჩენების სრული რეციკლინგის პრობლემის გადაჭრაში.

განვითარებულ ქვეყნებში არსებობს სახელმწიფო დაფინანსება, მიღებულია კანონები, რომლებიც ასტიმულირებენ რეზინის რეციკლინგის პროდუქტთა გადამუშავებასა და გამოყენებას, ამასთანავე აკრძალულია გაცვეთილი საბურავების დამარხვის.

განხილული ფაქტებიდან ლოგიკური დასკვნა იქნებოდა გვეცადა ერთობლივად გადაგვეჭრა რეზინის რეციკლირებისა და ბიტუმის შემკვრელების ხარიხების გაუმჯობესების პრობლემა, ერთმანეთთან კავშირში.

ცნობილია, რომ ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბევრი ძალისხმევა იყო გამოყენებული, რათა რეზინა ბიტუმებსა და ასფალტებთან გააერთიანებინათ, მისი უტილიზაციისა და შემკვრელი მასალებისათვის რეზინისმაგვარი თვისებების მინიჭების მიზნით. შემუშავებული იქნა რეზინის ასფალტბეტონის ნარევებში პირდაპირი შეყვანის, საგზაო-სამშენებლო მასალებში რეზინის ნაფხვენის შემაგსებლის სახით გამოყენების უამრავი ტექნოლოგიური სქემა. აშენებულ იქნა ასობით გზის ექსპერიმენტული მონაცემი, ხიდებისა და

აეროდრომების საფარი, რომლებიც თავიდან სასწაულ მახასიათებლებს ამჟღავნებდნენ, მაგრამ შემდგომში სწრაფად იშლებოდნენ. რეზინის ნაფხვენი ამოიფხვნებოდა ასფალტიდან და, პრაქტიკულად შეუცვლელი სახით ქარს მიჰქონდა, რითაც ბინძურდებოდა გარემო.

მაღალ ტემპერატურებზე ბიტუმებში რეზინის დაშლასა და დევულკანიზაციაზე დაფუძნებულ მოდიფიცირების მეთოდებში ხდებოდა რეზინაში დაცული ტოქსიკური ნივთიერებების ამოფრქვევა, ხოლო წარმოშობილი დაბალმოლექულური კაუჩუკის ფრაგმენტები მხოლოდ აპლასტიფიცირებდნენ ბიტუმს, ამცირებდნენ რა ისედაც დაბალ ძვრის მაჩვენებლებსა და ადჰეზიას. გარდა ამისა, რეზინის წვრილდისპერსული ჭვარტლი, ხვდებოდა რა ბიტუმში, კრისტალიზაციის ცენტრების დამატებით წყაროდ იქცეოდა, მკვეთრად ამცირებდა რა შემკვრელების სტაბილურობას და დაძველებისადმი მდგრადობას გარემოს ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ.

იმავე მიზეზების გამო არ გაამართლა ბიტუმებში ძლიერ განვითარებული და მოდიფიცირებული ზედაპირის მქონე რეზინის ფხვნილების შეყვანის ხერხებმა. გარდა ამისა, ასეთი მაღალაქტიკური დანამატების შეყვანისას არსებითად იცვლებოდა ბიტუმის შემკვრელებთან მოქცევის ჩვეულებრივი ხერხები, მაგალითად მკვეთრად მცირდებოდა მათი შენახვის ვადა.

ამრიგად, საგზაო მშენებლობაში რეზინის ნარჩენების გამოყენების ერთ საუკუნეზე მეტმა უარყოფითმა გამოცდილებამ მოახდინა საგზაო მასალებში რეზინის (ვულკანიზირებული კაუჩუკის) გამოყენების იდეის კომპრომენტირება საგზაო სპეციალისტების თვალში.

ცხადია, რომ საკვანძო რგოლად, რომელიც მოგვცემს აღნიშნული კომპლექსური პრობლემის ცალკეული ნაწილების დაკავშირების და დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას, უნდა იქცეს რეზინის ნარჩენების ნავთობის ბიტუმებთან შეერთების ტექნოლოგია, რომელიც გაითვალისწინებდა მიმდინარე პროცესების მთელ სირთულეს და ქიმიზმს როგორც შემკვრელი, ასევე საბოლოო პროდუქტებში – ასფალტებულნებში და საგზაო საფარებში, თანაც ამოცანა უნდა გადაიჭრას გზის საფარის აუცილებელი და საკმარისი პარამეტრებიდან გამომდინარე და არა ბიტუმში რეზინის სარგებლიანობის შესახებ

ემპირიული წარმოდგენებიდან გამომდინარე. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად უნდა იქნეს კონსტრუირებული და მიღებული შემკვრელი მასალები, რომლებმაც შესამჩნევად და რაც მთავარია სანგრძლივად უნდა აუმჯობესებდნენ გზების ასფალტბეტონის საფარებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი რეზინის ნარჩენების უტილიზაციის პრობლემის ეკონომიკურად და ტექნიკურად ეფექტიანი გადაჭრა.

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ პარამეტრების კომპლექსის მიხედვით უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები, როგორც ბიტუმების მოდიფიკატორებს, საერთო დანიშნულების, მათ შორის სასალტე რეზინისგან მიღებულ წვრილდისპერსულ ( $<0,5\text{mm}$ ) ნაფხვენს გააჩნია. ამასთან სრულიად იხსნება ნედლეულის და მისი დირებულების პრობლემა, ვინაიდან კაუზუკებისა და პოლიმერების წარმოება ძირითადად მონოპოლიზირებულია, იმ დროს, როცა რეზინის ნაფხვენის წარმოებას არა აქვს ეს შეზღუდვები, რეზინის ნაფხვენის წარმოების უკვე არსებული მოწყობილობა ადგილად შეიძლება გაიშალოს (გაფართოვდეს) მასზე საგრძნობი მოთხოვნილების არსებობისას.

დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებით, ფორმულირებული იქნა ზოგიერთი ძირითადი ზოგადი მოხთოვნა ახალი ტექნოლოგიისადმი:

- ის უნდა იყოს უფრო მარტივი, ეფექტიანი და ეკონომიკური არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით.
- ბიტუმების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესების გარდა, ის უნდა აუმჯობესებდეს შემკვრელი მასალის ადჰეზიურ თვისებებს და მის მდგრადობას დაძველებისადმი გარემოს აგრესიული ფაქტორების მოქმედების ქვეშ.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ თვისებების კომპლექსი განმსაზღვრელია საგზაო ასფალტბეტონის საფარების ხარისხისა და ხანგამძლეობის ამაღლებისათვის.

**დისერტაციის კლემის ობიექტს წარმოადგენს:**

- ასფალტბეტონების საფარების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებების გაზრდა მოდიფიცირებული ბიტუმების გმოყნებით.
- ბიტუმები მოდიფიცირების ტექნიკურ-ეკონომიკურად ხელსა-ყრელი მეთოდების დამუშავება, რომლითაც მიიღწევა ასფალტბეტონის საგზაო ფენილების მაღალი საექსპლუ-ატაციო მაჩვენებელი ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**დისკრტაციის მიზანს წარმოადგენს:** საგზაო მშენებლობისათვის მოდიფიცირებული ბიტუმების მიღების მეთოდების სრულყოფა, სხვადასხვა დანამატებით მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენების არგალის გაზრდა, რეზინის ნარჩენების საგზაო მშენებლობაში გამოყენების რაციონალური მეთოდების დამუშავება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დისკრტაციაში დასმული და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:

- ჩატარებულია ანალიზი და ჩამოყალიბებულია პრობლემები, რომელიც თან ახლავს სხვადასხვა მეთოდებით მოდიფი-ცირებული ბიტუმების გამოყენებას საგზაო მშენებლობაში;
- შესწავლიალია და თეორიულად დასაბუთებულია ორგანული შემკრავი მასალების მოდიფიცირების უპირატესობა რეზინის ნარჩენების გამოყენებით;
- დამუშავებულია ის მიდგომები, რომელსაც უნდა აკმაყოფი-ლებდეს მოდიფიცირებული ორგანული შემკრავი;
- ჩატარებულია მიღებული შედეგების საცდელ-საწარმოო გამოკვლევა;
- ჩატარებულია შემოთავაზებული ტექნოლოგიის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება.

**სამეცნიერო სიახლე.** წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდგომში:

- დასაბუთებულია ორგანული შემკრავი მასალების წვრილად დისპერსირებული რეზინის ნარჩენებით მოდიფიცირების უპირატესობა;

- დამუშავებულია სხმული და ღორღ-მასტიკოვანი ასფალტბუგონების მიღებისა და გამოყენების მეთოდები რეზინით მოდიფიცირებული ორგანული შემკრავების საფუძველზე;
- ბიტუმ-რეზინის კომპოზიციურ შემკვრელიზე დამზადებული ასფალტბუგონების გამოყენების არეალი.

**სამუშაოს პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდგომში:**

- გაზრდილია ბიტუმ-რეზინის კომპოზიციურ შემკვრელიზე დამზადებული ასფალტბუგონების გამოყენების არეალი;
- ჩატარებულია მოდიფიცირებული ბიტუმის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, ეკოლოგიური ეფექტურობის გათვალისწინებით.

**სამუშაოს რეალიზაცია:**

- საგზაო სამოსის რეაბილიტაცია წარმოდგენილი ტექნოლოგიით განხორციელდა განსხვავებული კლიმატური პირობების მქონე რამოდენიმე საცდელ მონაკვეთზე (თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე; ქვემო სიმონეთი – ნავენახევის საავტომობილო გზაზე).
- სადისერტაციო კვლევის შედეგები გამოყენებულია საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საავტომობილო გზებისა და აერო-დრომების მიმართულების ბაკალავრებისა და მაგისტრანტების სასწავლო პროცესში.

**პუბლიკაციები:** დისერტაციის მასალების მიხედვით გამოქვეყნებულია შემდეგი ნაბეჭდი შრომები:

1. „მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენების პერსპექტივები საქართველოს საგზაო მეურნეობაში“, - დ.დემეტრაშვილი, ა.ბურდულაძე, ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1(20), თბილისი 2011 წ;
2. „პოლიმერულად მოდიფიცირებული ბიტუმის გამოყენება ცივი რეციკლირების დროს“, -დ.დემეტრაშვილი, ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1(23), თბილისი 2012 წ;

3. „ბიტუმის მოდიფიკაციის სახეების და მათი გამოყენება საგზაო მშენებლობაში“, - დ.დემეტრაშვილი, გ.ჩუბინიძე. სამეცნიერო-გექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2(25), თბილისი 2012 წ.
4. „საავტომობილო გზების დიაგნოსტიკის თანამედროვე სისტემები“, -თ.პაპუაშვილი, ზ.მელაძე, დ.დემეტრაშვილი, პ.ნადირაშვილი, ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №2(24), თბილისი 2012 წ; (ჩაშვებულია სტამბაში გამოსაცემად)

**დისერტაციის სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს შესავალს, ოთხ თავს, დასკვნას, ლიტერატურის სიას 32 დასახელებით, 16 ცხრილს და 36 ნახაზს. კვლევის შედეგები გადმოცემულია 137 ნაბეჭდ თაბახზე.

## **1. საქართველოში საავტომობილო გზების განვითარების პერსპექტივები**

საქართველოს საავტომობილო გზები ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მდგრადარებისა და განვითარების დონეზე უშუალოდ არის დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება და საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში.

სულ უფრო აქტუალური და რეალური ხდება ავტოსატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების აუცილებლობა. ქვეყნის მთაგორიანი რელიეფის გათვალისწინებით, შიდასახელმწიფოებრივი გადაზიდვებისათვის ყველაზე ხელმისაწვდომ და ეფექტურ საშუალებად რჩება ავტოსატრანსპორტო გადაზიდვები.

არასრულყოფილი საავტომობილო გზების ქსელი მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებას და მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე. რაც უფრო დიდია სრულყოფილსაფარიანი საგზაო სისტემის მოცულობა, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე.

საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებში ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების და პერსპექტიული გაანგარიშების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ევროპა-აზიის (დასავლეთ-აღმოსავლეთი) და რუსეთის წინა აზიის (ჩრდილოეთ-სამხრეთი) სატრანსპორტო მარშრუტებზე საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ზრდის ტემპები განპირობებულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობით. ქვეყნის უსაფრთხოების სატრანსპორტო კორიდორის შექმნა, გეოპოლიტიკური სიტუაციებიდან გამომდინარე ისტორიული, თავდაცვითი უსაფრთხოებისათვის ყველაზე ოპტიმალურად მოკლე მიმართულებების მონახვა, რათა გაძლიერდეს ეკონომიკური ტკირთბრუნვა რეგიონებიდან ქალაქებისაკენ, ტრანზიტული შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფა.

1995 წლიდან საქართველოს ბუნებრივ სატრანსპორტო დერეფანში ევროპა-აზიის ე.წ. ტრასეკას სატრანსპორტო მარშრუტზე მოძრაობის ეკონომიკურობის და მოხერხებულობის მაღალმა დონემ განაპირობა საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ტრადიციების ჩამოყალიბება. საკმაოდ რეალური პერსპექტივა აქვს ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო მარშრუტებზე საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ტენდენციებსაც. ეს საავტომობილო მარშრუტი ჯვრის საუღელტეხილო მონაკვეთებზე და თურქეთის საზღვარზე გამშვებ პუნქტებთან (სარფი-ვალე-კარწახი) მისასვლელების საგზაო პირობების დონის გაუმჯობესებისთანავე ამოქმედდება.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ახლანდელი ხელისუფლების მოსვლისთანავე სამთავრობო ხედვა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართ რადიკალურად შეიცვალა, საავტომობილო გზების ქსელის რეაბილიტაცია და განვითარება ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა.

ყველა ამ ზემოთხსენებული პერსპექტივების გათვალისწინებით აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში. ერთ-ერთი ეფექტური და პერსპექტიული ტექნოლოგია დამუშაბულია წარმოდგენილ დისერტაციაში. თუ ჩვენ გვხურს გვჭონდეს ევროპული ხარისხიანი გზები საჭიროა, განცახორციელოთ ხარისხიანი სამშენებლო მასალების ცენტრალიზირებული შესყიდვა, რათა დამზადდეს ტექნოლოგიური კონტროლის მიხედვით მოდიფიცირებული ნარევები, როგორც ეს ევროპაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებშია. უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიის საგზაო კლიმატური დარაიონება. ამ ტექნოლოგიის მიხედვით ექსპერიმენტის სახით უნდა დაიგოს რომელიმე ქალაქში, რაიონში ან რეგიონში საგზაო საფარი და ჩვენ თვალნათლივ დავინახავთ იმ დიდ უპირატესობას და ეკონომიკას სხვა ტექნოლოგიით დამზადებულ და დაგებულ საფარებს შორის. საქართველო სუბტროპიკული, ტროპიკული და მაღალმთიანი კლიმატის ქვეყანაა, ქართლ-კახეთის დაბლობ რაიონებში გამოყენებული უნდა იყოს თბომედეგი ბიტუმი, ხოლო კოლხეთის დაბლობში გარდა აღნიშნული თვისებებისა ბიტუმი უნდა იყოს ატმოსფერულ ზემოქმედებაზე მიმართ მედუგიც. საქართველოს დაბალმთიან რაიონში

გამოყენებული ბიტუმის სიმყიფის და დარბილების ტემპერატურა უნდა იყოს საკმაო, სიმაღლის მატებასთან და კლიმატის გამკაცრებასთან შესაბამისად უნდა შემცირდეს ბიტუმის თბომედეგობა და გაიზარდოს პლასტიკურობა. სპეციალური ბიტუმი ან მოდიფიცირებული ბიტუმია საჭირო დიდი ინტენსიონის მაგისტრალებისათვის. ცივ კლიმატურ ზონაში მიზანშეწონილია დაბალი სიბლანტის ბიტუმების გამოყენება და პირიქით, გასათვალისწინებელია ინტენსიონაც. ბიტუმის მარკები ყოველთვის სრულყოფილად ვერ ახასიათებს ბიტუმის თვისებებს, მაგრამ მათი საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს საგზაო-სამშენებლო სამუშაოთა სახე და რეგიონალური პირობები. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეირჩეს რეგიონის კლიმატის შესაბამისი სხვადასხვა ბიტუმი.

- БНД 200/300, БН200/300 – ზედაპირული დამუშავებისათვის, გრუნტის სტაბილიზაციისათვის, თბილი ა/ბ-ის ნარევებისათვის;
- БНД 130/200, БН 130/200 – დაბალი სიტკიცის ( $R=30-60\text{d/კას}$ ) ქვის მასალით ზედაპირული დამუშავებისას, თბილი ა/ბ-ის ნარევებისათვის;
- БНД 90/130, БН 90/130 – ზომიერ კლიმატურ რაიონებში ა/ბ ნარევებში;
- БНД 60/90, БН 60/90 – ცხელ კლიმატურ რაიონებში, ავტომაგისტრალის ფენილებში, სახურავ და საიზოლაციო მასალებში;
- БНД 40/60, БН 40/60 – ცხელ კლიმატურ რაიონებში მძიმე მოძრაობის ა/მაგისტრალებზე ა/ბ ნარევებში. სხმული ა/ბ ნარევებში, სახურავ და საიზოლაციო მასალებში.

უპრიანია კლიმატური ზონის შესაბამისი ნარევებისათვის გამოყენებული ბიტუმის რეოლოგიური თვისებათა დიფერენცირებული ნორმების შემუშავება რაც საგზაო კლიმატური დარაიონების გარეშე შეუძლებელია. აგრეთვე მნიშვნელოვანია მთელ რიგ რეგიონებში დაიწყოს სამშენებლო მასალათა მეცნიერული გამოკვლევა და სერთიფიცირება სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით.

თანამედროვე ავტოტრანსპორტი მეგზევეთა წინაშე აყენებს ამოცანას არსებითად შეიცვალოს ასფალტობურნის ფენილის ხარისხი. ტრადიციული მასალები უნდა შეიცვალოს ახლით. მსოფლიოს მეცნიერთა და პრაქტიკოს ინჟინერთა მიერ შემუშავებული პროგრესულ მეთოდთა დანერგვა და საქართველოს რეგიონებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება, მნიშვნელოვნად გაზრდის და გააუმჯობესებს ქვეყნის საგზაო ქსელს, მის საექსპლუატაციო პირობებს და მომსახურების ვადას. მნიშვნელოვანია კომფორტულ და მეორეს მხრივ ამორტიზირებულ გზებზე ერთიდაიგივე ავტოტრანსპორტის მოძრაობის ეკონომიურობის, ეკოლოგიურობის, გზით მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალების მფლობელისთვის და თვით ავტოტრანსპორტისთვის სასარგებლო პირობების შექმნის ეფექტების შედარება. საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიური მახასიათებლების მაგალითზე საქართველოს საგზაო ქსელში ტვირთბრუნვა შემცირებულია 20%-ით, გადაზიდვების დირებულება 1.5-ჯერ გაზრდილია, ხოლო საწვავის ხარჯი გზებზე სავალალო მდგომარეობის გამო 30%-ით მეტია, შესაბამისად არ იკლებს ავტოავარიების რიცხვი, რომელიც მსხვერპლით მთავრდება. ავტოავარიების 20-25% გამოწვეულია გზის არასახარბიერო მდგომარეობით. ამ პრობლემების გადასაწყვეტად სამომავლოდ აუცილებელია პერსპექტივაში შემდეგი დონისძიებების გატარება (ქვემოთ ჩამოთვლილი დონისძიებების გარკვეული ნაწილი დღეისათვის უკვე ინერგება):

- საერთაშორისო გზების ძირითად საკვანძო ადგილებში ვიდეო-აპარატურის და მაკონტროლებელ ცენტრალურ ოფისთან შესაბამისი ოპერირების განსახორციელებელი პულტის დამოწმება;
- ძირითად საკვანძო ადგილებში ავტომობილების ინტენსურის დამთვლელი სპეციალური აპარატების დამოწაჟება;
- საფარის სტრუქტურის განსაზღვრის გეოლოგიურ-რადარული ხელსაწყოს შეძენა;
- ძირითად გზებზე სტაციონალური სასწორების დადგმა;

- საავტომობილო გზების განვითარების ეროვნული ნორმების და სტანდარტების შემოღება;
- აუცილებელია ლაბორატორიული ტესტირების კომპიუტ-რული ხელსაწყოების და თანამედროვე ტექნიკის შეძენა;
- საქართველოს კლიმატური დარაიონება.

ამერიკაში მიღებულია სპეციალური კანონი საბურავების შესახებ რის შედეგადაც საგზაო კომპანიებმა გზების მშენებლობის დროს უნდა გამოიყენონ რეზინის ნარჩენები და მხოლოდ ამ შემთხვევებში იღებენ კომპანიები დაფინანსებას სახელმწიფოსგან გზის რემონტისათვის და მშენებლობისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 2004 წლისათვის 3 000 კმ-ზე მეტი საავტომობილო გზა იყო დაგებული რეზინა-ასფალტის ნარევით.

საქართველოში არსებობს ტრადიციული მომწოდებლები, ტრადიციული ტექნოლოგიები და რა თქმა უნდა არაა საჭირო საგზაო კომპანიების მიერ თავის ატკივება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაფინანსებისათვის. ისინი მაინც ფინანსდებიან იმიტომ რომ ალტერნატივა არ არსებობს, ამიტომ რეზინის ფხვნილის ბაზარზე შემოსვლას მაინდამაინც დიდი ენთუზიაზმით ყველა ვერ შეხვდება. ასეთი ლოგიკური და ეკონომიკური ჯაჭვი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სხვა სახეობის ნარჩენების მიმართაც.

ამ ტექნოლოგიის დანერგვისათვის პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა კომპლექსური მიდგომა, ამოცანის რეალიზაციისათვის საჭიროა საერთო კონცეფცია, პრიორიტეტების გამორკვევა, მმართველობის ორგანიზაციული ფორმა და კოორდინაციის საერთო პროგრამა, ლგოტები და სხვა.


უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 1962-63 წლებში საგარეჯოში მუშაობდა საბურავების გადამუშავების ქარხანა, რომელიც ფხიკავდა პროტექტორიდან რეზინის ნარჩენებს და მისგან მზადდებოდა რეზინა-ასფალტის ნარევი, რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნა როგორც საავტომობილო გზებზე, ისე ქალაქის ქუჩებში ტრამვაის ლიანდაგებს შორის და სპორტულ სარბენ ბილიკებზე, მაგრამ მაშინდელი რეზინა-ასფალტის ტექნოლოგია იყო დაუხვეწავი, საწყის ფაზაში, მაშინ იდგმებოდა მსოფლიოში პირველი ნაბიჯები ამ

სფეროში, ამიტომ ამ მიმართულებით საქართველოში იმ დროისათვის პატარა პოტენციალის მქონე რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტაციური სამუშაოები არ გაგრძელებულა. დღეს ამ სფეროში დიდი მიღწევებია, ამიტომ საჭიროა სწორი მიღგომა და გამოყენება მსოფლიოს ტექნოლოგიების ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

## 2. საგზაო საფარის მოვლა – შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიები

ადრე თუ გვიან ყველა საგზაო საფარი იშლება. ცხადია, რომ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა პირველ რიგში დამოკიდებულია საგზაო სამოსის კონსტრუქციაზე. საგზაო საფარის ექსპლუატაციის ვადის გაზრდის ერთ-ერთი გზა პროფილაქტიკურ-ტექნიკური მომსახურებაა. ამ დროს შესაძლებელია საგზაო საფარის ფუნქციონირების ვადების გახანგრძლივება არა მარტო სრული საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში, არამედ უფრო მეტი დროითაც.


ნახ. 1 ნაჩვენებია საგზაო საფარის დაშლის ტიპიური მრუდი. დაშლის მთავარი მიზეზს წარმოადგენს დატვირთვები სატრანსპორტო ნაკადებისაგან და კლიმატური ფაქტორები. კიდევ ერთი მთავარი ფაქტორია საგზაო საფარში წყლის შეღწევა. ამის გამო ძირითადი პრევენციული მომსახურეობა მიმართულია საფარის “ჰერმეტულად” შენახვაზე.



ნახ. 1. საფარის დაშლის მრუდი

ბიტუმი დაძველებისას ხდება მყიფე და მსხვრევადი. როგორც ნახ.2 გვიჩვენებს პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებით შეგვიძლია განვაახლოთ საფარი და შევაჩეროთ მისი დაშლა. ეს ზომები შეგვიძლია განმეორებითაც გამოვიყენით რათა ა/ბ საფარის საექსპლუატაციო ვადა რაც შეიძლება გაგზარდოთ.

საგზაო საფარს მოვლა-შენახვითი სამუშაოებისა და კაპიტალური რემონტების დროს ჩნდება კითხვა: რა შეიძლება გაკეთდეს მას შემდეგ რაც საფარის გარკვეული ნაწილი გამოსულია წყობრიდან? გაჩენილი დეფექტები – ამოტებილობები, ზრდადი ბზარები, ქვის მასალის ამოვარდნები – უნდა აღმოიფხვრას ახალი საფარის მოწყობამდე. იმ შემთხვევაში როცა საფუძველს შეუძლია გვემსახუროს გაცილებით მეტი ვიდრე ეს საპროექტო დროით არის დაგეგმილი, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება, შეიძლება მოვაწყოთ დატვირთვის მშთანთქმელი ბზარებისადმი მდგრადი მემბრანა პოლიმერ-



ნახ. 2. საფარის მომსახურეობის ვადის გახანგრძლივება

მოდიფიცირებული ან რეზინის ფხვნილით მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენებით. იმ შემთხვევაში როცა დაზიანებამ უპავ გამოიწვია საფუძვლის ტექნიკურ მახასიათებლების ცვლილება, საჭიროებს უფრო საფუძვლიანი რემონტის ჩატარება.

საგზაო საფარში წყლის მოხვედრა არის უმთავრესი მიზეზი მისი დროზე ადრე დაშლისა. ვინაიდან საფარის დატენიანება უცილობლად იწვევს სიმტკიცის დაკარგვას. ეს ხდება რამოდენიმე მიზეზით:

- ასფალტბეტონის ფორებში წნევის გაზრდა, რის გამოც მცირდება შიდა ხახუნი და როგორც შედეგი – ძვრისადმი მდგრადობა;

- ნაწილაკების აორთქლება, რაც იწვევს მუშა წონის შემცირებას და ნაწილაკებს შორის ხახუნის შემცირებას;
- ნიადაგის გაფულება, რაც იწვევს საფარის უსწორმასწორობას;
- გაყინვა-გალღობის ციკლის მონაცელეობის შედეგად წარმოქმნილი, საგზაო სამოსის გაფულება.

იქიდან გამომდინარე, რომ საფარზე ავტომობილის საბურავიდან გადაცემული დატვირთვა იზრდება, ხოლო წყალი ამცირებს მის სიმტკიცეს, საფუძველზე დატვირთვების გადანაწილება უარესდება, რაც იწვევს სამოსის დეფორმაციებს და დაშლას, ასევე წვრილმარცვლოვანი ფრაქციების დაკარგვას და ამონატებების ფორმირებას. გაყინვა-გალღობა იწვევს ამ სიტუაციის დამბიმებას. საფარში წყლის მოხვედრის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ვუზრუნველყოთ შესაბამისი დრენაჟი და საფარის წყალგაუმტარობა.

საფარში წყლის შეღწევის სხვა მიზეზებია:

- ბზარები და შეპირაპირები. შესაძლებელია არა უშუალოდ საფარზე არამედ მიმდებარე უბნებზე;
- გუბენები გზის კიდეზე;
- წყლის ჭარბი ჩამონადენი გაზონებიდან და წყლის პირდაპირი მოხვედრა გვერდულებიდან საფუძველში;
- გაჭედილი, გაბზარული ან გატეხილი სადრენაჟო ან წყლის მილები;
- საფარი, რომლებიც მოწყობილია ჭრილში დრენაჟის გარეშე;
- საგზაო საფარის არასაკმარისი ქანობი, რაც ხდება წყლის დაგროვების მიზეზი საფარზე.

ეს ყველაფრი გამოწვეული წყალამრიდების არასწორი დაპროექტებით და მოწყობით. ამ პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა მხოლოდ დაპროექტების არამედ საფარის ექსპლუატაციის პროცესშიც.

რემონტის ეფექტურმა მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს საფარის წყალგაუმტარობა და გამორიცხოს სინესტის შეღწევა კონსტრუქციის ფენებს შორის. დაბზარული საფარი და საფარი რომელთა ექსპლუატაცია მიმდინარეობს ექსტრემალური პირობებში (დიდი ინტენსიობა, კლიმატური პირობების თავისებურება) აუცილებელია ვუზრუნველყოთ მაღალი ელასტიურობით და გაჭიმვაზე მაღალი სიმტკიცით,

რათა მათ წინააღმდეგობა გაუწიონი ტემპერატურულ ბზარების წარმოქმნას. ასეთმა საფარებმა ასევე უნდა შეანელონ ასახული ბზარების წარმოქმნა.

გზის საფარის მოვლა შენახვა – რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც დაპროექტება და მშენებლობა – შეგვიძლია დაგვით თრ ეტაპად:

1. საფარის დამცავი შრის მოწყობა;
2. ბზარების მიმდინარე რემონტი.

## 2.1. სლარი საფარები

სლარის ტიპის დამცავი საცვეთი ფენის მოწყობა არის საუკეთესო მეთოდი საფარის ზედა ფენის საექსპლუატაციო პარამეტრების აღსაღენად.

საფარი სლარი სილი წარმოადგენს სხმულ ემულსიურ–მინერალურ ნარეგს. მის შემადგენლობაში შედის: ბიტუმის ემულსია, გარკვეული გრანულომეტრიის ქვის მასალა, წყალი და სპეცდანამატი. ნარევი მზადდება ცივად და ხასიათდება გარკვეული უპირატესობით, რაც გამოიხატება რეცეპტის შერჩევასა და ნარევის დატანის მეთოდში.

მასალა ირევა და იგება სპეციალური (თვითმავალი ან ბუქსირებადი) მობილური კომპლექტით.

ნარევისათვის გამოიყენება ე.წ. „სწრაფ შემკვრელი ემულსია“. ეს ემულსიები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის კათიონური ტიპის, მათ გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობა ანიონურთან შედარებით. მაგ.: უზრუნველყოფების ქვის მასალისა და შემკრავის სწრაფ ურთიერთქმედებას (კარგი ადგეზიის ხარჯზე), და ნარევის სწრაფ ფორმირებას. სალარის საფარში მინიმალურია სიცარიელე. გამოირჩევა მაღალი სტაბილურობით და დეფორმაციისადმი მდგრადობით. ასეთი საფარი შეიძლება დაპროექტდეს სხვადასხვა გრანულომეტრიული შემადგენლობით და ბიტუმის სხვადასხვა ტიპებისათვის, რაც იძლევა ნარევის ოპტიმიზაციის საშუალებას.

სლარის საფარი უზრუნველყოფს:

- საფარის წყალშეუდწევადობას;

- პროფილის მცირე კორექტირებას (გრძივი და განივი დეფორმაციების არსებობისას);
- ნაკალევების შევსება;
- ზედაპირის ტექსტურირებას, შეჭიდულობის უზრუნველსა-ყოფად;
- გარეგნული მსგავსებას ასფალტბეტონის საფარებთან;
- ხმაურის დაბალ დონეს;
- მიმდინარე რემონტების ღირებულების შემცირებას 40%-მდე, საფარების საანგარიშო მომსახურების გადებში

სლარის საფარის თხელი ფენა (სისქით საშუალოდ 1–1.5 ქვის მასალის მაქსიმალური ზომიდან) გამოიყენება საგზაო ფენილის აღსადგენად. შემკვრელი შეიძლება იყოს როგორც ჩვეულებრივი ასევე პოლიმერმოდიფიცირებული. მოდიფიკატორად გამოიყენება ლატექსი. მისი ფუნქცია არის სიმტკიცის სწრაფი მიღწევა, ელასტიურობისა და შემკვრელის დარბილების ტემპერატურის ამაღლება. ემულსიური სისტემები არსებობს როგორც ნელი არევე სწრაფშემკვრელი. მოძრაობა შეიძლება გახსნას 1–4 საათში.

სლარი სილის ნარევში გამოიყენება მცირე ზომის ქვის მასალა და ნარევის სისქე განისაზღვრება მაქსიმუმ 8 მმით. სლარი სილი გამოიყენება:

- მტკიცე, მაგრამ უკვე დაუანგული ზედაპირის ჰერმეტიზაციისათვის;
- ზედაპირის ტექსტურისა და შეჭიდების თვისებების აღსადგენად;
- გაცვეთილი ზედა ფენის აღსადგენად და ქვის მასალის შემდგომი ამოვარდნის თავიდან ასაცილებლად;
- ხმაურის შესამცირებლად;
- იმ ადგილებში, როცა სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელია უფრო სქელი ფენების გამოყენება.

## 2.2. მიკროსურფეისინგი (ზედაპირის მიკროპროფილირება)

მიკროსურფეისინგი კეთდება სლარის ტიპის მინერალურ-ემულსიური ნარევისაგან, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაგოთ ნარევი უფრო სქლად და რამდენიმე ფენად. იგი გამოდის უფრო მტკიცე ვინაიდან ქვის მასალებს უყენებს უფრო მაღალ მოთხოვნებს. ეს ტექნოლიგია გამოიყენება როგორც უმნიშვნელოდ დეფორმირებული ზედაპირების გასასწორებლად ასევე კვალის მოსასპობად. პოლიმერებით მოდიფიცირება საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ უფრო დიდი ზომის ქვის ფრაქცია. მაღალი კოჰეზია უფლებას გვაძლევს დავაგოთ უფრო სქელი ფენები რომლებიც აიტანენ უფრო მაღალ დატვირტვას დეფორმირების გარეშე. ასეთი ნარევების პოლიმერულ მოდიფიცირებისათვის გამოიყენება EVA და ლატექსი, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ ნარევი კვალის წარმოშობისადმი მაღალი წინააღმდეგობით. ფენების სისქე აღწევს 50-75 მმ. ესეთი მასალები იწარმოება სპეციალური ემულგატორების დამატებით რათა გაიზარდოს კოჰეზია და დაჩქარდეს გაქვავება. გარემონტებულ მონაკვეთებზე მოძრაობა შეიძლება დაიწყოს 30 წუთიდან 1 საათამდე დაგების შემდეგ. საკმაოდ დაბალ ტემპერატურებზე.

მიკროსურფეისინგი გამოიყენება:

- კვალის შესავსებად
- გვერდულების გასაფართოვებლად
- პროფილის უმნიშვნელო შესწორებისათვის
- ყველგან სადაც შესაძლებელია სლარისილის გამოყენება

მიკროსურფეისინგის და სლარი სილის ტიპის ფენილებს შეუძლიათ აიტანონ მაღალი დატვირთვები მოძრაობის ინტენსივობა. სამოსის დაძველების შედეგად ფენილი ცვდება. დღეისათვის საქართველოში არსებული ტიპის ფენილების სამსახურის ვადა მაღალმთიან ექსტრემალურ პირობებში შეადგენს 3 წელს. იქ სადაც დიდია მოძრაობის ინტენსივობა ან ქვის მასალა დაბალი ხარისხისაა საჭირო ხდება დასაგები ფენის სისქის გაზრდა ან ორი ფენის მოწყობა. მიკროსურფეისინგის და სლარი სილის ფენილები გაცვეთილ მდგომარეობაშიც ინარჩუნებენ თავის ფუნქციონალურ თვისებებს.


ახდენენ ფენილის გერმეტიზაციას ავსებენ რა სიცარიელეებს ქვედა ფენაში. ასევე ფენილები იოლად იტანენ ინტენსივობას 40000 ავტომობილი დღე დამეში. მიკროსურფეისინგის მეთოდი არ არის განკუთვნილი ბზარების რემონტისათვის მაგრამ შეიძლება გამოვიყენოთ ამ მიზნით მემბრანულ ფენილებთან ერთად, რომელიც მოწყობილია რეზინაბიტუმისა და პოლიმერმოდიფიცირებული შემკვრელებისაგან. მიკროსურფეისინგი და სლარი სილი წარმოადგენენ სასარგებლო დანამატს ჩვენში არსებულ მიმდინარე რემონტისა და მოვლა-პატრონობის ტექნოლოგიებისათვის. ჩვენს მიერ ჩატარებული ცდების საქართველოს სხვადასხვა, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანრაიონებში გვიჩვენებს მათი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას.

### 2.3. მასალების და ნარევის რეცეპტურის შერჩევა დაბალი ტემპერატურის პირობებში დაგებისათვის

სლარის ტიპის ფენილი შედგება 4 ძირითადი კომპონენტისაგან: ემულსია, წყალი, ქვის მასალა და ნარევის დაშლის სიჩქარის რეგულატორი. ეს მასალები ირევა ერთმანეთში ზუსტი პროპორციით სკეციალური მოწყობილობის გამოყენებით.

#### 2.3.1 ემულსიები

**ბიტუმი.** ბიტუმი არის ემულსიის ძირითადი კომპონენტი. ბიტუმებს აწარმოებენ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ქარხნები, მაგრამ შეიძლება ბიტუმის სტრუქტურის ანუ მისი ქიმიური შემადგენლობის ისე კორექტორება რომ გამოვიყენოთ ნებისმიერი ბიტუმი. ამ მიზნით ჩატარდა ბიტუმის ანალიზი ფრაქციების დაყოფის ქრომოგრაფიული მეთოდით. ცდებით და ქიმიკატების გამოყენებით შეიქმნა ეგრედწოდებული „ბიტუმის მასალების ზონა“ ბიტუმის ფიზიკური თვისებების თვალსაზრისით, მოცემული მასალა ნახ.3 მიღებულია ბიტუმი დაუანგული ჰაერის შებერვით. იგი შეიძლება გაუმჯობესებულ იქნას მასალა „Roadchem“ 701 -ის და ემულგირების ახალი ტექნოლიგიების გამოყენებით.



ნახ.3. ბიტუმის ქიმიური შემადგენლობის შეფასება

**პოლიმერებით მოდიფიკაცია.** ბიტუმის პოლიმერებით მოდიფიკაცია აუცილებელია ექსტრემალურ, მაღალ და დაბალ ტემპერატურებზე მუშაობისათვის. მოდიფიკატორად შეიძლება გამოვიყენოთ:

- რეზინის ფხვნილი დისპერგირებული სახით;
- ბუტადიენ-სტიროლი ბლოკ-თანაპოლიმერები (ხაზოვანი და რადიალური), შერეულ ბიტუმთან ემულგირებამდე;
- ბუტადიენ-სტიროლის შემთხვევითი თანაპოლიმერი ლატექსის ფორმის;
- ნეოპრენის ლატექსი.

ყველა ესენი შეიძლება იყვნენ საკმაოდ ეფექტურები. აუცილებელია რომ ბიტუმი მოდიფიცირდეს ნარევებისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ცხრილში1. მოცემულია შემკრავის ტესტირების შედეგები, რომელიც დამზადებულია ნავთობის ბიტუმისაგან. ნაჩვენებია დინამიური ძვრის რეომეტრით ტესტირების შედეგები. რეომეტრით ტესტირების შედეგად მიღებულია დაბალი ტემპერატურის ეფექტური დიაპაზონი.

ცხრილი 1. პოლიმერმოდიფიცირებული შემკვრელების თვისებები.

ემულსია	(მა) 20 0C 10რად/წმ	ზაზური ბუთხე 50°C 10 რად/წმ	სიმტკიცე მაქს. 300მპა	ეფექტური დაბალი ტემპერატურა
3%SBR	3,2	55	-15°C	-25°C
5%SBR	5,7	52	-25°C	-30°C
10%SBR	6,4	43	-35°C	-45°C
3%SBS	2,3	52	-20°C	-30°C
5%SBS	3,1	49	-35°C	-40°C
5%SBS/ 3%SBR	3,6	43	-40°C	-45°C
5%SBS/ 3%ბოჭკო	3,9	47	-25°C	-30°C
5%SBR/ 5%RG-1	5,7	51	-25°C	-35°C


ემულსიის რეცეპტურის შემუშავება და მისი წარმოება. ბიტუმის ემულსიის ძირითადი თვისებებია სტაბილურობა შენახვისას, კარგი შემოკვრა ქვის მასალაზე არევის დროს, ადგეზიის უზრუნველყოფა, მასალის გამყარების სიჩქარე. ამ თვისებების უმრავლესობა არის დამოკიდებული ნაწილაკების ზომაზე და მათ განაწილებაზე ემულსიაში ზომის მიხედვით. ეს თავის მხრივ დამოკიდებულია ბიტუმის ტიპზე და თვისებაზე, მოწყობილობაზე რომელიც გამოიყენება ემულსიის და ქიმიური ნივთიერებებისთვის და მათი სტაბილიზაციისთვის. უფრო წვრილი და მონოდისპენსიური ნაწილაკები ახდენენ სიბლანტის, ადგეზიის და დაშლის სიჩქარის ოპტიმიზირებას, მაგრამ ამ დროს სახეზეა შეზღუდვა გამოწვეული ბიტუმის შემცველობით ემულსიაზე და მისი გავლენა დაშლის სიჩქარეზე. როგორც ჩვენ დავადგინეთ საუკთესო შედეგებს იძლევა წვრილი ნაწილაკების 1-5 მიკრონის განაწილების ვიწრო დიაპაზონი. ნაწილაკების საჭირო ზომების მისაღებად გამოიყენება ქიმიური კომპონენტების გარკვეული კომბინაცია და კოლოიდური წისქვილი. „Charlotte”-ს ტიპის წისქვილის ბაზაზე, მოწყობილი მცირე დრეჩოთი იძლევა 5 მიკრონზე ნაკლები ზომის ნაწილაკებს. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლი.

### 2.3.2. ქვის მასალა

ქვის მასალას მიეკუთვნება განმსაზღვრელი როლი სლარი სილის და მიკროსურფეისინგის ტიპის ფენილების საექსპლუატაციო თვისებების უზრუნველყოფაში. ქვის მასალის ძირითადი თვისებაა: სიმტკიცე, ცვეთამედეგობა და წინააღმდეგობა გაპრიალებისადმი. ქვის მასალა თავისი მახასიათებლებით შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ცხელ ასფალტებულნის ნარევებისათვის ასევე სლარი სილისათვის, მაგრამ ჩვენ პირობებში არსებობს აშკარა პრობლემა, ქვის მასალები, შესაბამისი გრანულომეტრული შემადგენლობით. ხშირად მნელია ვიპოვოთ ისეთი ქვის მასალა რომელიც დააკმაყოფილებს მიკროსურფეისინგის და სლარი სილის ქვიშის ექვივალენტის მოთხოვნებს. გვხვდება პრობლემები ქვის მასალის დიდი ზომების გამორომლებიც იმყოფებიან ემულსიისა და მინერალური ნარევების გამოყენების საერთაშორისო ასოციაციის სპეციფიკაციის ზღვრის მიღმა. მაგალითად მეორე ტიპის სამოსისათვის (მარცვლის მაქსიმალური ზომა 6 მმ). ასეთი ფენილის მოწყობისას რამოდენიმე მონაკვეთზე გამოყენებული იქნა 25 მმ მასალა 3%-ის ოდენობით.

ქვის მასალა აუცილებელია წინასწარ გაირეცხოს თიხის მოსაცილებლად. ყოველთვის აუცილებელია ქვის მასალის დამატებით გაცრა ჩვეულებრივ საცერში.


ნარევის გამკვრივების დაჩქარბისათვის იყენებენ სხვადასხვა დანამატებს უმრავლესობაში ცემენტს, იშვიათად კირს, რათა დააჩქარონ კათიონური ემულსიის სტაბილურობის შემცირების რეაქცია. კალციუმის იონების დამატება საშუალებას იძლევა ვაკონტროლოთ შერევა. ემულგატორებისა და დაშლის რეგულატორების გულდასმით შერჩევა შემავსებლის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით საშუალებას იძლევა გავაკონტროლოთ ნარევის შემჭიდროვების აჩქარება ან შენელება. ნახ.4 გვიჩვენებს თუ როგორ ეფექტს ახდენს დანამატების რაოდენობა მოძრაობის გახსნის დროზე საქართველოს პირობებში სამი ტემპერატურული რეჟიმის შემთხვევაში.



ნახ. 4. დამატებების გავლენა ნარევის გამკვრივების სიჩქარეზე და  
მოძრაობის გახსნაზე


იმისათვის რომ სავალი ნაწილის გახსნა მოხდეს უმოკლეს ხანში საჭიროა ნარევის რეცეპტის კორექტირება ამინდის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევაში დაშლის სიჩქარის რეგულატორად გამოიყენება ისეთი მასალები როგორიცაა, ნატრის და კალცის მარილები, ქლორიდები, ბორის მარილი და სხვა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები. მათი პროფილაქტიკური ზემოქმედება განისაზღვრება იმით რომ ის ხელს უწყობს ქვის მასალისა და ემულგატორს შორის ბარიერის ფორმირებას.

ნარევის ტემპერატურის შერჩევა ხდება ამინდისა და კლიმატის პირობების, მოძრაობის ინტენსივობის და საგზაო სამოსების საჭირო საექსპლუატაციო თვისებების (ცვეთამედეგობის დეფორმაციებისადმი წინააღმდეგობა და გამტკიცების სისწრაფე) მიხედვით. გამტკიცების სიჩქარეზე დიდ გავლენას ახდენს ტემპერატურული რეჟიმი და ტენიანობა. მიკროსურფესინგის ნარევებზე მოძრაობა იხსნება უფრო ადრე სლარის ნარევებთან შედარებით. ნახ. 5-ზე ნაჩვენებია გამტკიცების სიჩქარე სლარის და მიკროსურფესინგის შემადგენლობებისათვის გარკვეული ტემპერატურის დროს დატენიანების მიხედვით.



ნახ. 5. ტემპერატურის, დროისა და ტენიანობის გავლენა სლარი სილის და მიკროსურფეისინგის ფენილების გამტკიცებაზე

ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია ნარევის შერჩევა. ნორმალურ პირობებში განსხვავება მცირეა, მაგრამ დაბალი ტემპერისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში რაც ასე ახასიათებს დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებს, ისინი მეტად მნიშვნელოვანი ხდებიან. სამოსის კონსტრუქციებში პოლიმერების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიან ცივი კლიმატური პირობების მქონე რეგიონებში (გუდაური, ბახმარო, ბაკურიანი და ა.შ.). როგორც ნაჩვენებია ნახ.6-ზე პოლიმერები ხელს უწყობენ სამოსის მუშაობას დაბალ ტემპერატურაზე, უნარჩუნებენ რა მათ მოქნილობას.



ნახაზი 6. ბზარწარმოქმნის ტემპერატურები სხვადასხვა ტიპის ნარევებისათვის. ზედაპირის ტიპიური სახე

### 3. თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა

#### 3.1. ორგანული შემკვრელი მასალების ქიმიური შედგენილობა და სტრუქტურა

სხვადასხვა სახის ბიტუმები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგი შეიცავს 70-87% ნახშირბადს, 15%-მდე წყალბადს, 2%-მდე ჟანგბადს, 1,5%-მდე გოგირდსა და მცირე რაოდენობით აზოტს. გარდა ზემოთაღნიშნულისა, მასში რთული ნაერთების სახით გვხვდება ზოგიერთ ლითონთა (V, Ni, Co, Fe, U) კვალი. ორგანულ ნაერთთა საფუძველს წარმოადგენს ნახშირწყალბადები – სპეციფიკური ფუნქციური ჯგუფები. სწორედ, ამ ჯგუფთა ცვალებადობა იწვევს ორგანული მოლეკულების ქიმიური თვისებების ცვლილებას.

ორგანულ შემკვრელთა შემადგენლობაში სჭარბობს ნახშირბადი (C) და წყალბადი (H). ნახშირბადი ოთხვალენტიანი ელემენტია. მისი ატომები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და წარმოქმნის ჯაჭვურ და ციკლურ ნაერთებს.

ატომთა რაოდენობისა და მათი ურთიერთგანლაგების მიხედვით, იცვლება ნივთიერების თვისებები.

ნახშირწყალბადების ნაერთთა სხვადასხვა კლასისათვის C/H ფარდობა სხვადასხვაა. იგი იზრდება პარაფინური ნახშირწყალბადთა ნაფტენურში და ნაფტენურიდან არომატულში გადასვლით. C/H ფარდობის მიხედვით განისაზღვრება ორგანულ შემკვრელ მასალაში არომატული ნახშირწყალბადების რაოდენობა. ბიტუმის შედგენილობაში არსებული მცირე რაოდენობის ჟანგბადი, გოგირდი და აზოტი ურთიერთქმედებს სხვა ნაერთებთან და წარმოქმნის აქტიურ ფუნქციონალურ OH, COOH, NH<sub>2</sub>, SH ჯგუფებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ბიტუმის თვისებებზე.

ბიტუმის ელემენტარული შედგენილობა იძლევა მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას მასში შემავალ რთულ ნაერთებზე: ამიტომ მათზე რომ ვიქონიოთ ნათელი წარმოდგენა, საჭიროა განისაზღვროს შემკვრელის ჯგუფური შედგენილობა, ანუ სხვადასხვა ჯგუფის

ნახშირწყალბადების შემცველობა.


ბიტუმიდან გამოიყოფა შემდეგი ჯგუფის ნახშირწყალბადები: ზეთები 40-60%. ფისები (მჟავე და ნეიტრალური) 20-40%. ასფალტენები 20-40%. ასფალტური მჟავები და მისი ანპიდრიდები 1%, კარბენები და კარბოიდები 1-3%, პარაფინი.

ზემოთჩამოთვლილი კომპონენტები ხასიათდება განსაზღვრული ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, რომელიც გავლენას ახდენს ორგანული შემკვრელის დისპერსიულ სტრუქტურაზე.

ბოლო წლებში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა ფუნქციური კავშირი შემკვრელის ქმიურ შედგენილობას, სტრუქტურასა და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს შორის. წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე შემკვრელის მისაღებად. ნივთიერი შედგენილობის გარდა, საჭიროა ვიცოდეთ მისი სტრუქტურის წარმოქმნის ბუნება.

საერთოდ, მაღალმოლექულურ ნაერთთა და კერძოდ, ორგანულ შემკვრელ მასალათა სტრუქტურული აგებულების ორი თეორია არსებობს: მიცელარული და მაკრომოლექულური.

მიცელარული თეორია შემუშავდა მაღალმოლექულური ნაერთებისათვის. ამგვარ ნაერთთა კოლოიდური ნაწილაკები ძირითადად ერთი სახის იონებს აადსორბიდებს და განსაზღვრული ნიშნის მუხტს იძლევა. მიღებული კომპლექსი შედგება დისპერსიული ფაზისა და მასზე ადსორბირებული საპირისპირო ნიშნის იონებისაგან (ნახ. 7).



ნახ. 7. კომპლექსი დისპერსიული ფაზისა და მასზე ადსორბირებული საპირისპირო ნიშნის იონებისაგან

ასეთ კომპლექსს გრანულას უწოდებენ, ხოლო იმ ნაწილს, რომელზეც იონები ადსორბირდებიან – გრანულას (ნაწილაკის) ბირთვს. ბირთვთან ახლოს განლაგებული ნაწილაკები უფრო ძლიერ მიიზიდება და ხსნარში ერთი მთლიანი ნაწილაკით გადაადგილდება. ასეთი სახის კომპლექსს მიცელა ეწოდება.

ბიტუმის კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა კოლოიდური სტრუქტურის თეორია. მის შემუშავებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ბიტუმი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან – ლიოფობური ნაწილი (ასფალტენი) შემოფარგლულია ლიოფილური დამცველი ნაწილაკებით (ფისი) და და ერთად ქმნიან მიცელას, რომელიც სუსპენზიონულია ზეთის გარემოში. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიტუმ-ბენზოლის ხსნარი იძლევა ტინდალის (შუქბაბნევა) ეფექტს, ხოლო სუსპენზიონულ გარემოში შეიმჩნევა ბროუნის მოძრაობა. მიცელარული თეორიის თანახმად, ნივთიერების გათხევადებისას გამხსნელი თავდაპირველად ხვდება მიცელათა შორის და იწვევს გაჯირჯვებას. შემდგომ ეტაპზე გამხსნელი შეაღწევს მიცელას გულში და შლის მას. ურთიერთშორის კავშირდაკარგული და გაჯირჯვებული მიცელა, თბური მოძრაობის შედეგად, სცილდება ერთმანეთს და გადადის ხსნარში, ასეთნაირად ხსნიდა მიცელარული თეორია სისტემის პეტერგენულობას და არამდგრადობას. შემდგომში ბიტუმის დინების ხასიათის სხვადასხვაობით ახსნეს კოლოიდური სტრუქტურის თავისებურებები. ტემპერატურის გავლენით კონსისტენციის ცვალებადობის მიხედვით, ბიტუმი დაიყო სამ ჯგუფად:

1. ბიტუმი პენეტრაციის ინდექსით – 2 და ნაკლები. ასეთი ბიტუმის დისპერსიული ფაზა არ წარმოქმნის მთლიან ხისტ სტრუქტურას და არ ხასიათდება ძვრის წინაღობით. როგორც ცნობილია, ამგვარ სტრუქტურას ზოლს უწოდებენ;
2. ბიტუმი ინდექსით +2 და მეტი; პირველისაგან განსხვავებით, დისპერსიული ფაზის ნაწილაკები სიგრცობრივ ხისტ სტრუქტურას ქმნის და ძვრის მაღალი წინაღობით ხასიათდება. ამგვარ სისტემებს, გელს უწოდებენ;
3. ბიტუმი –2-დან +2-მდე პენეტრაციის მაჩვენებლით, მიეკუთვნება საშუალო სტრუქტურას სტრუქტურას – ზოლი-გელი.

მიცელარული თეორია ვერ ხსნის, თუ რა განაპირობებს ბიტუმის სტრუქტურის თერმოდინამიკურ მდგრადობას, ან რატომ შესწევთ უნარი ასფალტენებს და ფისებს, ენერგიის დაუხარჯავად და სტაბილიზატორის გარეშე გაიხსნას ზეთის გარემოში და სხვა საკითხებს. ამიტომ, მიცელარულმა თეორიამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

მაკრომოლეკულური თეორია მაღალმოლეკულურ ორგანულ ნივთიერებებს განიხილავს, როგორც ჯაჭვურ ან განშტოებულ მაკრომოლეკულათა ნაერთებს და ეყრდნობა შემდეგ ძირითად დებულებებს:

1. მაკრომოლეკულები წარმოადგენს წრფივ განშტოებად ბადისებრი და სიგრცობრივი აგებულების ჯაჭვს;
2. მაკრომოლეკულები განუწყვეტლივ იცვლიან თავის მდგომარეობას და კონფიგურაციას და სხვადასხვა ფორმას დებულობენ.
3. მაღალმოლეკულურ ნაერთთა /მმნ/ თვისებები დამოკიდებულია მოლეკულურ მასაზე, ფორმაზე, მოქნილობაზე, ქიმიურ შედგენილობასა და ასოციაციის ძალების სიდიდეზე. მოლეკულური მასის ზრდა იწვევს მოლეკულათა ურთიერთმოქმედებისა და სიბლანტის ზრდას, ხოლო ფუნქციონალური ჯგუფები იწვევს ჯაჭვთა სიხისტის ზრდას.

ეს თეორია, მიცელარულისაგან განსხვავებით, ბიტუმის სტრუქტურას განიხილავს სხვა კუთხით. თუ ჩავთვლით, რომ ბიტუმი წარმოადგენს მალტენებში გახსნილ ასფალტენების ხსნარს და გამოვიკვლევთ მის სიბლანტეს ტემპერატურაზე დამოკიდებულებით, მაშინ დავინახავთ, რომ  $120^{\circ}\text{C}$ -ზე მეტ ტემპერატურაზე ასფალტენები მოლეკულურად არის დისპერსირებული. დაბალ ტემპერატურაზე კი წარმოქმნის ასოცირებულ კომპლექსებს. ასფალტენების კონცენტრაციისა და მალტენების შედგენილობის მიხედვით, ბიტუმის დენადობა იცვლება ნიუტონისეული ხსნარიდან არანიუტონისეულ ტიპამდე.

თანამედროვე შეხედულებების მიხედვით, ყველა სახის საგზაო და სამშენებლო ბიტუმი განიხილება, როგორც ნავთობის ზეთებსა და ლნობადი ფისების გარემოში გახსნილი ასფალტენებისა და მყარ მმნ ხსნარები. მმნ ხსნარების თეორიის თანახმად, გარემო პირობების (წნევის, ტემპერატურის), მიხედვით ბიტუმი იმყოფება სხვადასხვა თერმოდინამიკურ პირობებში, ე.ი. წარმოქმნის ჭეშმარიტ ხსნარს (მაღალი ტემპერატურისას) ან ასფალტენების და ფისების კოლოიდური

ხსნარის ზემოლექულურ სტრუქტურას (ასოციაციებს), ან პლასტიკურ და შემდეგ, მყარ სხეულს.

დარბილების ტემპერატურის ქვემოთ ვითარდება სტრუქტურულ ერთეულთა ასოციაციების პროცესები გარდამავალი ტიპის პლატიკურ-ამორფული სხეულისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის წარმოქმნით. სიმყიფის ტემპერატურაზე დაბლა, ამფორულ ნივთიერებასთან ერთად გვხვდება კრისტალური ნაერთებიც. სტრუქტურის ასეთნაირი ცვალებადობა თერმოდინამიკურად შექცევადია და ყველა სახის ბიტუმისათვის მიმდინარეობს ტემპერატურის განსაზღვრულ ინტერვალში.

თხევადი (ბლანტი) მდგომარეობიდან პლასტიკურში ან მყიფე მდგომარეობაში გადასვლისას, სტრუქტურის წარმოქმნის პროცესების განვითარებისა და ასოციატთა ზრდის გამო, შეინიშნება ნიუტონისეული ტიპის დინებიდან გადახრა. ამასთან ერთად, მატულობს დრეკადი დეფორმაციები.

ამგვარად, სტრუქტურის ტიპი დამოკიდებულია ბიტუმის თერმოდინამიკურ მდგომარეობაზე, გარემო პირობების ცვლილება განსაზღვრავს თხევადიდან პლასტიკურში, შემდეგ კი მყიფე მდგომარეობაში გადასვლის საზღვრებს, ანუ მასალის რეოლოგიურ თვისებებს. კომპონენტთა მოლეკულების ფორმისა და ზომის გარდა. ბიტუმის თვისებებზე გავლენას ახდენს სტრუქტურის წარმოქმნის რთული კომპლექსი. მაღალი ტემპერატურის ბიტუმის თვისებებზე კომპონენტთა ქიმიური შედგენილობა უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე მოლეკულათაშორისი და სტრუქტურათაშორისი ურთიერთქმედების ძალები. ხოლო დაბალი ტემპერატურისას, ეს უკანასკნელი ძრითად როლს ასრულებს.

მოლეკულათა განშტოება დიდ გავლენას ახდენს მის მოქნილობაზე. მოკლე და ხშირი გვერდითი ჯაჭვები ზრდის მოლეკულათა სიხისტეს. მეჩხერი მაგრამ გრძელი განშტოება ამცირებს მოლეკულათაშორის ურთიერთქმედებას, მცირდება სიხისტის და შესაბამისად, სიმყიფის ტემპერატურაც.

მმნ ხსნარების ურთიერთქმედებაზე დიდ გავლენას ახდენს ტემპერატურა. მისი ზრდით მატულობს თბური მოძრაობა და იწვევს ასოციატების დაშლას, დაწევა კი პრიქით – ზრდის ასოციატებს.

ამგვარად, ხსნარის კონცენტრაციის ზრდით და ტემპერატურის დაწევით შეიძლება გაიზარდოს ასოციატთა სიდიდე და არსებობის დრო. გარდა ამისა, შეიძლება მოიძებნოს ასოციატთა სიდიდე და არსებობის ზრდის ისეთი პირობები, რომ მათგან მივიღოთ ახალ ფაზა-გელი, ხსნარის ახალი სივრცობრივი ბადე. ასეთ სტრუქტურაში ასფალტენს ენიჭება უპირატესობა. ასფალტენის მოლეკულა მიიზიდავს სხვა პოლარულ მოლეკულას და წარმოქმნის ძლიერ ასოცირებულ კავშირს, თავის მხრივ, ეს ორი სხვადასხვა მოლეკულა მიიზიდავს მესამეს, რომელიც განლაგდება მათ შორის.

სივრცობრივი ბადის წარმოქმნელი მოლეკულები შეიცავენ არომატულ ან ჰეტეროცალურ რგოლებს, რომელთა შორს რჩება ღრუ (სიცარიელები), სადაც განლაგდებიან საშუალებო (შემაკავშირებელი) მოლეკულები. წარმოქმნილი სტრუქტურის ტიპი. ძირითადად დამოკიდებულია ასფალტენისა და ფისის რაოდენობაზე, ხარისხსა და გამხსნელის ხსნადობის უნარზე.

ბიტუმს, რომელიც შეიცავს მცირე რაოდენობის დაბალმოლეკულურ ასფალტენს, აქვს მოუწესრიგებელი სტრუქტურა და ხასიათდება, როგორც ნიუტონისეული სითხე.

ასფალტენების ასოცირებული კომპლექსები კრისტალებს არ წარმოქმნიან. ასეთი კომპლექსების წარმოქმნისას ერთი მოლეკულა ასფალტენის სეგმენტი ერთიანდება ასფალტენების, ფისებისა ან არომატულ კომპონენტთა მოლეკულების სეგმენტებთან და წარმოქმნის ბადეს, მაშინ როდესაც სხვა სეგმენტი დაშლილია გამხსნელის გარემოში და არ კონტაქტირებს მათთან. ასეთ პირობებში შეკავშირებული სეგმენტი წარმოქმნის გარკვეული წესით მოწესრიგებულ სტრუქტურას – დრეკადი გელის სტრუქტურას. ამგვარი სისტემა მდგრადია (თვისებებს არ იცვლის დროში) და მტკიცეა მექანიკური ზემოქმედების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ სრუქტურას შეიძლება ჰქონდეს ორი ფაზა. ერთი – მაღალმოლეკულური ნივთიერებების ბადე და მეორე – ზეთები ფაზასთან სუსტი შეკავშრების შემთხვევაში, ზეთოვანი გარემო მექანიკური ზემოქმედების, დიფუზიის, თბურ და მზის სხივების (სინერეზის), ან გელის

სტრუქტურული ბადის კუმშვის (კოტრაქცია) შედეგად შეიძლება გამოეყოს მოლექულურ ბადეს.

ზემოთაღნიშნულ, მოწესრიგებულ და მოუწესრიგებულ, ორ სტრუქტურას შორის არსებობს მრავალი საშუალო სტრუქტურა, რომელთა ხასიათი იცვლება ტემპერატურისა და ბიტუმის ცალკეულ კომპონენტთა ხარისხისა და კონცენტრაციის ცვალებადობის მიხედვით.

ბლანტ ბიტუმში მყარი ასფალტენების კონცენტრაცია 15-40% ფარგლებში მერყეობს. ამიტომ, უპარაფინო ბიტუმი გაყინვისას ბლანტიდან მყიფები, მინისებრ მდგომარეობაში გადადის. მმნ თეორიის თანახმად, ეს აიხსნება იმით, რომ მოლექულათა თბური გადაადგილების ენერგია გაცილებით ნაკლები ხდება მოლექულათა ურთიერთქმედების ენერგიაზე, ხოლო მეზობელ მოლექულათა გადაჯაჭვების სიჩქარე იმდენად მცირდება, რომ მოლექულა ვერ იცვლის ვერც თავის კონფიგურაციას და ვერც მდგომარეობას, ე.ი. იზრდება მოლექულათა შორისი ძალები და სისიტემაში წონასწორობის აღდგენის პროცესი ძალიან ნელა მიმდნარეობს. ასეთ პროცედური მმნ გარე ძალებით გამოწვეული დეფორმაციები უმნიშვნელოა და ისეთივე ხასიათს ატარებს, როგორც დაბალმოლექულური მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახის ბიტუმს მინისებრ მდგომარეობაში გადასვლის ტემპერატურა სიმყიფის ტემპერატურაზე ნაკლებია.

ზემოთაღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით, უარყოფით ტემპერატურაზე ბიტუმი უნდა განვიხილოთ, როგორც სტაბილური სხეული და არა ზედმეტად გაცივებული ხსნარები – გაუწონასწორებელი მეტასტაბილური სისტემები. პარაფინიანი ბიტუმის გაყინვისას კი მიმდინარეობს პარაფინის სწრაფი კრისტალიზაცია, ბიტუმი კარგავს სიკრიალეს და მქრქალდება. პარაფინის კრისტალები წარმოადგენს ასფალტენების ასოციაციების ცენტრებს, წარმოქმნის მსხვილ აგრეგატებს და ილექტება.

ამგვარად, ისეთი როლი სისტემის თვისებები, როგორიც ბიტუმია, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია: ასფალტენების კონცენტრაცია, მისი ქიმიური ბუნება, მოლექულათა ფორმა და ზომა როგორც გრძივი, ასევე განივი მიმართულებით; სისტემაში ფისებისა და სხვადასხვა რიგის

ნახშირწყალბადების თანაფარდობა და მათი ქიმიური ბუნება აღნიშნული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე, შემუშავებულ იქნა ბიტუმის სამი სტრუქტურული ტიპი.

I სტრუქტურული ტიპის ბიტუმი შეიცავს 25%-ზე მეტ ასფალტენს, 24%-ზე ნაკლებ ფისს და 50-ზე მეტ ნახშირწყალბადს. ამასთან, ასფალტურ-ფისოვან ნაერთთა საერთო ჯამში ასფალტენის ხვედრითი წილი 0,5-ზე მეტია, ხოლო ასფალტენის ფარდობა ნახშირწყალბადთან და ფისთან 0,35-ზე მეტი. I ტიპის სტრუქტურა წარმოადგენს ასფალტენის კოაგულაციურ ბადე-კარკასს, რომელიც იმყოფება სუსტმასტრუქტურებელი ფისის გარემოში. გარემო შედგება პარაფინ-ნაფტენური და არომატული ნახშირწყალბადის ნარევისაგან. მათი სიბლანტე მკვეთრად ეცემა მექანიკური ზემოქმედების შედეგად. დაშლილი სტრუქტურის სიბლანტე საწყისის მხოლოდ 6,5-12%-ს შეადგენს, მაგრამ აღადგენს სტრუქტურას 1-2 დღის შემდეგ. ე.ო. თბური მოძრაობის შედეგად ასფალტენების აგრეგატების და ნაწილაკთა ურთიერთქმედება იწვევს საწყისი სტრუქტურის აღდგენას, ამიტომ I ტიპის ბიტუმი მაღალტიქსოტოპიული თვისებებით გამოირჩევა. ტემპერატურის ფართო დიაპაზონში I სტრუქტურა იცვლება კონდენსაციურ-კრისტალიზაციურიდან, კოაგულაციური სტრუქტურის გავლით, ჭეშმარიტ ხსნარამდე. მყარი პარაფინი იწვევს დამატებითი სტრუქტურის ბადის წარმოამნას, იგი გამოკრისტალდება ასფალტენებზე და კოაგულაციურ კარკასთან ერთად, დამატებით წარმოქმნის კრისტალიზაციურ ბადეს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბიტუმის რეოლოგიურ და ადჰეზიურ თვისებებზე.

II სტრუქტურული ტიპის ბიტუმი შეიცავს 18%-მდე ასფალტენს, 36%-ზე მეტ ფისს და 48%-ზე მეტ ნახშირწყალბადებს. ასფალტურ-ფისოვან ნაერთთა საერთო ჯამში ასფალტენის ხვედრითი წლის 0,34-ზე ნაკლებია, ხოლო მისი ფარდობა ნახშირწყალბადებისა და ფისის ჯამთან 0,22-ზე ნაკლები. სტრუქტურის II ტიპი წარმოადგენს ასფალტენის მაქსიმალურად სტაბილიზებულ განზაგებულ სუსპენზიას ძლიერმასტრუქტურებელი ფისის დისპერსიულ გარემოში. ასფალტენები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული და არც ურთიერთქმედებენ, ისინი

აადსორბირებენ ფისს და გაჰყავთ იგი აფსკურ მდგომარეობაში. წარმონაქმნი ხასიათდება დიდ სიბლანტით და მექანიკური სიმტკიცით.

მექანიკური ზემოქმედების შედეგად, II ტიპის ბიტუმთა სიბლანტე თითქმის არ იცვლება და ინარჩუნებს საწყისის 90-96%-ს, ე.ი. სტრუქტურა თითქმის არ იშლება, მაგრამ ხასიათდება შეუძლებადი პროცესებით. მექანიკური ზემოქმედების შედეგად, მცირე დაშლილი სტრუქტურა არ აღიდგენს პირვანდელ სტრუქტურას და ტიქსო-ტროპიული თვეებით არ ხასიათდება. I ტიპისაგან განსხვავებით II ტიპს თხევადი სტრუქტურა აქვს.

III სტრუქტურული ტიპის ბიტუმს საშუალედო მდგომარეობა უჭირავს I და II-ს შორის. იგი შეიცავს ასფალტენს 21-23%, ფისს 30-34%, ნახშირწყალბადებს 45-49%. ასფალტურ-ფისოვან ნაერთთა საერთო ჯამში ასფალტენის ხვედრითი წილი მერყეობს 0,39-0,44 საზღვრებში, ხოლო მისი ფარდობა ნახშირწყალბადისა და ფისის ჯამთან, 0,25 - 0,30 ფარგლებში იცვლება. ასეთ სისტემებში ცალკეული აგრეგატები ან ასფალტენის მეორეული სტრუქტურს წარმონაქმნი ფისის მასტრუქტურებელ გარემოში გაცილებით უფრო მაღალხარსხოვანია, ვიდრე I ტიპში, მაგრამ უფრო დაბალხარისხოვანი, ვიდრე II ტიპში.

მექანიკური ზემოქმედების შედეგად, II ტიპის სტრუქტურა იშლება და მისი სიბლანტე საწყისის 40-65%-ს შეადგენს. I-საგან განსხვავებით, მისი სტრუქტურა 3 დღს შემდეგაც არ უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ე.ი. ტიქსო-ტროპიული თვისებები არ ახასიათებს. სტრუქტურის აღდგენა გაძნელებული თბური მოძრაობის პროცესების შედეგადაც.

კლასტიკურობის მაჩვენებლის, დარბილებისა და სიმყიფის ტემპერატურის, თვისებათა სტაბილურობის და სხვა თვისებების მიხედვით, საგზაო მშენებლობაში გამოყენების თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება III ზოლი-გელის სტრუქტურული ტიპის ბიტუმს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბიტუმის შერჩევისას გადამწყვეტია რეგონის კლიმატური პირობები, ასფალტბეტონის მასალების თვისებები და მომზადების მეთოდები.

### 3.2 ორგანული შემკვრელი მასალების რეოლოგიური თვისებები

ფიზიკურ-ქიმიური მექანიკის ძირითადი კანონების თანახმად, დეფორმაციულობა და სიმტკიცე ისეთი სტრუქტურული სისტემისათვის, როგორიცაა მოდიფიცირებული ბიტუმი, შეიძლება დაგახასიათოთ შემდეგი მაჩვენებლებით:

1. სიმტკიცით  $P_m$ , რომელიც განისაზღვრება ძაბვის იმ მნიშვნელობით, როდესაც მოლეკულური ძალები ვერ უზრუნველყოფს მოდიფიცირებული ბიტუმის ერთიანობას და იშლება ან გადადის დენად მდგომარეობაში.  $P_m(\tau)$  სიმტკიცე ძაბვის მოქმედების ხანგრძლივობის ფუნქციაა;
2. ზღვრული დეფორმაციით –  $\varepsilon_a$ , რომელიც წარმოადგენს სხეულის დეფორმაციულობის საზომს, ანუ სხეულის უნარს დარღვევის წინ შეუქცევადად შეიცვალოს ფორმა და ზომა;
3. დენადობის ზღვრით  $P_k$ ;
4. ეფექტური სიბლანტით  $\eta_e = \eta(P)$ . ძვრით გამოწვეული მცირე ძაბვის დროს, როცა მასალის სტრუქტურა არ არის დაშლილი, იგი ინარჩუნებს მუდმივ მნიშვნელობას  $\eta = \eta_0$ ; ძვრის ძაბვის დიდი მნიშვნელობის დროს კი, როცა მასალის სტრუქტურა მოლიანად დარღვეულია  $\eta_e = \eta_m$ ;
5. პირობითი მყისი დრეკადობის მოდულით  $G_1$ , რომელშიც გათვალისწინებულია დრეკად საწრაფოელაქსირებული ელასტიკური დეფორმაციები და წონასწორული დრეკადობის მოდული  $G_m$ .

ტემპერატურული არე, რომელშიც მოდიფიცირებული ბიტუმს უხდება მუშაობა, პირობითად შეიძლება სამ ინტერვალად დაიყოს.  $160^{\circ}\text{C}$ -დან  $60^{\circ}\text{C}$ -მდე არის მოდიფიცირებული ბიტუმის ტექნოლოგიური დამუშავების არე;  $60^{\circ}\text{C}$ -დან  $20^{\circ}\text{C}$ -მდე – მოდიფიცირებული ბიტუმის საგზაო ფენილში მუშაობის არე. ამ ინტერვალში ყურადღებას იპყრობს მოდიფიცირებული ბიტუმის დრეკად-ბლანტ-პლასტიკური თვისებები და სიმტკიცის სხვა მახასიათებლები.  $20^{\circ}\text{C}$ -დან –  $25^{\circ}\text{C}$ -მდე არე დაგავშირებულია მოდიფიცირებული ბიტუმის საგზაო კონსტრუქციაში

მუშაობასთან. ამ ინტერვალში მთავარ როლს ასრულებს მოდიფიცირებული ბიტუმის დრეკად-პლასტიკური და დრეკად მყიფე თვისებები.

მოდიფიცირებული ბიტუმის მექანიკური თვისებების შეფასებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა  $20-60^{\circ}\text{C}$  ინტერვალი, სადაც სხვადასხვა სტრუქტურული ტიპის მოდიფიცირებული ბიტუმის რეოლოგიური თვისებები მედავნდება სუფთა სახით.

დრეკად სხეულში დატვირთვით გამოწვეული ძაბვები არის შექცევადი, ე.ი. დატვირთვის მოხსნის შემდეგ იგი მყისიერად ქრება. იდეალური დრეკადი სხეულის დეფორმირების კანონი აღიწერება პუკის კანონით:

$$\varepsilon = \tau / G_m, \quad (1)$$

სადაც ფარდობითი დეფორმაცია;  $\tau$ -ძაბვა.

(1) განტოლებიდან ჩანს, რომ დრეკადი დეფორმაცია არ არის დამოკიდებული ძალის მოქმედების დონეზე.

სითხეებში კი ძალის მოქმედების შედეგად გამოწვეული დეფორმაცია შეუქცევადია, ე.ი. დატვირთვის მოხსნის შემდეგ დეფორმაციები არ ქრება.

იდეალური სითხის დეფორმირების კანონი გამოისახება შემდეგი განტოლებით:

$$d\varepsilon = \tau / \eta dt \quad (2)$$

სადაც  $d\varepsilon$  არის ფარდობითი დეფორმაცია  $dt$  დროში;  $\tau$  – მხები ძაბვა, ხოლო  $\eta$  – დინამიკური სიბლანტე.

იდეალურად დრეკადი სხეული და იდეალური სითხე არის დეფორმირების ორი უკიდურესი შემთხვევა. ფაქტიურად, ნებისმიერ მასალაში დატვირთვის მიუწების შედეგად წარმოიქმნება როგორც დრეკადი, ასევე ნარჩენი (პლასტიკური) დეფორმაციები, რომლებსაც დრეკად-ბლანტ მასალებს უწოდებენ.

როგორც 1 და 2 განტოლებებიდან ჩანს, დრეკადი დეფორმაციები არ არის დამოკიდებული ძალის მოქმედების დროზე. შეუქცევადი (პლასტიკური) დეფორმაცია კი ძალის მოქმედების დროს პირდაპირ პროპორციულია. აქედან, რეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მასალის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე დროის ფაქტორის გავლენის შესწავლა. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია პუკისა

და ნიუტონის განტოლებათა საფუძველზე. მაქსველმა დროის მიხედვით ჰუკის განტოლების დიფერენცირებით

$$d\varepsilon/dt = d\tau/G_m dt \quad (3)$$


და მიღებულის (2)-თან შეკრებით მიიღო შემდეგი დამოკიდებულება:

$$\tau = e^{-G_m t/\eta} \cdot \left( \tau_0 + G_m \int_0^t d\varepsilon/dt \cdot e^{-G_m t/\eta} \cdot dt \right). \quad (4)$$

ამ დამოკიდებულებით ხასიათდება დრეპადი თვისებების მქონე მასალა. იგი ფაქტიურად სითხეა, რომელსაც მაქსველის სითხესაც უწოდებენ. ასეთი მასალა საინტერესო თვისებებს ამჟღავნებს, როცა მასში ვითარდება მუდმივი დეფორმაცია, ე. ი. როდესაც სიჩქარის გრადიენტი  $d\varepsilon/dt=0$ . ამ შემთხვევაში (4)-დან მიიღება:

$$\tau = \tau_0 \cdot e^{-G_m t/\eta}. \quad (5)$$

ამგვარად, ძალის მოქმედების მთელ პერიოდში მუდმივი დეფორმაციისას მასალაში წარმოქმნილი ძაბვა თანდათან კლებულობს ანუ ხდება ძაბვის რელაქსაცია.  $\eta$  სიბლანტის  $G_m$  ძვრის მოდულობან ფარდობას  $\lambda=\eta/G_m$ , უწოდებენ რელაქსაციის პერიოდს. ეს არის დრო, როდესაც ძაბვა  $e=2,7-\sqrt{e}$  მცირდება,



ნახ. 8. მაქსველის სხეულის (სითბოს) რელაქსაცია

ბლანტ-დრეპადი მასალების რეოლოგიური თვისებების გამოსარკვევად შეიძლება ვისარგებლოდ ჰუკისა და ნიუტონის განტოლებებით. კერძოდ, მათი შეკრებით მიიღება შემდეგი დამოკიდებულება:


$$\varepsilon = e^{-Et/\eta} \cdot \left( \varepsilon_0 + 1/\eta \int_0^t \tau e^{-Et/\eta} \cdot dt \right). \quad (6)$$

ამ დამოკიდებულებით ხასიათდება დრეკადი (კელვინ-ფოგტის მყარი სხეული) თვისებების მქონე არარელაქსირებული მასალა. მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ განტვირთვის შემდეგ დეფორმაციები მესყეულად არ ქრება. როცა  $\tau = 0$ , მაშინ მივიღებთ:

$$\varepsilon = \varepsilon_0 \cdot e^{-Et/\eta}, \quad (7)$$

ხოლო დატვირთვისას:

$$\varepsilon = \tau/E \cdot (1 - e^{-Et/\eta}) \quad (8)$$



ნახ. 9. დეფორმაციების განვითარება კელვინ-ფოგტის სხეულში


როგორც (8) ტოლობიდან და ნახ. 9-დან ჩანს, მოცემული დატვირთვისათვის დეფორმაციები მყარდება არა მყისიერად, არამედ გარკვეული დაყოვნების შემდეგ. ამ შემთხვევაში  $E/\eta(E)$  კელვინის სხეულის დრეკადობის მოდულია) ფარდობას, კელვინის სხეულის დაყოვნების პერიოდს უწოდებენ. რეალური მასალებისათვის ეს ეფექტი (დაყოვნების დრეკადობა) ისევეა დამახასიათებელი, როგორც რელაქსაცია. ამგვარად, ყოველ რეალურ მასალაში შეხამებულია მაქსიმუმის სითხისა და კელვინ-ფოგტის დრეკადი სხეულის თვისებები. რეალურ მასალაში დრეკად-პლასტიკურ დეფორმაციებს შორის ფარდობა, უმეტეს შემთხვევაში, მეტად რთულია. მასალების რეოლოგიის თვალსაჩინოების მიზნით, გამოიყენება მექანიკური მოდელები.

მასალა, რომელსაც დრეპად და პლასტიკურ დეფორმაციებთან ერთად აქვს რელაქსაციისა და დაყოვნების თვისებები, შეიძლება წარმოვიდგინოთ ნახ.10-ის მიხედვით.

მუდმივი დატვირთვების მოქმედების შედეგად ε შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი განტოლების სახით:

$$\varepsilon = \tau/E_s + \pi/\eta_6 + \tau(1 - e^{-\lambda t})/E_s. \quad (9)$$

განტოლების პირველი წევრი ახასიათებს მასალის მყისიერ დრეპად დეფორმაციას. მეორე წევრი – შეუქცევადი (პლასტიკური) დეფორმაციების განვითარებას. ხოლო მესამე – დაყოვნების დრეპადობას.



ნახ.10 რეოლოგიური მოდელები

- ა) პუჭის სხეული (ზამბარა); ბ) ნიუტონის სხეული სითხე (ამორტიზატორი);
- გ) მაქსველის სითხე; დ) კელვინ-ფოგტის სხეული; ე) განზოგადებული მოდელი.

რეოლოგიური მოდელი საკმაოდ ხელსაყრელია მასალის თვისებების თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად, მაგრამ მათემატიკური გაანგარიშებანი რთულია და შრომატევადი. გარდა ამისა, მექანიკური მოდელი სრულყოფილად ვერ ასახავს ბლანტ-დრეპადი თვისებების მქონე სხეულის სტრუქტურისა და მოლეკულური ბუნების თავისებურებებს. ამავე დროს, ფიზიკური პროცესების ცოდნა, დეფორმირებისას სტრუქტურისა და სტრუქტურული თვისებების სწორი გაგება აუცილებელია თანამედროვე ინჟინრისათვის, რადგან ამის გარეშე იგი ვერ შეძლებს სწორად შეარჩიოს წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე მასალა.

შვედოვის გამოკვლევებით დადგინდა, რომ დრეკად სითხეებში არ ხდება ძაბვის სრული რელაქსაცია, არამედ ძაბვა დებულობს გარკვეულ მუდმივ მნიშვნელობას, რომელსაც დენადობის ზღვარს უწოდებენ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პლასტიკურ მასალასთან. მაქსველის მიხედვით, პლასტიკურია მასალა, თუ მას აქვს ნულისაგან განსხვავებული დენადობის ზღვარი და დინების უნარი დენადობის ზღვრის ზევით. რაც მეტია დენადობის ზღვარი, სხეული მით მეტად პლასტიკურია და ნაკლებ პლასტიკურია, რაც უფრო მეტია დენადობის ზღვრის ზევით პლასტიკური სიბლანტე. ე.ი. რაც უფრო მცირეა დაურღვეველი სტრუქტურის სიბლანტესა  $\eta_0$  და დარღვეული სტრუქტურის სიბლანტეს  $\eta_m$  შორის სხვაობა. თუ  $\eta_0$  ერთი რიგით აღემატება  $\eta_m$ -ს, მაშინ მასალას სითხისებრი სხეულის თვისებები აქვს და თუ სხვაობა რამდენიმე რიგს აღემატება, მაშინ მყარი სხეულის თვისებებით ხასიათდება.

პლასტიკური სხეულის კერძო შემთხვევაა პლატიკურ-ბლანტი სხეული (ბინგამის სხეული), რომლის სტრუქტურა კრიტიკული ძაბვის მოქმედების შედეგად და მთლიანად ირღვევა. ამგვარად, ასეთი სხეული კრიტიკულზე მეტი ძაბვის მოქმედებით ხდება თხევადი და ძაბვის შემცირების შემდეგ უბრუნდება ახალ, მყარ მდგომარეობას.

შვედოვმა და შემდეგ, ბინგამმა დაამტკიცეს, რომ პლასტიკური დინება ხასიათდება ორი კონტრასტით: დენადობის ზღვარი  $P_k$  და პლასტიკური სიბლანტით  $\eta^*$ -ეს მაჩვენებლები, დენადობის ზღვრის ზევით, პრაქტიკულად მუდმივი სიდიდეებია.

სტაციონარული ცოცვადობისათვის  $P = P_k + \eta^* \dot{\varepsilon}$  და  $\eta^*$  შვედოვ-ბინგამის კანონის მიხედვით განისაზღვრება


$$\eta^* = \frac{(P - P_k)}{\dot{\varepsilon}}, \quad \dot{\varepsilon} = \frac{(P - P_k)}{\eta^*} \cdot \tau + P/G, \quad \text{როცა } P = \text{const.} \quad (10)$$

კრისტალური აგებულების სხეულისაგან განსხვავებით, ამორფულის თვისებები ტემპერატურის გავლენით თანდათანობით იცვლება. ამასთან ერთად, ტემპერატურის გარკვეულ ინტერვალში თვისებათა ცვალებადობა არაწრფივი კანონით კრცელდება. მოდიფიცირებული ბიტუმი მიეკუთვნება დრეკად-პლასტიკურ-ბლანტი თვისებების მქონე მასალებს, რომელთა თვისებები იცვლება


ტემპერატურის ცვალებადობასთან ერთად. ამიტომ, მისი თვისებებისა და დეფორმაციულობის შესწავლა ხდება ლიტერდიხისა და ჯეფრისის, კელვინ ფოიგტის, მაქსველისა და ბინგამის იდეალიზებულ-რეოლოგიური მექანიკური მოდელების საშუალებით. რეოლოგიურ თვისებათა განსაზღვრისათვის ავაგეთ დეფორმაციის სიჩქარესა ( $d\varepsilon/dt$ ) და ძვრის ძაბვას ( $\tau$ ) შორის დამოკიდებულების გრაფიკს (ნახ.11). სადაც მრუდი 5 არის  $\tau=f(d\varepsilon/dt)$  კოორდინატებში, ხოლო მრუდი 6  $\tau=f(\eta)$  კოორდინატებში. ამასთან, შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა სტრუქტურულ-რეოლოგიური თვისებები. მცირე ძაბვის შემთხვევაში განსაზღვრება სტრუქტურული სიბლანტე ( $\eta$ ), მასალის დაურღვეველი სტრუქტურის მაქსიმალური სიბლანტე. ძაბვის  $\tau_1$ -დან  $\tau_0$ -მდე გაზრდით ხდება სტრუქტურის გაუწონასწორებელი დაშლა და ირღვევა პირდაპირპოპორციულობა  $d\varepsilon/dt$ -სა და  $\tau$ -ს შორის. მრუდის ეს უბანი ახასიათებს ეფექტურ სიბლანტეს ( $\eta$ ) როცა ძაბვა გახდება  $\tau$ -ს ტოლი, სტრუქტურა მთლიანად ირღვევა და მისი შემდგომი ზრდით  $d\varepsilon/dt$ -სა და  $\tau_0$ -ს შორის კვლავ მყარდება პირდაპირპოპორციული დამოკიდებულება. აქვე შეიძლება განისაზღვროს დარღვეული სტრუქტურის პლასტიკური სიბლანტე ( $\eta_m$ ):

$$\tau = \tau_0 + \eta_m \cdot d\varepsilon/dt. \quad (11)$$

ნახ.12-ზე ნაჩვენებია  $-20^{\circ}\text{C}$   $+30^{\circ}\text{C}$ -მდე ინტერვალში მოდიფიცირებილი ბიტუმის რეოლოგიური მრუდები. უარყოფითი ტემპერატურისას ( $-20^{\circ}\text{C}$ -დან  $-10^{\circ}\text{C}$ -მდე) ბიტუმის სიბლანტე დიდია და მას მყარი სხეულის სახე აქვს (ზღვრული ძვრის ძაბვა, დრეკადობა და სხვა). ტემპერატურის ზრდისას სიბლანტე მცირდება და ბიტუმი გადადის თხევად მდგომარეობაში.




ნახ.11 მოდიფიცირებული ბიტუმის სრული რეოლოგიური მრუდი



ნახ. 12 ბიტუმის რეოლოგიური მრუდები -  
20დან  $+30^{\circ}\text{C}$ -მდე  $+10^{\circ}$  ტემპერატურის  
ინტერვალში

მოდიფიცირებული ბიტუმის დამახასიათებელი სრული რეოლოგიური მრუდი ნაჩვენებია ნახ.13-ზე.



ნახ. 13 სრული რეოლოგიური მრუდი;

*ηο* – დაურღვეველი სტრუქტურის უდიდეს სიბლანტე;

*ηm* – დაურღვეველი სტრუქტურს უმცირესი სიბლანტე;

*Pk* – დენადობის ზღვარ;

*0A* – უდიდესი სიბლანტის (*ηο*) არე;

*AB* – სიბლანტის თანდათან შემცირების არე;

*BB* – სტრუქტურს დარღვევის არე;

*BΓ* – უმცირესი სიბლანტის არე.

ერთგვაროვანი ძვრის პირობებში სტრუქტურული ნაკადის სივრცული სტრუქტურის რღვევა იწვევს უფექტური სიბლანტის (*η<sub>o</sub>*) შემცირებას. უმნიშვნელო ძვრის ძაბვის დროს მოდიფიცირებული ბიტუმის სივრცული ბადის სტრუქტურა დარღვევის შემდეგ. თანდათან უბრუნდება პირვანდელს, ე.ი. სიჩქარის გრადიენტის ნულთან მიახლოებისას სტრუქტურას აქვს ტიქსოტროპული თვისება. ამგვარად, მუდმივი სიჩქარის გრადიენტით დეფორმირებისას სტრუქტურული კავშირების რღვევისა და აღდგენის საბოლო მახასიათებლად ითვლება ეფექტური სიბლანტე.

სხვადასხვა, ნებისმიერი სიჩქარის გრადიენტისას სიბლანტის საშუალო მნიშვნელობების განსაზღვრა არაა მიზანშეწონილი. ისეთი სტრუქტურული სიტემა, როგორიცაა მოდიფიცირებული ბიტუმი, ხასიათდება სრული რეოლოგიური მრუდებით, ანუ სიბილანტის ორი ზღვრული მნიშვნელობით. თუ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშინ მახასიათებლად ითვლება დენადობის ზღვარი. ზღვრული სიბლანტის (*η<sub>o</sub>*) უდიდესი მნიშვნელობა გვიჩვენებს სისტემის მდგომარეობას ცოცვადობის მიმართ. ზღვრული სიბლანტის (*η<sub>m</sub>*) უმცირესი მნიშვნელობა კი (დარღვეული სივრცული სტრუქტურის პირობებში) – სისტემის ძვრადობას, დენადობის ზღვარი (*P<sub>k</sub>*) გვიჩვენებს სხვადასხვა მექანიკურ რეჟიმებს შორს ზღვარს.

პრაქტიკულად, საკმაო სიზუსტით, შესაძლებელია მცირე სიჩქარის გრადიენტის პრობებში განისაზღვროს დაუშლელ სტრუქტურის თვისებების დახასიათება შეიძლება სტატიკური დენადობის ზღვრის (*P<sub>k</sub>*) და მუდმივი პლასტიკური (შვედოვის) სიბლანტით (*η<sub>o</sub>\**). ეს უკანასკნელი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\eta_0^* = \left[ \frac{P - P_k}{\dot{\varepsilon}} \right]_{\dot{\varepsilon} \rightarrow 0} , \quad (12)$$

სადაც  $P$  მოქმედი ძვრის ძაბვაა.

დიდი სიჩქარის გრადიენტის პრობებში კვაზისტაციონარულ ნაკადში მასალის დაშლილი სტრუქტურის თვისებები ხასიათდება დინამიკური დენადობის ზღვრით ( $P_B$ ) უმცირესი, პრაქტიკულად მცდმივი, პლასტიკური (ბინგამის) სიბლანტით ( $\eta_m^*$ ) და განისაზღვრება  $\eta_m^* = (P - P_B k)/\dot{\varepsilon}$  ტოლობით. სუსტი სტრუქტურული სისტემისათვის შეიმჩნევა, რომ  $P_k = 0$ , და  $\eta_o^* = \eta_{o7}$  ე.ი. დაურღვევები სტრუქტურა ხასიათდება უდიდესი ეფექტური (ნიუტონის) სიბლანტით  $\eta_0 = (P/\dot{\varepsilon})_{\dot{\varepsilon} \rightarrow 0}$ .

დეფორმაციული თვისების გარდა, მასალის დახასიათება ხდება მისი სიმტკიცით. სიმტკიცე განისაზღვრება ძვრის ძაბვის იმ პრიტიკული მნიშვნელობით, როდესაც სხეულის ერთიანობა მკვეთრად ირღვევა. სმტკიცე დამოკდებულია დეფორმირების სხეულის სტრუქტურაში არსებულ დეფექტებსა და დატვირთვის სიჩქარეზე. როგორც წესი, დეფორმაციის სიჩქარის ზრდა იწვევს სხეულის სიმტკიცის ზრდას და ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას. სხეული იშლება არა მარტო მექანიკური ზემოქმედების შედეგად, არამედ სტრუქტურის ელემენტების თბური მოძრაობითაც. თბური მოძრაობა იწვევს სტრუქტურული ელემენტების განცალკევებას. მექანიკური ძალა კი ხელს უწყობს ამ პროცესს და აფიქსირებს მას. თანამედროვე შეხედულებათა შესაბამისად, სხეულის სიმტკიცე განპირობებულია მოლეკულათაშორისი და ქიმიური კავშირებით. სიმტკიცეზე თითოეული ამ ფაქტორის გავლენა დამოკიდებულია ტემპერატურისა და დეფორმაციის სიჩქარეზე. ამდენად, სიმტკიცე ერთი მუდმივი ზღვრული მნიშვნელობით არ განისაზღვრება. გარდა აღნშნულისა, სიმტკიცე დამოკიდებულია სხეულის ზომაზე. რაც უფრო მცირე ზომისაა სხეული, მით მეტია მისი სიმტკიცე და პრიქით. სიმტკიცის სტატისტიკური თეორიის თანახმად, დატვირთვისას სხეულის რღვევა ხდება თანდათანობით. როდესაც ძაბვის მნიშვნელობა თეორიული სიმტკიცის ტოლი გახდება. მაშინ სხეულში არსებული ყველაზე სუსტი ადგილი იწყებს რღვევას. რაც უფრო დიდია სხეულის მოცულობა ან ზედაპირის ფართობი, მით მეტია მასში დეფექტებისა და სუსტი ადგილების რაოდენობა და შესაბამისად, ნაკლები იქნება მისი სიმტკიცე.

გარდა ტემპერატურისა და დეფორმაციის სიჩქარისა, სხეულის პროცესზე გავლენას ახდენს დაძაბული მდგომარეობის ხასიათი, აგრესიული გარემო და ზედაპირულაქტიური ნივთიერებანი.

სხვადასხვა რეგონში ბიტუმის გამოყენება შესაძლოა, თუ იგი: а) მინიმალურ ტემპერატურისას მყიფედ არ იშლება; ბ) მაქსიმალური ტემპერატურის მიმართ მდგრადია და წარმოიქმნება, მხოლოდ უმნიშვნელო სიდიდის მუდმივი დეფორმაციები (ცოცვადობა და დენადობა). ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით ვან-დერ-პოლმა გამოკიდებულება სხვადასხვა სახის ბიტუმთა დრეკადობის მოდულის დამოკიდებულება დროსთან. ეს დამოკიდებულება მან გამოხატა შემდეგი განტოლებით:  $E=f(te^{AT})$ , სადაც  $t$  არის დრო,  $T$  – ტემპერატურა;  $A$  – კონსტანტა. დადგინდა, რომ არაა დამოკიდებული ძაბვაზე და განისაზღვრება ბიტუმის პენეტრაციის ინდექსის მიხედვით. გარდა ამისა, შემუშავდა ნომოგრამა, რომელიც ამყარებს ფუნქციურ დამოკიდებულებას დრეკადობის მოდულსა, ბიტუმის დარბილების ტემპერატურას, პენეტრაციის ინდექსს, დროსა და ტემპერატურას შორის.

საგზაო კონსტრუქციებში ბიტუმის თხელი აფსკი აერთიანებს ინერტულ მასალას. ამდენად, ფენილის სიმტკიცე და დეფორმაციულობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ბიტუმის თხელი აფსკის თვისებებზე. გამოკვლეულით დადგინდა, რომ მაღალმოლეგულურ ნაერთთა თხელი აფსკის სტრუქტურულ-მექანიკური თვისებები მკვე-თოდ განსხვავდება სქელი აფსკის თვისებებისაგან. ამიტომ, წარმოებს ბიტუმის აფსკის კოჰეზური სიმტკიცის გამოკვლევა, რომ ბიტუმის კოჰეზია ტემპერატურის კლებისას მატულობს და დამოკიდებულია დატვირთვის სიჩქარეზე. მაკამა ლითონის ფირფიტებს შორის ბიტუმის სიმტკიცის (კოჰეზიის) აფსკის სისქესთან დამოკიდებულების გამოკვლევით დადგინა, რომ აფსკის მაქსიმალურ სიმტკიცეს შეესაბამება რაღაც გარკვეული (ოპტიმალური) სისქე. ნ. გორელიშეგმა კი დაადგინა, რომ ოპტიმალური სისქის გარდა, სიმტკიცეზე გავლენას ახდენს მინერალური მასალის ბუნება და სისქე.

ჩვენში და საზღვარგარეთ ორგანულ შემკვრელ მასალათა რეოლოგიური თვისებების შეფასება მეტწილად, პირობითი მეთოდებით

წარმოებს. იგი რეგლამენტირებულია სახელმწიფო სტანდარტებით და მათ სტანდარტულ მეთოდებსაც უწოდებენ. ბიტუმის რეოლოგიური თვისებების განმსაზღვრელ სტანდარტულ მეთოდებს მიეკუთვნება პენეტრაცია, პლასტიკურობა (დუქტილობა), დარბილებისა და სიმყიფის ტემპერატურები.


### 3.3 ტემპერატურის გავლენა ორგანულ შემკვრელ მასალებზე

როგორც აღინიშნა, მოდიფიცირებული ბიტუმის თვისებები მკვეთრად იცვლება ტემპერატურის ცვალებადობისას.

ტემპერატურის გავლენით შემკვრელთა მექანიკური (დეფორმაციული) თვისებების ცვალებადობის გამოკვლევა წარმოებს ვ. კარგინის მეთოდით. ნახ.14-ზე ნაჩვენებია პოლიმერების თერმომექანიკური მრუდები.

მოდიფიცირებული ბიტუმის თბომედეგობის და მისი ტემპერატურული მდგომარეობის დახასიათების მიზნით, განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლები: ამთვისებლობის ფაქტორი აბრაკამის მიხედვით: პენეტრაციის ინდექსი; თბომედეგობის კოეფიციენტი; პლასტიკურობის ინტერვალი და სხვ. გარდაქმნის პლასტიკურობის ინტერვალი ( $T_n$ ) ბიტუმის დარბილების ( $t_p$ ) და სიმყიფის ( $t_x$ ) ტემპერატურების მაჩვენებლის მიხედვით, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$T_n = t_x / (t_p - t_x) \quad (13)$$



ნახ.14 პოლიმერების თერმომექანიკური მრუდები

დარბილების ტემპერატურა განისაზღვრება ხელსაწყო – “ბურთულა და რგოლის” საშუალებით.

სიმყიფის ტემპერატურა განისაზღვრება ფრასის ხელსაწყოს საშუალებით.

ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, უნგრეთი და სხვ.) სიმყიფის ტემპერატურა განისაზღვრება პენეტრაციის მიხედვით. ტემპერატურას, რომელზეც პენეტრაცია  $t_1$ -ს შეადგენს, მიღებულია სიმყიფის მაჩვენებლად. ასეთ პირობებში ბიტუმის სიბლანტე დაახლოებით  $1 \cdot 10^9$  პა.წმ-ს შეადგენს.

ტემპერატურის ცვლილებისას, პლასტიკურობის ინტერვალი დამოკიდებულია სიბლანტის ცვალებადობის ხასიათზე (ინტენსივობაზე),  $\eta = f(t^\theta)$ , ორგანული შემკვრელის სახეობაზე, შედგენილობასა და სტრუქტურაზე. სიბლანტის ხასიათის (ინტენსივობის) განსაზღვრა წარმოებს ორი მაჩვენებლის – პენეტრაციის (II) და დარბილების ტემპერატურის ( $t_p$ ) მიხედვით. ამ მიზნით განისაზღვრება აგრეთვე პენეტრაციის ინდექსი (I), იგი განყენებული რიცხვია და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I=300 / (1+50A); \quad A= (2,9031-II) / (t_p-25).$$

ბიტუმი, რომლის პენეტრაციის ინდექსი მინუს 2-ზე ნაკლებია, მგრძნობიარეა ტემპერატურის მიმართ და თვისებებით ნიუტონისეულ სითხეს უახლოვდება, ხოლო მოდიფიცირებული ბიტუმი, რომლის პენეტრაციის ინდექს -2-დან +2-მდე ინტერვალში იცვლება, ნაკლებ მგრძნობიარეა ტემპერატურის ცვლილების მიმართ, აქვს უფრო მცირე სიმყიფე და გამოირჩევა ბლანტ-დრეკადი თვისებებით. იგი მიეკუთვნება საშუალო ტიპის ბიტუმს და გამოიყენებადია საგზაო მშენებლობაში.

მოდიფიცირებული ბიტუმის თვისებების სტაბილურობა. მოდიფიცირებული ბიტუმის ხანგრძლივად გახურება იწვევს მსუბუქი ზეთის ნაწლობრივ აორთქლებას. ამასთან, ძლიერდება უანგვისა და პოლიმერიზაციის პროცესები.

მოდიფიცირებული ბიტუმის ნიმუშის  $160^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 5 საათის განმავლობაში გაცხელებისას იცვლება მისი ძირითადი მაჩვენებლები  $\Pi$ ,  $t_p$ ,  $t_x$  და  $\Delta$ . ცვლილების სიდიდე განისაზღვრება  $K=(b/a)100\%$  (სადაც  $b$  ძირითადი მაჩვენებელია გამოცდის შემდეგ,

a\_ იგივე მაჩვენებლები გამოცდამდე) და გვიჩვენებს თვისებათა სტაბლურობას. სტრუქტურული სტაბილურობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ ხარკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი შემუშავებული შემდეგი ფორმულით:

$$k_{cm} = (t_p - t_x) / \Delta. \quad (14)$$

მოდიფიცირებული ბიტუმის აალების ტემპერატურაა  $180\text{-}200^{\circ}\text{C}$ , ბიტუმის მოცულობითი ობური გაფორმება ხასიათდება  $25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისას მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი და  $5 \cdot 10^{-4}$ -დან  $8 \cdot 10^{-4}$ -მდე იცვლება. დაბალი (უარყოფითი) ტემპერატურისას ის შეადგენს  $2 \cdot 10^{-4}$ -ს ყოველ  $10^{\circ}\text{C}$ -ზე.

### 3.4. მოდიფიცირებული ბიტუმის ქვის მასალასთან მიკვრა და პოლარობა

მოდიფიცირებული ბიტუმის პოლარობა განისაზღვრება პოლარულ და არაპოლარულ გამხსნელებში ხსნადობათა ფარდობით  $a = (A/B) \cdot 100\%$ , სადაც  $a$  ხსნადობის კოეფიციენტია;  $A$ —ორგანული შემკვრელის ხსნადობა მეთილის სპირტში;  $B$ —ხსნადობა ბენზოლში. მოდიფიცირებული ბიტუმის ხსნადობის კოეფიციენტი შეადგენს 5-35,

მოდიფიცირებული ბიტუმის ზედაპირული დაჭიმულობის განსაზღვრა რთულია, ამიტომ შესაძლებელია ვისარგებლოთ აკად. პ. რებინდერის მიერ შემუშავებული მეთოდით. კერძოდ, ასეთი მასალებისათვის ზედაპირული დაჭიმულობის ნაცვლად განისაზღვრება მათი ზედაპირული აქტიურობა, ანუ მოდიფიცირებული ბიტუმის ზედაპირული დაჭიმულობა წყალთან შეხების საზღვარზე, რაც უფრო მაღალია მოდიფიცირებული ბტუმის ზედაპირული აქტიურობა, მით მეტია პოლარობა და შესაბამისად, — ადსორბცია მინერალურ მასალასთან შეხების საზღვარზე ზედაპირულ აქტიური ნივთიერების (ზან) მოლეკულების ორიენტაციაზე. ზან-ის მოლეკულები შედგება ნახშირწყალბადების ჯაჭვის არაპოლარული ნაწლისაგან  $-\text{CH}_3-\text{CH}_2-\text{CH}_2-$  და აქტიური პოლარული ჯგუფისაგან  $-\text{COOH}$ ,  $-\text{OH}$ ,  $-\text{NH}_2$ ,  $-\text{SH}$ და სხვა. პოლარულ და არაპოლარულისაკენ სითხეთა გამყოფ ზედაპირზე ზან მოლეკულების პოლარული ჯგუფები განლაგდება


პოლარული სითხისკენ, ხოლო არაპოლარული ნაწილი – არაპოლარულისაგენ (ნახ. 15).



ნახ. 15. ზედაპირულაქტიური ნივთიერებების მოლეკულების ორიენტაცია ზედაპირულ შრეზე

მოლეკულათა ასეთი განლაგება ზრდის მოდიფიცირებული ბიტუმის დასველებადობის უნარს და ქმნის შემკვრელის ინერტულ მასალასთან მიკვრის ხელსაყრელ პირობას.

მოდიფიცირებული ბიტუმის დასველებადობა და აფსკის სისქე ზან-ის გარდა დამოკიდებულია ქვის მასალის თვისებებსა და ზომაზე. სითხე მყარი სხეულის ზედაპირზე (ნახ. 16) წარმოქმნის საზღვრო (კიდური) კუთხეს, რომლის მიხედვით განისაზღვრება სითხის მიერ მყარი სხეულს დასველების ხარისხი სასაზღვრო ანუ დასველების კუთხესა



ნახ. 16 მყარი სხეულის დასვლება სითხით

1. სითხე; 2. ჰაერი; 3. მყარი ხეული;  $\sigma_{12}$ -ზედაპირული დაჭიმულობა სითხესა და ჰაერს შორის;  $\sigma_{23}$ - ზედაპირული დაჭიმულობა ჰაერსა და მყარ სხეულს შორის,  $\sigma_{13}$  -ზედაპირული დაჭიმულობა მყარ სხეულსა და სითხეს შორის;  $\theta$  – სასაზღვრო (კიდური) კუთხე;  $\varphi$  – ხახუნი, რომელიც ხელს უშლის წვეთის გაშლას.

და ზედაპირულ დაჭიმულობას შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება:

$$\cos\theta = (\sigma_{23} - \sigma_{13}) / \sigma_{12} \quad (15)$$

წვეთი გაიშლება  $f$  ტოლქმედის მოქმედებით, როდესაც

$$f = \sigma_{23} - \sigma_{13} - \sigma_{12} \cdot \cos \theta - \varphi > 0 \quad (16)$$

პირველ პერიოდში კუთხე ბლაგვია, ე.ი.  $\theta > 90^\circ$ ,  $\cos \theta < 0$ ,  $f > 0$  და წვეთი იშლება ამ ტოლქმედის მოქმედებით. წვეთის გაშლასთან ერთად, განსაკუთრებით სრული დასველებადობის შემთხვევაში, ხდება მახვილი, ე.ი.  $\theta < 90^\circ$ , ამიტომ  $f$  მცირდება და ხდება ნულის ტოლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მყარი სხეულის ზედაპირის სითხის მოლეკულების მიზიდვა (ადჰეზია) მიუახლოვდება თვით სითხის მოლეკულათაშორის მიზიდულობას (კოჰეზიას), მაშინ სასაზღვრო კუთხე არის მახვილი და ზედაპირი კარგად სველდება, თუ პირიქით, მაშინ კუთხე არის ბლაგვი და შესაბამისად, დასველებაც არის ცუდი – მყარი სხეულის ზედაპირი სუსტად იზიდავს სითხის მოლეკულებს.

ზოგდად ორგანული შემკვრელების მიკვრა (ადჰეზია) მინერალური მასალის ზედაპირზე დამოკიდებულია დასველებადობაზე. სუფთა, გლუვ ზედაპირზე მოდიფიცირებული ბიტუმის დასველების კუთხე,  $100^\circ\text{C}$ -ზე ნაკლები ტემპერატურისას, შეადგენს  $\theta=20-30^\circ$ , დაჭუჭყიანებულ და სველ ზედაპირზე კი  $\theta > 90^\circ$ . უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მოდიფიცირებული ბიტუმი კარგად განიღვრება გრუნტის სველ ზედაპირზე. მშრალ ზედაპირს კი ცუდად ასველებს. გამოკვლევებით დადგინდა, რომ მინერალურ მასალას და მოდიფიცირებული ბიტუმს შორის ადჰეზია დამოკიდებულია გამყოფ ზედაპირზე მოდიფიცირებული ბიტუმის ზედაპირულ დაჭიმულობასა და დასველების კუთხეზე. მეტი წყალმედეგობით გამორჩევა ისეთი ბიტუმის აფსკი, რომლის ზედაპირული დაჭიმულობა მინერალურ მასალასთან გამყოფ ზედაპირზე არის მცირე, წყალთან კი – დიდი. მოდიფიცირებული ბიტუმის ზედაპირულ დაჭიმულობაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს სტრუქტურა და სიბლანტე. იგი  $25-40$  ერგი/სმ<sup>2</sup> ფარგლებში მერყეობს.

ადსორბციულ-მოლეკულური თეორია ადჰეზიას განიხილავს, როგორც ადჰეზივსა (ბტუმსა) და სუბსტრატს (მინერალური მასალა) შორის მოლეკულური ძალების ურთიერთქმედების გამოვლინებას. ადჰეზიური კავშრების წარმოქმნა ორ სტადიად მიმდინარეობს. პირველი სტადია – ადჰეზივის მოლეკულების “ტრანსპორტირება” გამსხველებისა

და პლასტიფიკატორების დამატებით. მეორე სტადიაზე ადჰეზივისა და სუბსტრატს შორის იწყებს მოქმედებას მოლეკულარული ძალები და მყარდება ადსორბირებული წონასწორობა. ადსორბცია არის ნივთიერების კონცენტრაციის გადიდება ზედაპირულ შრეში.

თერმოდნამიკის კანონის შესაბამისად, სითხის ადჰეზა მყარ სხეულზე უნდა ემორჩდებოდეს დიუპრე-იუნგის შემდეგ განტოლებას:

$$W_a = \delta_a \sim 1 + \cos \theta, \quad (17).$$

სადაც  $W_a$  ადჰეზიის შექცევადი მუშაობაა;  $\delta_a$  – სითხის ზედაპირული დაჭიმულობა.

მინერალურ ზედაპირზე დასველებადობის გვალდაკვალ მიმდინარეობს ბიტუმის კომპონენტების შერჩევითი ადსორბცია და ქვემოსორბცია. ამ დროს ადგილი აქვს მხოლოდ ფიზიკურ ადსორბციას და პროცესი შექცევადია.

თერმოდნამიკის ძირითადი კანონებიდან გამომდინარე, ჯიბსმა დაამყარა კავშირი ხსნარის ზედაპირულ დაჭიმულობასა და ადსორბციას შორის:

$$\Gamma = -(C/RT) \cdot d\sigma / dc \quad (18)$$

სადაც ნივთიერების კონცენტრაციის ზრდაა ზედაპირულ ფენებში:

$\sigma$  – ხსნარის ზედაპირული დაჭიმულობა;

$C$  – მისი კონცენტრაცია;

$R$  – გაზის მუდმივა;

$T$  – აბსოლუტური ტემპერატურა.

ფორმულა (18)-დან გამომდინარეობს, რომ ხსნარს კონცენტრაციის გაზრდთ მცირდება ზედაპირული დაჭიმულობა –  $d\sigma/dc < 0$  და ადსორბცია დადებითია,  $\Gamma > 0$ . თუ კონცენტრაციის ზრდით ზედაპირული დაჭიმულობა იზრდება  $-d\sigma/dc > 0$ , მაშინ ადსორბცია უარყოფითია  $\Gamma < 0$ , როცა  $-d\sigma/dc = 0$ , მაშინ  $\Gamma = 0$ , ე.ი. ადსორბცია არ ხდება.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ პირველ რიგში ადსორბირდება მოდიფიცირებული ბიტუმის ზან-ის შემცველი კომპონენტები – ასფალტური მუვები და მათი ანტიდრიდები. მყარი სხეული – სითხის

გამყოფ ზედაპირზე, რაც მეტია ფაზებს შორის პოლარულობის სხვაობა, მით მეტია ზან-ის ადსორბცია. თუ ადსორბენტი პიდროფილურია, მაშინ ზან-ის მოლეკულები პოლარული ნაწილით მიმართულია ადსორბენტისაკენ, ხოლო ნახშირწყალბადებით – ბიტუმისაკენ. ასეთ პირობებში, ტრაუბეს წესის თანახმად, მაღალმოლეკულური ასფალტენების ადსორბცია მეტი უნდა იყოს ბიტუმის სხვა კომპონენტებთან შედარებით და უნდა იზრდებოდეს მოლეკულური წონის ზრდასათან ერთად. ფოროვანი ადსორბენტების შემთხვევაში ტრაუბეს წესი არ მოქმედებს, რადგან ადსორბენტის ფორებსა და მიკრობზარებში შედწეული მოლეკულები იწვევს ადსორბციისათვის ხელსაყრელი ფართობის თანდათანობით შემცირებას.

მინერალური მასალის ადსორბციულ აქტივობას განსაზღვრავს მისი ხვერდითი ზედაპირი. ქიმიურ-მინერალური შედგენილობა და ზედაპირზე არსებული აქტიური ადსორბციული ცენტრები, რადგან ქიმიური პროცესი მოდიფიცირებული ბიტუმსა და მინერალურ მასალას შორის მიმდინარეობს არა მთელ ზედაპირზე, არამედ ცალკეულ “აქტიურ” წერტილთა მეშვეობით. მოდიფიცირებული ბიტუმსა და მინერალურ მასალას შორის ფაქტიურად საკონტაქტო ფართობის ზრდა იწვევს ადჰეზიის მატებას. შესაბამისად, კონტაქტის სისრულესა და ადჰეზიაზე გავლენას ახდენს ზედაპირის მორფოლოგია, ტოპოგრაფია, მიკრორელიეფი და სისუფთავე.

მოდიფიცირებული ბიტუმისა და მინერალური მასალის ურთიერთქმედების საკითხების განხილვა საგზაო ფენილების მუშაობის რეალური პირობების, კერძოდ, წყლის ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება. იმის გამო, რომ მინერალური მასალა არის პიდროფილური, დასველებისა და მიკვრის პროცესებს აქვს შერჩევითი ხასიათი, ამიტომ, განხილული იქნეს სამი ფაზის მინერალური მასალის, მოდიფიცირებული ბიტუმისა და წყლის თანაარსებობის პირობები. მასალის ზედაპირზე კარგად შემოვლებული მოდიფიცირებული ბიტუმი ჯერ კიდევ არ იძლევა მათი ერთმანეთთან მტკიცედ მიკვრის გარანტიას. წყალი ბიტუმით დაუფარავი ადგილებიდან შედწევის მინერალური მასალის ზედაპირამდე აშრევებს ბიტუმის აფსკს მისგან.

ეს პროცესი გარდაუვალია, თუ ბიტუმი მასალის ზედაპირთან ქემოსორბციულად არის დაკავშირებული.

წყალი მინერალური მასალის ზედაპირამდე აღწევს ბიტუმით დაუფარავი ადგილებიდან. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწყის პერიოდში მასალის მოდიფიცირებული ბიტუმში ამოვლების ხარისხს. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია ზედაპირის ბიტუმით დასველებადობაზე. ნარევის მომზადების პროცესში ბიტუმის სიბლანტეზე, გაცივებისა და შემკვრივების პირობებზე და სხვა.

საგზაო ფენილის სიმტკიცე და წყალმედეგობა დამოკიდებულია მოდიფიცირებული ბიტუმის აღჭეზიაზე. სხვადასხვა ქვეყნებში შემუშავებულია და იყენებენ აღჭეზის (მიკვრის) განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I. მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია მინერალური მასალის ზედაპირზე ბიტუმის დასველებადობასა და ადსორბციაზე;

II. მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ერთმანეთთან ბიტუმით შეწებებული ნიმუშის დაცილებისათვის საჭირო მექანიკური ძალვის განსაზღვრაზე;

III. მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია წყლის ზემოქმედებით მასალის ზედაპირიდან ბიტუმის აფსკის მოცილებისა და ბიტუმით დაფარული ზედაპირის რაოდენობის ფიქსირებაზე ან ბიტუმმინერალური ნარევის სიმტკიცის განსაზღვრაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული მეთოდი პირობით ხასიათს ატარებს და არ ასახავს ბიტუმმინერალური მასალის მუშაობის რეალურ პირობებს. აღჭეზის შეფასების უფრო სრულყოფილ მეთოდად უნდა ჩაითვალოს ბიტუმმინერალური მასალის სიმტკიცის მაჩვენებლები მშრალ და წყალნაჯერ მდგომარეობაში. ამ მეთოდით შეიძლება განისაზღვროს ბიტუმმინერალური ნარევის წყალმედეგობა მოდიფიცირებული ბიტუმის სიბლანტისა და აფსკის სისქის, მასალის ფორიანობის, მარცვლების სისხოს და ტენიანობის, ნარევის შედგენილობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

### 3.5 მოდიფიცირებული შემკვრელი მასალების დაძველება და მათი სტაბილურობის ზრდის მეთოდები

როგორც პოლიმერების უმრავლესობის, ასევე ორგანულ შემკვრელთა შედგენილობა, სტრუქტურა და რეოლოგიური თვისებები არ არის მუდმივი და სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით უარესდება, ე.ი. მიმდინარეობს დაძველების პროცესი, რომელიც გულისხმობს შემკვრელის სტრუქტურისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ცვლილებას მისი შენახვის, ტექნოლოგიური გადამუშავებისა და ექსპლუატაციის პირობებში. მოდიფიცირებული ბიტუმის თხელ აფსკზე გავლენას ახდენს უანგბადი, მაღალი ტემპერატურა, წყალი და მინერალური მასალის ზედაპირი. მოდიფიცირებული ბიტუმის დაძველებაზე დიდ გავლენას ახდენს ფენილის ფორიანობა. 3%-ზე მეტად ფორიანობის ზრდა მკვეთრად ამცირებს ბიტუმის სტაბილურობას.

დაძველების აქტივატორად გვევლინება მზის სხივები, სითბო, წყალი და მინერალური მასალა.

ულტრაიისფერი სხივების გავლენით, გარემოს უანგბადის ზემოქმედება ვრცელდება 5-10 მკმ სისქეზე. ამიტომ, მზის სხივების ზემოქმედება მოდიფიცირებული ბიტუმის დაძველების პროცესზე შეიძლება უგულებელყოთ. დაძველებაზე გავლენას ახდენს დიფუზიის გზით ფენილში შეღწეული უანგბადი.

სითბოს (მაღალი ტემპერატურის) ზემოქმედება იწვევს მოდიფიცირებული ბიტუმიდან 400-ზე ნაკლები მოლექულური მასის მქონე ნახშირწყალბადების აორთქლებას. ამის გარდა, მიმდინარე რთული ქიმიური პროცესების – პოლიმერიზაციის შედეგად იცვლება ბიტუმის კომპონენტთა ქიმიური თვისებები. ბიტუმის კომპონენტთა ნახშირწყალბადებს სცილდება გვერდითი ჯაჭვები და წარმოქმნის ე.წ. თავისუფალ რადიკალებს, ხოლო დეპიდროპოლიკონდესაციის (დეპიდროპოლიკონდესაციის დროს ნახშირწყალბადების ჯაჭვიდან მოხდებილი წყალბადი უერთდება ჰაერის უანგბადს და წარმოქმნის წყალს, ხოლო წყალბადის ატომთა მოხდების ადგილზე ხდება მოლექულათა კონდესაცია) შედეგად წარმოიქმნება ახალი, უფრო

რთული მოლექულები, რომლებიც აუარესებს მოდიფიცირებული ბიტუმის თვისებებს. ზეთი თავის თვისებებით უახლოვდება ფის, ხოლო ფისი – ასფალტენს. დადგენილია, რომ სხვა კომპონენტებისაგან განსხვავებით, ტემპერატურისა და ჟანგბადის ზემოქმედების მიმართ უფრო მგრძნობიარეა ასფალტენი, რომელიც ჟანგბადით გაჯერების შედეგად ხდება უფრო მეტად უხსნადი და ნაკლებად ფხვიერი. ამ პროცესების შედეგად იზრდება ბიტუმის სიბლანტე და სიმყიფე.

ბლანტი ბიტუმების გამოყენების შემთხვევაში ასფალტენის ჟანგბადით გამდიდრების შედეგად კავშირი მაღლენურ ფრაქციასთან მნიშვნელოვნად კლებულობს, რაც იწვევს სინერგიის პროცესს ანუ ბიტუმის ლორწოსებრ და თხევად ფაზად დაყოფას. ამ პროცესის შედეგად მიმდნარეობს ასფალტენის სტრუქტურული ბადის თვითნებური შეკუმშვა-კონტრაქცია და ნაწილი თხევადი ფაზის გამოდევნა (ძირითადად, ნაჯერი ნახშირწყალბადების). სინერგიის პროცესის შედეგად, ფენილის ზედაპირზე წარმოიქმნება უწვრილეს ბზართა ბადე, რომელიც დროთა განმავლობაში მატულობს, იწვევს ქვის მასალის გაშიშვლებას და ამოცვენას.

გარემო ჟანგბადისა და სითბოს მოქმედების შედეგად, ორგანული შემკვრელები შენახვისას უმნიშვნელოდ იცვლის საწყის თვისებებს. ხანგრძლივი გაცხელებისას (ბიტუმის 1-2 დღე-დამე ქვაბში ხარშვისას) შემკვრელის თვისებები მნიშვნელოვნად იცვლება.

ბიტუმის თვეებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მინერალური მასალა. ბიტუმის კომპონენტები ადსორბირდება რა ფორიანი მასალის ზედაპირზე, იცვლის თავის სტრუქტურას.

ფორიანი ქვის მასალა წარმოადგენს თავისებურ მოლექულურ ბადეს, რომელც ატარებს პირდაპირჯაჭვიან ნახშირწყალბადებს და აკავებს ციკლური და განშტოებადი აგებულების ნახშრწყალბადთა მოლეკულებს, ე.ი. მიმდინარეობს ადსორბცია და ზედაპირული მოლეკულების არსებობის შემთხვევაში, ადგილი ექნება ქემადსორბციულ პროცესებსაც.

ბიტუმის დაძველების მექანიზმის დუტალური გამოკვლევის საფუძველზე გამოვლინდა შეუქცევადი პროცესები, რომლებიც იწვევს ბიტუმის შედგენილობისა და თვისებების ცვლილებებს. ასეთებია:

ა) ბიტუმის თხელი ფენის ზედაპირიდან მსუბუქი კომპონენტების აორთქლება;

ბ) უჟანგბადო გარემოში სითბოს მოქმედებით გამოწვეული პოლიმერიზაცია. პოლიმერიზაციის როლი დაძველების პროცესში უმნიშვნელოა, მაგრამ შესამჩნევია მაღალი ტემპერატურის ხანგრძლივად მოქმედებისას;

გ) შემპერელის ზედაპირზე ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით გამოწვეული ბიტუმის კომპონენტთა ოქსიპოლიმერიზაცია;

დ) უანგბადის ზემოქმედებით გამოწვეული პოლიოქსიკონდესაცია, დაძველების ძირითად პროცესად ითვლება.

უანგბადის მოქმედებით გამოწვეული შეუქცევადი პროცესების გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ:

1. დიდი რაოდენობით უანგბადს შთანთქავს ნახშირბადნახშირბად ორმაგკავშირიანი ბიტუმის კომპონენტები;

2. ნახშირბადის ატომთან ორმაგკავშირიანი მეთილის რადიკალი ზრდის შთანთქმული უანგბადის რაოდენობას;

3. ნახშირბადის ატომთან ორმაგკავშირიანი უარყოფითი შემდგენი (CN, C<sub>6</sub>H<sub>5</sub>, COOH) ანელებს უანგბადის შთანთქმას;

4. ტალღის 2800-3000 Å<sup>o</sup> სიგრძის სხივები და ტემპერატურის ზრდა აჩქარებს უანგბადის შთანთქმას.

უანგბადის შთანთქმის შედეგად მიმდნარეობს მაღალმოლეკულურ ნივთერებათა დესტრუქცია გაზისა და სითბოს (CO·CO<sub>2</sub>; H<sub>2</sub>O, CH<sub>3</sub>COOR-COOH), უჯერი ნახშირწყალბადები კი შედარებით იოლად გასცემს წყალბადს, რომელიც უერთდება პაერის უანგბადს და გადადის უფრო მაღალ უჯერი ნახშირწყალბადების რიგში. ეს უკანასკნელი შემდგომში შემკვრივდება (განიცდის პოლიმერიზაციას) და წარმოქმნის რთულ მაღალნახშირწყალბადოვან ნაერთებს. ეს პროცესი სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



დაძველებისას ბიტუმის ჯგუფური შედგენილობა იცვლება ზეთის აორთქლების შედეგად იზრდება ფისისა და ასფალტენის რაოდენობა, ხოლო ფისის ასფალტენებად გარდაქმნა იწვევს ბიტუმის თვისებათა

ცვლილებას; მატულობს სიბლანტე, თბომედეგობა და დრეკადობა, მცირდება პლასტიკურობა და ბიტუმი ხდება მყიფე.

ბიტუმის დაძველების პროცესში წარმოდგენილი თავისუფალი რადიკალები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და ქმნიან მაღალმოლექულურ ნაერთთა ბადეს. აქედან გამომდინარე, მარტენსმა (აშშ) დაადგინა, რომ უანგვის პროცესში ბიტუმში ასფალტენების დიდი რაოდენობა იწვევს ჰეტეროგენული სისტემის წარმოქმნას და სინერგიის. ამავე დროს, ბრანკიმ, ბარტმა და სხვა ავტორებმა დაადგინეს, რომ ბიტუმში ასფალტენების რაოდენობის 22%-მდე ზრდა იწვევს მისი სტაბილურობის ზრდას. არსებობს მოსაზრება, რომ უანგვაზე გავლენას ახდენს ზეთის, ფისისა და ასფალტენის ურთიერთთანაფარდობა. კერძოდ, არომატული ნახშირწყალბადთა რაოდენობის ზრდა ხელს უწყობს პეპტიზაციას. ასფალტენის ხსნადობას და საბოლოოდ, ბიტუმის სტაბილურობის ზრდას.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ სხვადასხვა ტიპის ბიტუმთა მდგრადობა დაძველების პროცესის მიმართ სხვადასხვაა. I ტიპის ბიტუმთა აქტივაციის ენერგია მაღალია. მიმდინარეობს მხოლოდ  $160^{\circ}\text{C}$ -ზე, აღნიშნული ენერგეტიკული ბარიერის გადალახვის შემდეგ, სტრუქტურ-წარმოქმნისა და დესტრუქციის რეაქციები მიმდინარეობს ინტენსიურად. ამიტომ, ტექნოლოგიური დამუშავების პროცესში მოსალოდნელია დაძველების მკვეთრი დაჩქარება, თვისებათა გაუარესება და საბოლოოდ, ფენილის დაშლა. დაძველება განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს კრეგინ-ბიტუმში.

I ტიპისაგან განსხვავებით II ტიპის ბიტუმი ძველდება შედარებით ნელა. მათი სტრუქტურის გადასვლა კოაგულაციურში მიმდინარეობს ნელა, მაგრამ დაბალ ტემპერატურაზეც. ტემპერატურის ზრდა პროცესს ვერ აჩქარებს. ამიტომ ასეთი ტიპის ბიტუმზე უანგბადის ხანგრძლივი ზემოქმედება ნარევის მომზადებისა და ფორმირების პროცესში უმნიშვნელოა და შეიმჩნევა ფენილის ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.

ტემპერატურისა და დაძველების გავლენით გამოწვეული ბიტუმის რეოლოგიური და სტრუქტურული თვისებების შედარებით შეიმჩნევა, რომ დაძველებისას ფისის თხევადი მოლებულური სტრუქტურა

გადადის ასფალტენის კოაგულაციურ სტრუქტურაში. ამასთან, ყველა სახის ბიტუმისათვის ასეთი სტრუქტურის განვითარება და შემდგომში რღვევა ერთნაირ ხასიათს ატარებს. განსხვავდებიან მხოლოდ ენერგეტიკული ფაქტორებისა და ჟანგბადის მოქმედების ხანგრძლივობით. არსებობს მოსაზრება, რომ დაძველებაზე გავლენას ახდენს ასფალტენის, ფისის და ზეთის თანაფარდობა: კერძოდ, არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის ზრდა აუმჯობესებს ასფალტენების პეპტიზაციისა და გახსნას, რაც იწვევს ბიტუმის დაძველების მიმართ მედეგობის ზრდას.

ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, რომ ბიტუმის ატმოსფერული მედეგობის პრობლემა ძირითადად შეიძლება გადაიჭრას ჟანგვის პროცესების შეზღუდვით. ნივთიერებებს, რომლებიც იწვევს ჟანგვის პროცესების შენელებას, ინკიბიტორებს უწოდებენ. მაღალპოლიმერული მასალებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა შედგენილობის ინკიბიტორები, რომლებიც მიეკუთვნება პირველად და მეორეულ არომატული ამინების ან არომატული დიამინების კლასს.

როგორც გამოკვლევებით დადასტურდა, დანამატის ოპტიმალური რაოდენობა და ზემოქმედების ეფექტურობა დამოკიდებულია ბტუმის ბუნებაზე. ამიტომ, ბიტუმის ქიმიური შედგენლობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ინკიბიტორის რაოდენობისა და სახეობის შერჩევა. ძირითადად ეს მიზეზი უშლის ხელს ინკიბიტორთა პრაქტიკაში გამოყენებას.

ბიტუმოვან მასალათა დაძველების პროცესებისა და სტაბილურობის ზრდის მეთოდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიტუმთა ქიმიური შედგენილობის არაერთგვაროვნების გამო, არ არის შემუშავებული ბიტუმის სტაბილურობის გაუმჯობესების ერთიანი მეთოდიკა და ცალკეული სახის ბიტუმისათვის საჭიროა შეირჩეს ინდივიდუალური დანამატი და გადამუშავების შესაბამისი მეთოდი. დადგინდა აგრეთვე, რომ ატმოსფერული მედეგობა დამოკიდებულია ნავთობის წარმოქმნას, ქიმიურ შედგენილობას, გადამუშავების ტექნოლოგიასა და ბტუმის მიღების ხერხზე. დაძველების მიმართ მედეგობით გამოირჩევა ნარჩენი ბიტუმი, ნაკლებ მედეგია დაუანგული ბიტუმი, ხოლო კრეპინგ-ნარჩენებისაგან მიღებული ბიტუმის მედეგობა უმნიშვნელოა.

### 3.6 დანამატები და მათი გავლენა ბიტუმის თვისებაზე

ბიტუმის თვისებების გაუმჯობესების, მინერალური მასალის ზედაპირზე მიკვრის და შესაბამისად, საგზაო ფენილის ატმოსფერული მედეგობის ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით, გამოიყენება სხვადასხვა სახის ზედაპირულ აქტიური ნივთიერებანი (ზან). მცირე რაოდენობის ზან მკვეთრად ცვლის ინერტული მასალის ზედაპირის ბუნებას და “ბიტუმმინერალური მასალის” გამყოფ ზედაპირზე ურთიერთმოქმედების პირობებს. ბიტუმსა და სხვადასხვა მინერალური მასალის ზედაპირს შორის შეკავშირების (ადჰეზიის) ხასიათი იცვლება ზან-ის თხელი ადსორბირებული ფენის (აფსკის) წარმოქმნის გამო. ზან-ის ეს უნარი საშუალებას იძლევა შემუშავდეს ასფალტეტონის და სხვა ბიტუმმინერალური ნარევების მომზადების ახალი ტექნოლოგიური პროცესები; ამასთან ერთად, ზან-ის საშუალებით შესაძლებელია ბიტუმის სტრუქტურ-წარმოქმნის პროცესების რეგულირება და წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე მასალის მიღება.

ზან-ის მოქმედების მექანიზმი ვითარდება სამი მიმართულებით – ბიტუმის დისპერსიულ სტრუქტურაზე, ბიტუმმინერალური ნარევის სტრუქტურწარმოქმნის პროცესზე და ხანგრძლივი ექსპლუატაციისას დამველების პროცესზე.

ზან წარმოადგენს ასიმეტრულ-პოლარული აგებულების ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც შედგება ორგანული გრძელჯაჭვიანი რადიკალის და პოლარული ჯგუფისაგან. პოლარული ჯგუფი პიდროფილურია და წარმოადგენს პიდროქსილს. კარბოქსილს, ამინოჯგუფს, სულფოჯგუფს და სხვა.

ბიტუმისა და მინერალური მასალის ურთერთქმედების პროცესში დასველებადობა არის პირველი სტადია, ამიტომ, საჭიროა ამ პროცესის ხელოვნურად მართვა. რაც უფრო სრულფასოვანი და ხარისხოვანია ზედაპირის დასველებადობა, მით უფრო მაღალი იქნება ადჰეზია. დასველებადობის პროცესი ჩქარდება და იოლდება ზან-ის გამოყენებით. ამასთან, წარმოქმნილ ადსორბციულ შრეში ზან-ის პოლარული ჯგუფები მიმართულია მინერალური მასალის ზედაპირისაკენ, ხოლო ნახშირწყალბადის ჯგუფი – ბიტუმისაკენ.

ბიტუმმინერალურ ნარევებში გამოყენებული ზან მიეკუთვნება ჰიდროფობიზატორთა ჯგუფს. ქიმიური ადსორბციის შედეგად წარმოქმნილი ზედაპირულ-აქტიური ნივთიერების ორიენტირებული ფენა აუმჯობესებს ბიტუმის მინერალურ მასალასთან მიკვრის მაჩვენებელს.

გრანიტი, სიენიტი, დიორიტი, გაბრო, ბაზალტი, ანდეზიტი და სხვა მჟავე მინერალური მასალების ზედაპირთა ჰიდროფობიზაციისათვის ჩვეულებრივად გამოიყენება კათიონაქტიური ნივთიერებანი. მაგრამ, ტუტემიწათა კათიონებით წინასწარი გააქტიურების შემდეგ, მათი ჰიდროფობირება შესაძლებელია ანიონაქტიური ნივთიერებებითაც.

ბიტუმით მინერალური მასალის დასველებადობის და მიკვრის გაუმჯობესებაში გამოიხატება ზან-ის ზემოქმედების ძირითადი მექანიზმი. აქედან გამომდინარე, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ შემუშავდა ანიონ და კათიონაქტიურ ნივთიერებათა კლასები.

საფრანგეთში ფართო გავრცელება პოვა მონოამინის ტიპის კათიონაქტიურმა დანამატებმა. ეფექტური გამოდგა დიამინები, პოლიამინები, იმიდაზოლინები, დოპები და სხვა.

ინგლისესა და შვეციაში გამოიყენება მონო და დიამინის ტიპის კათიონაქტიური დანამატები. აშშ და კანადა იყენებს ამინებისა და ოთხანაცვლებული ამონიუმის ტიპის კათიონურ დანამატებს.

გერმანიაში დანამატად გამოიყენება ალკილამინები, ჰეტეროციკლური ამინები, ამონიუმის ალიფატურ ნაერთთა მარილები, მაგალითად: N-ოქტადეცილამინი; N-β-ოლეინის მჟავის ამინოეთილი და სხვა.

როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ მამოდიფიცირებელ დანამატებად გამოიყენება ისეთი პოლიმერები, როგორიცაა: პოლივინილაცეტატი, პოლისტიროლი, დივინილისტიროლის თერმოელასტოპლასტი, ეპოქსიდის ფისი, სინთეზური ლატექსი და კაუჭუკი.

ბიტუმის მასის 1-6%-მდე სინთეზური ან ნატურალური კაუჭუკი ცხელ ბიტუმში შეაქვთ ფხვნილის სახით. დანამატი ზრდის შემკვრელის დარბილების ტემპერატურას და წელვადობას. მცირდება მისი სიბლანტე და უმჯობესდება ადჰეზია. დანამატის კონდენსაციურ-კრისტალიზაციური სტრუქტურა იწვევს ბიტუმის ამორფული მასის არმირებას.

ამიტომ, ბიტუმის სტრუქტურაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით ასეთი სახის დანამატები, გარდა პლასტიფიცირებისა და გათხევა-დებისა, მასტრუქტურებელ როლსაც ასრულებს. სტრუქტურის მოდიფიკაციისათვის გამოიყენება ბუტილკაუჭუკი, დივინისტი როლის თერმო-ელასტოპლასტი, კარბოქსიდის ლატექსი. ეფექტურია რეგენირებული რეზინის ნაფხვენის (ძველი ავტოსაბურავების ნაფხვენი) გამოყენება. რეზინის დაქუცმაცებულ ნაფხვენს უმატებენ  $150-180^{\circ}\text{C}$ -მდე გაცხელებულ ბიტუმს 3-5%-ის რაოდენობით, გულდასმით ურევენ. ასეთ პირობებში რეზინი იჯირჯვება და წარმოქმნის რეზინ-ბიტუმის დისპერსიულ სისტემას, რომელიც ზრდის ასფალტბეტონის დრეკადობას, ბზარმედეგობას და ამცირებს დაძველებას.

მიუხედავად დანამატების დიდი რაოდენობისა, საჭიროა მათი ასორტიმენტის კვლავ გაფართოება სამრეწველო ნარჩენების, იაფფასიანი ნავთობპროდუქტთა შესწავლისა და დანერგვის გზით.

ინფრაწითელი სპეციროსკოპით ქრომატოგრაფიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ფიზიკურ ადსორბციასთან ერთად ადგილი აქვს ქემადსორბციულ პროცესებსაც. ბიტუმის აქტიური ფუნქციონალური ჯგუფები ურთიერთქმედებს კალციუმისა ან მაგნიუმის კარბონატთან კარბონატული ტიპის საპონების წარმოქმნით, რაც, თავის მხრივ, ზრდის ადჰეზიას და საერთო მედეგობას. ამგვარად, შემკვრელის ქიმიური შედგენილობა და აქტიურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადჰეზიას. ასეთ პირობებში ორგანული პოლიმერები ზრდის მაკრომოლეგულების რგოლების მოქნილობას და პოლარობას. მიკრომოლეგულათა ჯაჭვებს შორის განივი კავშირების წარმოქმნა ამცირებს ადჰეზიას, პოლარული ჯგუფების მქონე მოლეგულათა ფართო განშტოება კი პირიქით. ამგვარად, პოლარულჯგუფებიანი დანამატები ზრდის მაღალმოლეგულურ ნაერთთა რგოლების ძვრადობას და შესაბამისად, ადჰეზიას.


**ბიტუმის აქტივაცია.** ადჰეზიის გაუმჯობესების მიზნით, მინერალური მასალისა და ბიტუმის აქტივიზაცია წარმოებს უშუალოდ ნარევის მომზადების წინ. ბიტუმის აქტივიზაცია დაფუძნებულია მექანოქიმიის დებულებაზე – მექანიკური ენერგიის ქიმიურ ენერგიად გარდაქმნის შესაძლებლობაზე. ამ პრინციპიდან გამომდინარე,

შესაძლებელი გახდა ბიტუმის აქტივიზაცია ულტრაბგერის ზემოქმედებით. დადგენილია, რომ 5 წუთის განმავლობაში 15-35 კილოჰერცი სიხშირის და 50-60 ვტ/სმ<sup>2</sup> სიმძლავრის ულტრაბგერის ზემოქმედებით იზრდება ბიტუმის ადჰეზია, როგორც მუავე, ასევე ფუძე ქანებთან. ასეთივე შედეგები იქნება მიღებული ბიტუმის ელექტროგანმუხტვით დამუშავებისას. ელექტროიმპულსის მეთოდით დამუშავებისას იცვლება ბიტუმის პენეტრაცია და დუქტილობა.

მექანიკური თვისებების გაზრდის მიზნით, ბიტუმს უმატებენ მასტრუქტურებელ ბოჭკოვან და ფხვნილისებრ დანამატებს. ბოჭკოვანი დანამატებია მინერალური ბამბის, აზბესტის, პოლიმერული ფისის ბოჭკო ან საფეიქრო მრეწველობის ნარჩენები. ბოჭკოვანი დანამატები თანაბრად განაწილდება ბიტუმის მასაში და არმატურის როლს ასრულებს. 5-10% ასეთი დანამატი მკვეთრად ზრდის ნარევის სიმტკიცეს, მაგრამ ტექნიკური სიძნელეების გამო პრაქტიკაში ჯერ ვერ პოვა გავრცელება.

კირქვების, დოლომიტების და სხვა კარბონატული ქანების ფხვნილებს ფართო გამოყენება აქვს. ორგანული შემკვრელით მინერალური ფხვნილის დამუშავების შედეგად, მარცვლების ზედაპირზე წარმოიქმნება სხვადასხვა სისქისა და მდგრადობის შეკავშირებული ბტუმის ადსორბციული-სოლვატური გარსები.

ადსორბციულ-სოლვატურ გარსში არსებული შეკავშირებული ბიტუმის კოჰეზიონმეტრზე (შეწებებულ ორ ფირფიტას შორის) განსაზღვრული მექანიკური თვისებები ნაჩვენებია ნახ. 17-ზე. ადსორბციულ-სოლვატური ფენა მედავნდება მაშინ, როდესაც მინერალური ფხვნილის კონცენტრაცია 75%-ზე მეტია, ე.ი. დისპერსიული ფაზის მოცულობა მაქსიმალურია. აღნიშნულ კონცენტრაციამდე გარსის ფენის თვისებებს განსაზღვრავს შემკვრელი. კონცენტრაციის 0-დან 70%-მდე ზრდა იწვევს სიბლანტის ზრდას ფხვნილის რაოდენობის მატების პროპორციულად და ემორჩილება აინშტაინის კანონს:  $\eta = \eta_0 \cdot (1 + 2.5\varphi)$ , სადაც  $\eta$  და  $\eta_0$ - დისპერსიული ფაზის საწყისი და საბოლოო სიბლანტი; – დისპერსიონული ნივთიერების (ფხვნილის) ხვედრითი წილი.



ნახ.17 გაჭიმვისას სიმტკიცის დამოკიდებულება გარსის სისქეზე  $20^0$  C  
ტემპერატურისას, 2.  $0^0$  C ტემპერატურისას, 3.  $20^0$  C ტემპერატურისას  
 ————— ბიტუმი БНД 60/90  
 - - - - - ბიტუმი БНД 130/200

მინერალური ფევნილის 70-75% კონცენტრაციისას წარმოიქმნება ახალი სტრუქტურული სისტემა, რომელშიც კონტაქტები ხორციელდება ადსორბციულ-სოლვატური გარსების მეოხებით. რადგან გარსის ბიტუმის სიბლანტე მაღალია, მკვეთრად მატულობს სისტემის მექანიკური სიმტკიცე. ეს კანონზომიერება გათვალისწინებულია ასფალტების ნარევების დაპროქტებისას მოდიფიცირებული ბიტუმების გამოყენებით.

### 3.7 მოდიფიცირებული ბიტუმის შერჩევა საგზაო კონსტრუქციის მუშაობის რეალური პირობების გათვალისწინებით

საგზაო მშენებლობაში გამოყენებული მოდიფიცირებული ბიტუმი უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მოდიფიცირებულმა ბიტუმმა საგზაო ფევნილის საჭირო სიმტკიცე უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ტემპერატურულ ინტერვალში ცვლადი დატვირთვების მოქმედების პირობებში;
2. მოდიფიცირებული ბიტუმი კარგად უნდა ასველებდეს და ეკვროდეს მინერალურ მასალის ზედაპირს წინასწარგანსაზღვრული თვისებების მქონე ასფალტებების მისაღებად;
3. მოდიფიცირებული ბიტუმი უნდა იყოს ხანგამელე, ე.ო. მისი დაძველება (თვისებების ცვლილება ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდს) იყოს მინიმალური.

აღნიშნულ მოთხოვნათა შესრულება იძლევა მაღალხარისხოვან პროდუქციის მიღების გარანტიას, მაგრამ ამისათვის საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ საწყისი მასალების ძირითადი მახასიათებლები. საგზაო მშენებლობაში გამოყენებულ შემკვრელთა თვისებების ზუსტი შეფასებისათვის საჭიროა უახლესი, თანამედროვე ხელსაწყოებისა და მეთოდების გამოყენება. შემკვრელთა ზოგიერთ მახასიათებელთა განსაზღვრა წარმოებს არა განზომილების მიღებული SI-სისტემის ერთეულებით, არამედ პრობითი ერთეულებით; ამიტომ მიღებული შედეგები შეიძლება მხოლოდ ირიბად დავახასიათოთ ბიტუმის ესა თუ ის თვისება. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად უნდა შემუშავდეს ახალი ხელსაწყოები და მეთოდები, კერძოდ:

1. მიკვრის (ადჰეზიის) რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდი და ხელსაწყო;
2. ტემპერატურის ფართო დიაპაზონის ხანმოკლე დატვირთვებით გამოწვეული მოდიფიცირებული ბიტუმის მექანიკური (დეფორმირებადობა) თვისებების განსაზღვრის მეთოდი და ხელსაწყო;
3. საგზაო ფენილში მოდიფიცირებული ბიტუმის მუშაობის ვადის განსაზღვრის დაჩქარებული მეთოდი და ხელსაწყო.

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, საქართველო სუბტროპიკული, ტროპიკული და მაღალმთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი კლიმატის ქვეყანაა. ამდენად, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეირჩეს რეგიონის კლიმატის შესაბამისი სხვადასხვა ორგანული შემკვრელი. ქართლ-კახეთის დაბლობ რაიონებში გამოყენებული შემკვრელი უნდა იყოს თბომედეგი, ხოლო კოლხეთის დაბლობში, გარდა აღნიშნული თვისებებისა, შემკვრელი უნდა იყოს ატმოსფერულმედეგიც. საქართველოს დაბალმთიან რაიონებში გამოყენებული შემკვრელის სიმყიფისა და დარბლების ტემპერატურა უნდა იყოს საკმაო. სიმაღლის მატებისა და შესაბამისად, კლიმატის გამკაცრების მიხედვით უნდა შემცირდეს შემკვრელის თბომედეგობა და გაიზარდოს პლასტიკურობა. სპეცალური მოდიფიცირებული ბიტუმი საჭიროა დიდი ინტენსივობის სააგტომობილო მაგისტრალებისათვის. ცხადია, ყველა შემკვრელი უნდა შეესაბამებოდეს ერთ ტემპით ნორმას, მაგრამ, უფრო უპრიანია კლიმატური

ზონის შესაბამისად ცხელი და ცივი ნარევებისათვის გამოყენებული ორგანული შემკვრელი ბიტუმის რეოლოგურ თვისებათა დიფერენცირებული ნორმებს შემუშავება, რაც საქართველოს ტერიტორიის საგზაო კლიმატური დარაიონების გარეშე შეუძლებელია.

### 3.8. რეზინაბიტუმი

ბზარწარმოშობის საწინააღმდეგოდ აუცილებელია მასალა რომელიც ეფექტურად აითვისებს ფენილში აღმრულ ბაბვებს. რეფლექტორული ბზარწარმოქმნისას ბაბვების კონცენტრაცია წარმოიშვება ქვედა ფენებში არსებულ ბზარებში. ტემპერატურის ცვალებადობა იწვევს აგრეთვე ბაბვებსა და შესაბამის ტემპერატურულ ბზარებს. ფენილის შეკუმშვა წარმოშობს ბზარებს როდესაც შემკუმშავი ბაბვა აჭარბებს შემკრავის ზღვარს კუმშვაზე, ამიტომ მასალა არ უნდა იშლებოდეს და თავისუფლად იტანდეს მაღალ გამჭიმავ ბაბვებს.



მასალამ რომ წინააღმდეგობა გაუწიოს დაღლილობისაგან გამოწვეულ დაშლას რომელიც გამოწვეულია საფუძვლის შერბილებისაგან და შესაბამისი მნიშვნელოვანი ჩაღუნვებისაგან. აუცილებელია მასალამ შეძლოს გაჭიმვა და ფორმების აღდგენა, აგრეთვე შეძლოს შეაჩეროს ბზარწარმოქმნა.

ცნობილია რომ შემკრავის შემცველობა თხელ ფენებში გავლენას ახდენდეს მის ხანძედებობაზე. ნებისმიერი მაღალი სიბლანტის მქონე შემკრავი თუ დაემატება ნარევს დიდი რაოდენობით აუმჯობესებს წინააღმდეგობას ბზარწარმოქმნისადმი. თუ შემკრავი ინარჩუნებს ასეთ

თვისებებს ტემპერატურისა და დროის ფართო დიაპაზონებში მისი გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის ფენილის სამსახურის ვადას. პოლიმერების გამოყენებამ უნდა გაზარდოს საგზაო ფენილების სამსახურის ვადა, მაგრამ ეს ხშირად ზრდის შემკრავის ღირებულებას,


უფრო ხელმისაწვდომი ვარიანტია ძველი საბურავებისა და რეზინის სხვა ნარჩენებისაგან მიღებული ფვნილის დამატება შემკრავზე (ე.წ. რეზინაბიტუმი). ასეთი მასალის გამოყენება ბიტუმის რეოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად ცნობილია და აღწერილია სპეციალურ ლიტერატურაში. რეზინაბიტუმი იწარმოება ძველი საბურავების რეზინის გრანულების დამატებით ბიტუმთან. ემატება მინიმუმ 15 % წვეულებრივ კი 18-20 % რეზინი. აქ მთავარი ფაქტორია ბიტუმისა და რეზინის შეთავსებადობა. რეზინის ფხვნილის გრანულომეტრია შერევის და ტემპერატურის დრო, აგრეთვე შერევისას ძვრის დონე გავლენას ახდენენ მასალის თვისებებზე.

ნახ.18-ზე ნაჩვენებია გაფანტვის დაახლოვებით იდეალური მრუდი. მაგრამ თუ რეაქციის დრო საკმაოდ ხანგძლივია შესარევად გამოიყენება აგრეთვე სპეცმოწყობილობა და რეაქციის ტემპერატურა მკაცრად კონტროლდება. შეგვიძლია გამოვიყენოთ რეზინის ნამცევები ზომით 2 მილიმეტრამდეც.


„ბიტუმპოლიმერის“ სისტემის შეთავსებადობა შეიძლება განვსაზღვროთ რამდენიმე ხერხით:

- გარკვეული მორფოლოგიის მიღების თვალსაზრისით ანუ პოლიმერული ნაწილაკების სტრუქტურული სქემით ბიტუმის მატრიცაში.
- თერმოდინამიკური სტაბილურობის მიხედვით აუცილებელია განვსაზღვროთ პოლიმერული ნაწილაკები ან მათი ჯაჭვები იმყოფებიან თუ არა დაბალენერგეტიკულ მდგრმარეობაში, ანუ არის თუ არა მამოძრავებელი ძალა ენტროპიის გაზრდისათვის.
- შენახვის სტაბილურობის მიხედვით ხომ არ იყოფიან ამოსავალი კომპონენტები შენახვის პერიოდში.

- რომელიმე თვისებების ან თვისებათა კომბინაციის შენარჩუნებით ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში (დაგების მომენტამდე).



ნახ. 18. დაქუცმაცებული რეზინის გაფანტვის ტიპიური მრუდი



ნახ.19.: ბიტუმისა და რეზინის ნაწილაკების რეაქციის სტადიურობა


როდესაც რეზინის ნაწილაკები ერევა ბიტუმში ნაწილაკები იფარებიან გელით, რაც ანალოგიურ პოლიმერბიტუმის სისტემებში გაფუნქცირდებოდა. შედეგად ვიღებთ დამოუკიდებელ

რეზინაბიტუმის მატრიცას, რომელიც წარმოადგენს სამფაზიან სისტემას: რეზინა, რეზინისა და ბიტუმის ნაზავი და ბიტუმი. ნარევი შედგება პოლარული ტიპის შეკავშირებული მოლექულებისაგან დისპერსიულ გარემოში. ნედლეულის ტიპი და გაწმენდის პროცესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიტუმის შემადგენლობაზე და შესაბამისად რეზინისა და ბიტუმის შეთავსებადობაზე. რეზინის გაფუება გამოწვეულია არომატული და ნაფტენური ზეთებისაგან, ამიტომაც ნედლეულის წყარო და გაწმენდის პროცესი გავლენას ახდენენ რეზინაბიტუმის ფორმულაზეც.


პოლიმერებით მოდიფიცირებული სისტემების თვისებები დამოკიდებულია მორფოლოგიაზე. როდესაც მასალები შეთავსებადია მორფოლოგია ოპტიმიზირებულია. ეს იძლევა საუკეთესო დისპენსიურობას.

იგი ასევე გვიჩვენებს შედარებას შეთავსებად და შეუთავსებად სისტემებს შორის, როდესაც ვიყენებთ შეფასებათა სისტემას. შეთავსებად სისტემებს აქვთ მუშა ტემპერატურის უფრო ფართო დიაპაზონი და უფრო მაღალი ხარისხი. რეზინის ფხვნილის გამოყენების ძირითადი ეფექტი მდგომარეობს სიბლანტის გაზრდასა და თერმული მგძნობელობის გაუმჯობესებაში. იხილეთ ნახ.20.

ნახ.21-ზე ნაჩვენებია დარბილების ტემპერატურის შედარება სიმყიფის ტემპერატურასთან. ეს გვიჩვენებს რომ ასეთი შემკვრელები ნაკლებად მყიფენი არიან უარყოფითი ტემპერატურისას და ნაკლებად ექვემდებარებიან დეფორმაციას მაღალი ტემპერატურისას. შესაბამისად მათი სატრანსპორტო საექსპულუატაციო მაჩვენებლები იქნება საუკეთესო და სტაბილური წლის ნებისმიერ დროს საქართველოსთვის დამახასიათებელ კლიმატურ პირობებში.



ნახ.20 თერმული მგმობელობის გაუმჯობესება რეზინის დამატებით.



1-პიტუმი პენეტრაციით 120 (ნემსის შედწევადობა 0.1 მმ 25°C -ზე

2-რეზინაბიტუმი, დამზადებული ბიტუმით პენეტრაციით 120


3-პიტუმი პენეტრაციით 80

4-რეზინაბიტუმი, დამზადებული ბიტუმით პენეტრაციით 80

ნახ.21 ზემოქმედება რგოლისა და ბურთულის მეთოდით განსაზღვრული დარბილების ტემპერატურისა და ფრასის მიხედვითგანსაზღვრულ სიმყიფის ტემპერატურაზე.


ნახ.20 გვიჩვენებს მრუდეთა გადაკვეთის წერტილის არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ბიტუმების თვისებათა იდენტურობას, მაგრამ მხოლოდ  $+10^{\circ}\text{C}$  -ზე დაბალ ტემპერატურაზე რეზინაბიტუმის დრეკადობის მოდული მცირეა და ამიტომ შემკრავი გაცილებით ელასტიურია. მაღალ ტემპერატურაზე რეზინაბიტუმის დრეკადობის მოდული პირიქით უფრო მაღალია. როგორც ვხედავთ რეზინაბიტუმის გამოყენება საკმაოდ ეფექტურია საქართველოსათვის დამახასიათებელი ექსტრემალურ პირობებში.

ასეთი შემკვრელები ადვილად ეწინააღმდეგებიან არახელსაყრელი ამინდების პირობებს, ასევე დაბერების პროცესებსაც, ვინაიდან რეზინა შეიცავს ანტიოქსიდანტებს. ნახ.22 გვიჩვენებს რომ შეიძლება მივიღოთ შემკრავის უფრო სქელი აფსკი ნარევში ბლანტი შემკრავის გამოყენებით, რაც აძლიერებს დაბერებისადმი მდგრადობას რამდენადაც ბიტუმის შემკრავებში დაუანგვის პროცესი დამოკიდებულია დიფუზიაზე.




ნახ. 22. რეზინაბიტუმის შემკვრელთა დაბერების ეფექტი ღუმელში და ამინდის პირობების სიმულატორში. 1-1 დდკ; 2-5 დდგ; 3-8 დდე

რეზინაბიტუმის გამოყენებით შექმნილ მემბრანებში მცირდება ბზარების რაოდენობა, რაც გამოწვეულია ფენილის ზედა ფენაში ძაბვის შემცირებით. ნახ.23 ტემპერატურული ძაბვების შემცირება მოითხოვს სიმტკიცის ზღვრის გაზრდას გახლეჩვაზე და გაგრძელების ზღვრის გაზრდას გაწყვეტაზე რაც ნაჩვენებია ნახ.24-ზე.



ნახ.23 რეზინობიტუმის გამოყენების გავლენა ზედა ფენების დაძაბულობაზე.




ნახ. 24. ბიტუმის მოდიფიცირების გავლენა წყვეტაზე, სიმტკიცის ზღვარზე და ჭიმვაზე გაწყვეტისას-ბენსონის ტესტი

მინერალური მასალის ზედაპირის დამუშავების სახეობა დამოკიდებულია შემკრავის ზემოთაღწერილ თვისებებზე. ძაბვის-მშთანთქავ მემბრანებში ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებზე მისი მოქნილობას დაბალ ტემპერატურებზე და მდგრადობას წყვეტაზე ემატება მოთხოვნა ადგეზია ქვის მასალასთან. ნახ.25 სადაც მოყვანილია მაგალითი ვიალიტის გამოცდისა სხვადასხვა დაბალ

ტემპერატურაზე. ნათელია რომ რეზინაბიტუმს აქვს განსაკუთრებული კოჰეზია დაბალ ტემპერატურაზე და აღგეზია მოცემულ ქვის მასალაზე (კაჟოვანი გრანიტი).

ვიალის სხვადასხვა შემკვრელ ებთან  
სხვადასხვა მიმართული სხვაობისას  
მიმართული ამსახველი მრუდები



ნახ.25 ლორდის მიკვრადობა რეზინაბიტუმის შემკვრელთან

### 3.9. კომპოზიციური შემკვრელები ბირკ ა/ბ-ის საფუძველზე

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემოთავაზებული ტექნოლოგია, ექსპერიმენტალური და საცდელი საწარმოო სამუშაოების ჩატარების შემდეგ საგზაო სფეროს ობიექტებზე იძლევა საშუალებას მკვეთრად განვასხვავოთ ბირკ ნარევების მასალები სხვა შემკვრელებისაგან ფართო პლასტიკურობის ინტერვალით. მისი ინტერვალია  $85^{\circ}\text{C}$  და მეტი. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი საგზაო ბიტუმების პლასტიკურობის ინტერვალი როგორც წესი  $60\text{--}65^{\circ}\text{C}$ -ია, რომელიც არასაკმარისია საფარის ზედა ფენების მოსაწყობად საქართველოს უმეტეს რეგიონებში კლიმატური პირობების გამო.

მაღალი მაჩვენებლების შემკვრელი მასალების ხარისხის კომპლექსი, უზრუნველყოფს ა/ბ-ის მაღალ ბზარგამდლეობას და სიცოცხლისუნარიანობას. ბიტუმების მაღალი აღგეზიური თვისებები

უზრუნველყოფს ა/ბ-ის მაღალ წყალგაუმტარობას და ექსპლუატაციის დროს საფარის ისეთ დაზიანებას, როგორიცაა გამოფხვნა.


თავისი სტრუქტურით ბიტუმ-რეზინის ეკოლოგიურად სუფთა კომპოზიციური მასალები (აბრევიატურა ბიტრე), რომლებიც ბიტუმების წვრილდისპერცული რეზინის ნაფხვენის ქიმიური მოდიფიცირების ტექნოლოგიის მიხედვით, პრინციპულად განსხვავდება როგორც ზოგადად ჩვეულებრივი რეზინაბიტუმის ნარევებისგან, ასევე შემკვრელებისგან, რომლებიც მიღებულია პოლიმერების ან კაუჩუკების ბიტუმში გახსნის გზით.

შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით მოდიფიცირების ჩატარებისას დაუანგული ბიტუმების არასტაბილურ მოლექულურ-კოლოიდურ სისტემაში შეყავთ რეზინის ნაწილაკები, რომლებიც ახდენენ გარკვეული ფრაქციის ნაწილის ადსორბირებას და ერთმანეთს უკავშირდებიან მოცულობით მოლექულურ ბადეში რეზინის კაუჩუკური ფრაგმენტების მიერ შექმნილი ქიმიური ბმების, ასევე ბიტუმის მაღალმოლექულური კომპონენტების არსებული და დამატებით შექმნილი აქტიური ცენტრებით. პროცესი დაფუძნებულია ბიტუმში და რეზინის ნაფხვენის ნაწილაკების ზედაპირზე საფეხურებრივი რაღიკალური პოლიმერიზაციის პროცესების წარმართვის პირობების შექმნაზე ქიმიური აგენტების კომპლექსის მოქმედების ქვეშ, რომლებიც უზრუნველყოფენ „ცოცხალი“ ჯაჭვების რეჟიმს.

ტექნოლოგიური პროცესის მეორე სტადიაზე მასალის სტრუქტურაში შეყვანილი ჭარბი აქტიური მოლექულური ჯგუფები ქმნიან იმ დამატებითი ასოციაციური ძალების ველს, რომლებიც მოქმედებენ ტემპერატურის დაწევისას და უზრუნველყოფენ მომატებულ ადჰეზიასა და მთელი ჰეტეროგენული სისტემის სტაბილურობას.

რეზინის ნაფხვენის შეყვანა, ბიტუმში მისი მინიმალური ზედაპირული დესტრუქცია და ნაწილობრივი პოლიმერიზაცია შემოთავაზებული ტექნოლოგიის მიხედვით ასევე შესამჩნევად ცვლის მასალის სიბლანტის ტემპერატურაზე დამოკიდებულების მსგავსობას პლასტიურობის ინტერვალის ზღვრებში. შერბილების ტემპერატურა იზრდება და სიმყიფის ტემპერატურა მცირდება, პლასტიური მდგომარეობის ინტერვალი კი ფართოვდება.

სიბლანტე, პ.წმ



ნახ. 26. სხვადასხვა ბიტუმების კინემატიკური სიბლანტის  
დამოკიდებულება ტემპერატურაზე

ნახ.26-ზე წარმოდგენილია კინემატიკური სიბლანტის ტემპერატურაზე დამოკიდებულების შედეგები როგორც ჩვეულებრივი საგზაო ბიტუმისთვის, რომელიც გუდრონის დაუანგვით მიიღება და საწყისის სახით გამოიყენება, ასევე ამ დამოკიდებულების ცვლილებისას ქიმიურად მოდიფიცირებულ ბიტუმში. შედარებისთვის მოყვანილია ბნდ60/90 მარკის დაუანგული და ნარჩენი ბიტუმების სიბლანტის დამოკიდებულებები.

შედარებულია მახასიათებლების მაჩვენებლები ორი ტიპის ბირჟანარევების პირველად საგზაო ბიტუმთან რომელიც აკმაყოფილებდა გОСТ 2245-90 მოთხოვნებს.

ჩატარებულმა გამოკვლევამ ა/ბ-ის ბირჟ-ზე გვიჩვენა, რომ:

1. შემკვრელის ხარჯი ნარევი არ გაიზარდა;
2. საშუალო სიმკვრივე დაეცა  $0.01\text{g}/\text{cm}^3$ ;
3. ფიზიკა-მექანიკური მაჩვენებლები ა/ბ-ის აკმაყოფილებს მოთხოვნებს გОСТ 9128-97;

4. საკმაოდ დაეცა სიმტკიცის ზღვარის მაჩვენებელი კუმშვაზე.  $0^{\circ}\text{C}$ - 12.4მ.პას პირველადი ბიტუმის, 8.69-9.23 მეგ.პას ბირპ ნარევის;
5. გაიზარდა კოეფიციენტი წყალმედეგობის დიდი წყალშესრუტვის შედეგად  $0^{\circ}\text{C}$ - 0.62 პირველადი ბიტუმის, 0.85 ბირპ ნარევის;
6. გაიზარდა სიმტკიცის მაჩვენებელი  $50^{\circ}\text{C}$ -ზე 1.9მეგ.პას-დან 2.16მეგ.პას-მდე და მაჩვენებლელი ძვრისადმი სიმტკიცის- 2.17მ.პას-დან 2.51მ.პას-მდე.

ცხრ.2-ში მოყვანილია ორი ტიპის შემკვრელი ბიტრეკების და საწყისის სახით გამოყენებული ჩვეულებრივი საგზაო ბიტუმების თვისებების მაჩვენებელთა შედარებითი მახასიათებლები 22245-90-ის მიხედვით. სტანდარტული გამოცდების შედეგები გვიჩვენებს, რომ ჭიმვადობის (დეფორმაციულობის) მაჩვენებელი  $0^{\circ}\text{C}$ -ზე მნიშვნელოვნად იზრდება საწყის ბიტუმთან დაკავშირებით. ასეთი ქცევა შეესაბამება რეოლოგიურ თვისებებს და ძალზედ მნიშვნელოვანია საგზაო საფარების პზარმედეგობის ამაღლებისათვის.

ბიტუმის შემკვრელების ნიმუშების მახასიათებელთა შედარება

ცხრილი 2.


თვისებების მაჩვენებლები	შემკვრელების რეალური ნიმუშების მაჩვენებებლთა მნიშვნელობები			
	БНД90/130 (საწყისი)	ბიტრეკ 60/90	БНД60/90 (საწყისი)	ბიტრეკ 40/60
1	2	3	4	5
ნემსის შედწევის სიდრომე, 0,1მმ $25^{\circ}\text{C}$ -ზე	100	78	69	40
$0^{\circ}\text{C}$ -ზე	24	34	20	17
დარბილების ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$	46	65	50	72
სიმყიფის ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$	-23	-26	-20	-24
პლასტიურობის ინტერვალი, $^{\circ}\text{C}$	69	91	70	96

თვისებების მაჩვენებლები	შემკვრელების რეალური ნიმუშების მაჩვენებებლთა მნიშვნელობები			
	БНД90/130 (საწყისი)	ბიტრეპ 60/90	БНД60/90 (საწყისი)	ბიტრეპ 40/60
1	2	3	4	5
ჭიმვადობა 0°C-ზე, სმ	3,5	8	2,4	6
ელასტიურობა °C-ზე, %	არა ნორმ.	50	არა ნორმ.	45
ჩაჭიდება მჟავე ქვიშასთან	<ნიმ. №3	>ნიმ. №2	<ნიმ. №3	>ნიმ. №2
ფარდობითი ადჰეზიური უნარის მაჩვენებელი, %	35	98	47	99

საგზაო ფენილებში ბიტუმების მოქმედების თავისებურებათა გამოსავლენად რომელთაც დამატებული აქვთ შემუშავებული მოდიფიცირებული დანამატები კვლევამ გვიჩვენა რომ ფენილებში დეფორმაცია შედარებით მცირეა და წარმოიშვება მხოლოდ ციკლური ზემოქმედების შემთხვევაში. წარმოდგენილ ნაშრომში ბიტუმების სატანდარტული გამოკვლევის მეთოდებს დამატებული აქვთ დაუნგრეველი სტრუქტურის გამოცდა დაღლილობის ხანგძლივობასა და სიბლანტეზე.

შემკრავთა დაღლილობის ხანგძლივობა გამოკვლეული იქნა ბ. გ. პეტენის მეთოდით. შედეგების ანალიზმა გვაჩვენა რომ შემკრავის თხელი აპსკის დამანგრეველი ციკლების რაოდენობა დამოკიდებულია ტემპერატურაზე და მას აქვს ხაზოვანი სახე. ნახ.27. (დამოკიდებულება გრაფიკულად წარმოდგენილია ნახევრადლოგარითმულ კოორდინატებზე). ამ მონაცემებიდან ჩანს რომ კაუჩუქ-პოლიოლეფინის დანამატის შეყვანა მნიშვნელოვნად ზრდის შემკრავის ხანგძლივობას დაღილობაზე, მით უფრო რაც მაღალია გამოცდის ტემპერატურა. აღსანიშნავია რომ ცდები ტარდებოდა დეფორმირების მოცემული ამპლიტუდით. დაგვირთვის ასეთი რეჟიმი ახასიათებთ ასფალტბეტონის ფენილებს გაზაფხულზე მიწის ვაკისის სიმტკიცის შესუსტების პერიოდში, როდესაც წარმოიშვება მაქსიმალური დეფორმაციები, ამიტომაც განსაკუთრებულდ საინტერესო იყო დაღლილობის ხანგძლოვობის

მაჩვენებლები 0°C ტემპერატურაზე, რაც ახასიათებს ზამთარ-ზაფხულის პერიოდს საქართველოში რომელიც გრძელდება საკმაოდ ხანგძლივად. ეს მნიშვნელოვანი დაღლილობის ხანგძლივობის მაჩვენებლები შეიძლება დაგადგინოთ ექსტრაპოლიმერებითაც, ვინაიდან ექსპერიმენტი ჩვენი კლიმატის თავისებურებების გათვალისწინებით მიმდინარეობდა საკმაოდ ხანგძლივად. მიღებული მონაცემები გვიჩვენებს რომ 6% დანამატი 0°C ტემპერატურაზე, 3 თანრიგით ზრდის ციკლების რაოდენობას შემკრავის დარღვევამდე. შემკრავის კვლევა წარმოებდა „სენდვრიჩის“ ტიპის მოწყობილობით რომელიც გამოიყენება პოლიმერული მასალების გამოსაცდელად. საექსპუტაციო ტემპერატურების ფართო დიაპაზონში ჩატარებულმა გამოცდებმა გვიჩვენა რომ ბიტუმთა შემკრავის სიბლანტე დამოკიდებულია უკუტემპერატურის სიდიდეზე ხაზოვანი სახით თუ მათ წარმოვადგენთ ნახევარლოგარითმულ კოორდინატებში.



ნახ.2.7 ბიტუმი БНД 60/90 –სა და - 6% კეტ-ის დანამატით მოდიფიცირებული ბიტუმის დაღლილობის ხანმედეგობაზე დამოკიდებულება

ეს თანხვდება ი. მ. რუდენკოს მიღებულ შედეგებს, რომელთა მიხედვით დარბილების ტემპერატურის ქვემოთ დამოკიდებულება  $\log \eta = f\left(\frac{1}{T}\right)$  (19) გამოიხატება სწორი ხაზით და შესწავლილი ბიტუმის შემკრავებისათვის


$$\eta = Ae^{\frac{U}{RT}} \quad (20)$$

სადაც A-მუდმივი რიცხვია; R-ბოლცმანის მუდმივა, T-აბსოლუტური ტემპერატურა; U-აქტივაციის ენერგიაა.

БНД60/90 - ისა და ჩვენს მიერ მოდიფიცირებული ბიტუმის სიბლანტეთა მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ

დამოკიდებულება  $\log \eta = f\left(\frac{1}{T+K}\right)$  (ნახ.28ა) და ამით განვსაზღვროთ აქტივაციის ენერგია.

ბიტუმ БНД60/90 -სათვის დარბილების ტემპერატურის ქვემოთ შეადგინა  $47,14 \text{ კ.კალ./მოლ}$ . მოდიფიცირებული ბიტუმისათვის  $\geq 39,28 \text{ კ.კალ./მოლ}$ . ეს გვიჩვენებს რომ მოდიფიცირებული ბიტუმი უფრო ნაკლებად მგრძნობიარეა ტემპერატურის მიმართ ვიდრე ბიტუმი დანამატის გარეშე. გამოანგარიშებულია რომ წრფეები იკვეთებიან -  $12^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე და მის ქვემოთ გადაკვეთის წერტილის მარჯვნივ ბიტუმის სიბლანტე რომელიც მოდიფიცირებულია ნაკლებია ჩვეულებრივი ბიტუმის სიბლანტეზე. ეს მოვლენა არის სწორედ ერთერთი მიზეზი შემუშავებული პოლიმერბიტუმის შემკრავის ნაკლები სიხისტით დაბალ ტემპერატურაზე. ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ფართოდ გამოვიყენოთ ასეთი ასფალტობეტონები მაღალ-მთიან რეგიონებში საგზაო მშენებლობაში, ნაცვლად დღეს მიღებული ცემენტობეტონისა, რომელთაც გააჩნიათ უამრავი ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო ხარვეზები და უარი ვთქვათ ადრინდელ პრაქტიკაზე, როდესაც მაღალმთიან რეგიონებში გამოიყენებოდა მხოლოდ გაედენთვის ან ადგილზე არევის წესით დამზადებული ფენილები რომლებიც მიეკუთვნებიან შავი ფენილების უფრო დაბალ სახეობას ვიდრე ასფალტბეტონები. ასფალტბეტონის შემადგენლობაში შემკრავი იმყოფება თხელი აფსების სახით რაც გამოწვეულია მინერალური ფხვნილის დიდი ხვედრითი ზედაპირით. ამიტომ საინტერესო გახდა გამოკვლევა ასფალტის შემკრავის სიბლანტისა სხვადასხვა ტემპერატურაზე. ექსპერიმენტმა გვაჩვენა რომ ასფალტის შემკრავის სიბლანტის ლოგარითმი დამოკიდებულია უკუ აბსოლუტური ტემპერატურის სიდიდეზე ხაზოვანი სახით (ნახ. 28ბ).



x - ბიტუმი BH.D 60/90 Δ - ბიტუმი BH.D 60/90 6% KPM-ის დანამატით

x - ასფალტური შემკრები BH.D 60/90 ბიტუმით  
Δ - ასფალტური შემკრები BH.D 60/90 ბიტუმი 6% KPM-ის დანამატით

### ნახ.28. ასფალტის შემკრავის სიბლანტის ლოგარითმი

ა-შემკვრელი ბიტუმი; ბ-ასფალტის შემკრავისათვის

აქტივაციის ენერგიის გამოცვლილი სიდიდეები ასფალტის შემკრავისათვის დამატების გარეშე ბიტუმით შეადგინა 39,00 კ.გ/მოლი. 6% კპმ დანამატით 29,68 კ.კალ./მოლ. აქედან ჩანს რომ მინერალური ფხვნილის შეყვანა ამცირებს აქტივაციის ენერგიის დამატების შეყვანას ანალოგიურად და ამით ამცირებს მის ტემპერატურულ მგრძნობელობას და სიბლანტეს დაბალი ტემპერატურების ზონაში. ასეთი გავლენა გამოწვეულია ბიტუმის საშუალო მოლეკულური მასის გაზრდით მინერალური ფხვნილის დამატების გამო. მინერალური ფხვნილი შთანთქავს ყველაზე უფრო დაბალმოლექულურ ნივთიერებას ზეთებს. ამავე დროს ხდება შემკრავის სტრუქტურირება მინერალური ნაწილაკების ზედაპირთან. მინერალური ფხვნილის დამატებით სიბლანტე დაბალი ტემპერატურის დიაპაზონში შემცირდა. სიმყიფის მიღებული ტემპერატურები შემდეგია: ასფალტის შემკვრელისათვის მოდიფიცირებული ბიტუმის დანამატის გარეშე არის - (-11)<sup>0</sup>C, ხოლო 6% კპმ-ის დანამატით - (-15)<sup>0</sup>C. ეს გამოწვეულია ბიტუმის შემკვრელის დეფორმირებადობის შემცირებით, ვინაიდან იგი გადავიდა აფსკის მდგომარეობაში. იმავდროულად კი სიმყიფის ტემპერატურის განსაზღვრა წარმოებდა დეფორმაციის მოცემული ამპლიტუდის რეჟიმში. კპმ-ის ზემოქმედების გავლენის შესაფასებლად


ასფალტობეტონის ნარეგის თვისებებზე მომზადდა წვრილმარცვლოვანი ნარეგი 3 ტიპის ა, ბ და ც – საკვლევი დანამატის ოპტიმალური შემადგენლობით (6 % ბიტუმის ნარეგში დამატებული

მასიდან) და ბიტუმის შემკვრელით. სტრუქტურული ტიპების უფრო სრული დახასიათებისას ცდების წინ გაანგარიშებული იქნა: ჯამური ხვედრით ზედაპირი ასფალტბეტონის მინერალური ნაწილისა, მისი ბიტუმტევადობა და ასფალტბეტონის ნარევში ბიტუმის აფსკის საშუალო სისქე. კპმ-ის დანამატი შეგვევდა  $140-150^{\circ}\text{C}$  გაცხელებულ ბიტუმთან  $170^{\circ}\text{C}$  გაცხელებულ მინერალურ მასალებში რომელიც ირეოდა 30 წამის განმავლობაში, შემდგომი არევა გრძელდებოდა 1 წუთი ყველა კომპონენტის თანაბრად გასაერთიანებლად. გამოკვლეული იქნა ასფალტბეტონის სტანდარტული თვისებები კპმ-ის დანამატით და მის გარეშე. ცდების შედეგების ანალიზმა (ნახ.29) გვიჩვენა რომ კპმ-ის შეყვანა ასფალტბეტონში დადებითად მოქმედებს მის ფიზიკო-მექანიკურ მაჩვენებლებზე: მნიშვნელოვნად მცირდება წყალუღენოვა და ნარჩენი ფორიანობა, იზრდება წყალმდგებობის კოეფიციენტი რაც ახასიათებს ასფალტბეტონის კოროზიულ მდგრადობას. ეს აიხსნება მოდიფიცირებული შემკვრელის მაღალი აღგეზით, ვინაიდან შეიქმნა მტკიცე აფსკი და წყალს გაუმნელდა მისი ქვის მასალისგან განცალკევება. დანამატის გავლენა იგრძნობა შემკვრელის სიბლანტგსთან და კოპეზიუ სიმტკიცესთან დაკავშირებულ ყველა მაჩვენებელზე. 40-50% იზრდება სიმტკიცე კუმშვაზე  $50^{\circ}\text{C}$ -ზე და მხოლოდ 5-10 % ით მცირდება სიმტკიცე კუმშვაზე  $0^{\circ}\text{C}$ -ზე.

გამოკვლევის შემდგომ ნაწილში მოცემულია ექსპერიმენტულ სტატიკური მოდელირება მოდიფიცირებული ასფალტბეტონის თვისებებისა. ამ მიზნით სადისერტაციო ნაშრომში დაიგეგმა სრული 3 ფაქტორიანი ექსპერიმენტი (ბოქსის გეგმით), შედეგად მიღებულია მათემატიკური მოდელები რომლებიც ადეკვატურად აღწერენ ფუნქციის დამოკიდებულებას ვარირებად ფაქტორებზე: დორდის რაოდენობა, კპმ-ის და ბიტუმის რაოდენობა. დადგენილია გამოსაკვლევი ფაქტორების რაციონალური გამოყენების სფეროები. მიღებულია თეორიული მოდელი მოდიფიცირებული ნარევების თვისებების შეფასებისა და პროგნოზირებისათვის, როდესაც ნარევები დამზადებულია ზემოთაღნიშნული კომპონენტებისაგან.

ითვლება რომ ბზარმედეგობის შეფასებისათვის უკეთესია პრიზმული ნიმუშების გამოცდა ღუნგაზე, ამასთან დაკავშირებით შევისწავლეთ

კპმ-ის დამატების გავლენა სიმტკიცის ზღვარზე დინამიური დუნგისას საექსპლუატაციო ტემპერატურების ფართო დიაპაზონში. შედეგების ანალიზმა გვიჩვენა (ნახ. 30), რომ შემკრავის რაოდენიბის გაზრდა და ღორღის რაოდენობის შემცირება ხელს უწყობენ დუნგაზე სიმტკიცის ზრდას. თავის მხრივ ზრვოული დეფორმაცია იზრდება ნარევში ბიტუმისა და ღორღის რაოდენობის გაზრდით. იგივე პირობებში კპმ-ის დანამატის შეყვანა იწვევს ყველა ტიპის ასფალტბეტონის ნარევებისათვის მყიფე მდგომარეობის ტემპერატურის გადაწევას  $7-13^{\circ}\text{C}$ -უფრო დაბალი ტემპერატურის ზონებში. იმავდროულად მნიშვნელოვნად იზრდება დუნგაზე სიმტკიცის ზრვარი რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონსტრუქციების გაანგარიშებისას მონოლითური ფენების წინააღმდეგობაზე, დაღლილობის დაშლაზე დუნგისას გამოწვეული დაჭიმულობისაგან.






ნახ.29 კპმ-ის დანამატის გავლენა ასფალტბეტონების თვისებებზე:

a-წყალდენოვა; b-სიმტკიცე კუმშვაზე  $0^{\circ}\text{C}$ -ზე; c-სიმტკიცე კუმშვაზე  $20^{\circ}\text{C}$ -ზე; d-სიმტკიცე კუმშვაზე  $50^{\circ}\text{C}$ -ზე; e-შიდა


ტანგების ხახუნის კუთხე; f-შეჭიდულობა ასფალტბეტონის გაცურების დროს.

მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ნარევებში შემკრავის ოპტიმალური რაოდენობის შერჩევის მეთოდი. ვინაიდან ბიტუმის რაოდენობის გაზრდით ხდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: მცირდება სიმტკიცე კუმშვისას და იზრდება სიმტკიცე ჭიმვაზე, ამიტომ მოცემული მეთოდის მიზანი იყო ოპტიმალურად დაგვეკავშირებინა ეს ორი მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ნახ.31.

რომ დაგვეხასიათებინა წინააღმდეგობა ნარჩენი დეფორმაციების დაგროვების მიმართ დაჭიმვისას ვცდიდით ასფალტბეტონის ნარევების პრიზმულ ნიმუშებს ცოცვაზე დუნვისას. ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებით აიგო ცოცვადობის მრუდები, რომლებითაც გამოანგარიშებული იქნა ასფალტბეტონის სიბლანტე ჭიმვაზე დუნვისას. ნახ.32.




ნახ.30. ტემპერატურის და ბიტუმის რაოდენობის ზემოქმედება სიმტკიცეზე დინამიური დუნგის დროს (მპა) A, B და C ტიპის ასფალტბეტონებისთვის; a - დანამატის გარეშე, b - კპ-ის 6% მთლიანი ბიტუმის მასისა.



ნახ.31. ბიტუმის ოპტიმალური რაოდენობის შერჩევა ბ ტიპის ასფალტების გრაფო-ანალიზური მეთოდით.


როგორც გვიჩვენებს ექსპერიმენტის შედეგები მიღებულ  $10^0\text{C}$  კპ-ის დანამატის შეყვანა ასფალტბეტონში მნიშვნელოვნად ზრდის მის სიბლანტეს დაჭიმვისას. ეს აიხსნება მოდიფიცირებული შემკრავის რელაქსაციის დროის გაზრდით გაერთიანებულ ასფალტო-პოლიმერული სრტუქტურის არსებობის გამო.



ნახ.32. კპ-ის დანამატის დანარევის ტიპის გავლენა ასფალტობეტონის სიბლანტეზე დაჭიმვისას.

ასფალტბეტონის ძვრისადმი მედეგობის შეფასების თანამედროვე მეთოდები საშუალებას იძლევიან განვსაზღვროთ შინაგანი ხახუნი და

ჩაჭიდება დეფორმირების ბოლო ანუ დაშლის ეტაპზე. პლასტიკური დენადობა იწყება კრიტიკულზე გაცილებით მცირე ძაბვებისას, ამიტომაც არსებული მეთოდები არ გვიქმნიან წარმოდგენას ასფალტბეტონის მუშაობაზე საექსპლუატაციო დატვირთვების დიაპაზონში, მიღებდებული შედეგები კი არ გვაძლევენ საშუალებას ზუსტად შევაფასოთ საკვლევი ასფალტბეტონის წინააღმდეგობა ძვრისადმი. ამ პრობლემის გადასაჭრელად არსებული მეთოდების ძვრაზე ასფალტბეტონების გამოცდის არსებული მეთოდების საფუძვლზე შემუშავებულია ასფალტბეტონის სიბლანტის განსაზღვრის მეთოდი. მუდმივი მძვრელი ძაბვის  $0,307$  მპა და შეზღუდული განივი გაგანიერებების პირობებში  $60^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. სიბლანტე განისაზღვრებოდა დეფორმაციის სიჩქარით ცოცვადობის მრუდით სწორხაზოვან მონაკვეთებზე. ნიკოლსკის მონაცემებით მოდებული ძაბვის სიდიდე შეესაბამება ჯამურ მძვრელ ძაბვას ვერტიკალური და პორიზონტალური დატვირთვებისას სატრანსპორტო მოძრაობის მონაკვეთებისათვის. ცდებისათვის გამოვიყენეთ მოწყობილობა შტამპის ჩაწერების სიღრმის განმსაზღვრელი ხელსაწყო. შტამპის დიამეტრით  $25,2$  მმ (ფართობით  $52$  სმ). ნახ 33.



ნახ.33. ასფალტბეტონის სიბლანტის გამნსაზღვრელი ხელსაწყო ძვრისას შეზღუდული განივი გაგანიერების პირობებში:


1—ფორმა; 2—საყრდენი რგოლი; 3—გამოსაცდელი ნიმუში; 4—დამტვირთავი შტამპი; 5—მოცულობა ნიმუშის შეკავებისთვის; 6—

ხელსაწყოს მაგიდა; 7–ბურთულა; 8–სახელური; 9–შკივი; 10–ინდიკატორი; 11–საყრდენი მაგიდა; 12–გირა.

ასფალტობეტონის სიბლანტე განისაზღვრებოდა ფორმულით:

$$\eta = \frac{t}{\frac{ds}{dt}} \quad (21)$$


სადაც  $t = \frac{P}{S}$ , არის დატვირთვა ნიუტონებში,  $S$ -დაწოლის ზედაპირის ფართობი  $\text{m}^2$ -ში, მრავალრიცხვანმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა რომ იგი შეგვიძლია მივიღოთ  $ABCD$  გადაჭრილი კონუსის გვერდითი ზედაპირის ფართობის ტოლად,  $\frac{P}{S}$  - ძვრის დეფორმაციის ფარდობითი სიჩქარე. იგი პირობითად მიღებულია როგორც ორი პარალელური ფირფიტის ურთიერთგადაადგილების სისწრაფედ  $S$ -ფართობის ზედაპირზე, რომელთა შორის იმყოფება გამოსაცდელი მასალა, მასალის სისქე ტოლია  $MK$  მონაკვეთის სიგრძისა რომელიც გადის  $BC$  და  $BL$  მონაკვეთების შუაში და ტოლია  $CL/2$ :  $\frac{ds}{dt} = \frac{v}{MK}$ , სადაც  $v$  არის ძვრის დეფორმაციის სიჩქარის პროექცია  $BC$  მონაკვეთზე,  $\text{m}/\text{s}$ .



ნახ.34 ასფალტბეტონების ნიმუშების დატვირთვის სქემა, მათი სიბლანტე გამოცდისას: 1–ფორმა; 2–მყარი რგოლი; 3–გამოსაცდელი ნიმუში; 4–დამტვირთველი შტამპი;  $AD$  და  $BC$  – გაცოცების ზედაპირის წარმომქმნელი.

ნახ. 35-ზე ნაჩვენებია მონაცემები, რომელთა მიხედვითაც განივი გაგანიერებისას შეზღუდვის პირობებში (რაც ახასიათებს ასფალტბეტონების ფენილებში) სიბლანტეს ძირითადად განსაზღვრავს ღორღის ჩონჩხის არსებობა. ამავდროულად უნდა ავდნიშნოთ კპმ-ის დანამატით მოდიფიცირებული ასფალტბეტონის უპირატესობა. მოდიფიცირების მაქსიმალური უფექტი მიიღება ა ტიპის ასფალტებში, რომელშიც ღორღის ჩონჩხის წინააღმდეგობას ძვრაზე ემატება მარცვლებს შორის შემკრავის აფსკის მაღალი სიბლანტე. ასფალტობეტონის ნგრევა მრავალრიცხოვანი დატვირთვებისაგან დაღლილობის პროცესით ანუ მიკროდეფექტების წარმოქმნისა და დაგროვებით, სიმტკიცის თანდათანობითი დაცემით დროთა განმავლობაში. ამიტომ ძალზედ აქტუალურია კომპლექსურად მოდიფიცირებული ასფალტბეტონის დაღლილობისადმი ხანმედეგობის გამოკვლევა. ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები მიღებული ვიბროზემოქმედებით გამოწვეული დაღლილობისგან (დანადგარი) გვაჩვენებს რომ შემუშავებული მოდიფიკატორის დამატება ზრდის დაღლილობისადმი ხანმედეგობას 1,5-ზე უფრო მეტად.


ამგვარად კპმ-ის დანამატის შეყვანით გვეძლება საშუალება მივიღოთ სხვადასხვა ტიპის ასფალტბეტონები.



ნახ.35 კპმ-ის დანამატის ზემოქმედება ასფალტბეტონის სიბლანტეზე გაცურებისას.

კპმ-ის დანამატის ზემოქმედების შეფასებამ თერმომჟავურ დამველებაზე გამოავლინა მოდიფიკატორის დადებითი თვისება

თერმომეტაგური ზემოქმედაბის დროს ასფალტბეტონის სიმტკიცის კინეტიკურ ცვლილებაზე, რაც მნიშვნელოვანია, რამეთუ მოდიფიცირებულ ასფალტბეტონებთან მუშაობა დაკავშირებულია მაღალ ტემპერატურასთან. (ნახ.36). დანამატის ასეთი ზემოქმედება განპირობებულია მის შემადგენლობაში არსებული პლასიფიკატორისა და პოლიეთოლენის გამო, რომლებიც ფლობენ რეაქციულ თვისებებს.



ნახ.36 ასფალტბეტონის სიმტკიცის ზღვარის დამოკიდებულება კუმშვისას  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ასფალტბეტონის БНД60/90 ბიტუმითა და კპმ დანამატით.

ხანგრძლივი გამოკვლევები ადგეზიური თვისებების ბირპ შემკვრელისათვის გვიჩვენებს მის უდიდეს ზრდას შედარებით პირველად ბიტუმებთან, ასევე ზედაპირულ აქტიურ ნივთიერებებით გაზავებულ ბიტუმებთან. ჩატარებულია ძალიან მკაცრი გამოკვლებები ბირპ ნარევების დაძველების ხარისხზე, როგორც გადამხურავი მასალა ექსპლუატაციის პერიოდში აქტიური ჟანგბადის (ჰაერის) და მაღალ ტემპერატურაზე მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით, რამაც გვაჩვენა რეალური გარანტირებული მომსახურების ვადა, რომელიც განისაზღვრა არანაკლები 13-15 წლით. გზის სამოსში შემკვრელი არის უფრო კარგ პირობებში. ჩავატარეთ გამოცდა ბიტუმების ბირპ ნარევების, იმ მიზნით თუ რამდენად უმჯობესდება საგზაო პარამეტრები, გზის მომსახურების ვადა, რეზინის გამოყენებით

ბიტუმში. ბირპ ნარევი მომზადდა БНД60/90 ქალიან დაბალი ხარისხის ბიტუმით (გაზომვებმა გვიჩვენეს, რომ გაჭიმვაზე მაჩვენებელი და ქვიშასთან ჩაჭიდულობის კოეფიციენტი არ შეესაბამებოდა სტანდარტებს). მოდიფიკატორის სახით გამოყენებული იქნა წვრილდისპერსიული რეზინის ნამცვები აგტომობილების საბურავებიდან, მოდიფიკატორის მასის რაოდენობა ბიტუმში 8-10%-ია. შესაბარებელ პირველად ბიტუმად ავიდეთ არსებული საუკეთესო ბიტუმი, რომელიც ყველა პარამეტრებით აკმაყოფილებს ГОСТ22245-90-ის მოთხოვნილებებს პენეტრაციით 25%, 0.1მმ-49, ისეთივე როგორც ბირპ ნარევს აქვს. ამ ბიტუმს თავისი დიდი ხარისხის და ფასის გამო გამოიყენებენ მხოლოდ ქალაქში სხმული ა/ბ-ის წარმოებისთვის. ამ შემკვრელებით დამზადებული და გამოცდილი იქნა რამოდენიმე ნიმუში ა/ბ-ის ნარევის სხვადასხვა მარკების, რომლების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები ედრებოდა ГОСТ 12801-98, ექსპლუატაციური მახასიათებლები კი ТУ 5718-001-03218295-2000.

დადგინდა, რომ ა/ბ-ის ნარევების მაჩვენებლები უფრო მაღალია ბირპ ნარევში შედარებით პირველად ბიტუმთან. აღსანიშნავია, რომ პირველად ბიტუმში არომატიზირებული ნივთიერებების რაოდენობა შემცირებულია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს დაუანგული ბიტუმების შეზღუდულ თვისებებს.

იმის გარდა, რომ ბიტუმის თვისებებს რეზინა-კაუჩუკებისა და პოლიმერებთან შედარებით ასწორებს ბირპ ნარევი, უფრო მეტად მედეგია ჟანგბადის (ჰაერის) მუავურ ზემოქმედებაზე. ის განსხვავდება მაღალი მედეგობით წყლის და მარილების დუღაბების მიმართ. მისი ბიტუმთან შეერთებით ხელი ეწყობა შემკვრელის და ბიტუმის მასტიკის დიდ ხანგრძლივობას (სიცოცხლისუნარიანობას), დაბერებისადმი მედეგობას გარემოს ზემოქმედების პერიოდში, ულტრაიისფერი გამოსხივებისადმი მედეგობას და ასევე მნიშვნელოვნად მედეგია წყლის მიმართ. რეზინში არსებული ნივთიერებები – ანტიდაბერების, ანტიოქსიდანტების უზრუნველყოფების სიმტკიცის ზრდას შემკვრელის მუავური დეგრადაციის მიმართ ექსპლუატაციის პერიოდში, ანელებენ საფარის სიბერის პროცესებს მაღალი ტემპერატურების დროს ექსპლუატაციისას, ასევე გახურების პირობებში მაღალ ტექნოლოგიურ

ტემპერატურებზე. წვრილდისპერსიული ნამცევების შეყვანისას მისი ქიმიური შერწყმა ბიტუმის კომპონენტებთან და მისი დიდი ადგეზიური თვისებები ამაღლებს შემკვრელების წყალგამძლეობას. ნალექების ზემოქმედების დროს. ექსპლუატაციისას რეალურ კონსტრუქციებში აღსანიშნავია ეფექტი დაზიანებული მონაკვეთების “თვითგანკურნების” ბირპ ნარევით, აგრეთვე შეჩერებულია გამოფხვნა რეზინის ფხვნილის ასფალტიდან და გაზრდილია ნარევის წებოვანი თვისებები, გამძლეა თანამედროვ ყინულსაწინააღმდეგო რეგენტებისადმი.

ასე და ამგვარად ბირპ ნარევები წარმოებული დაუანგული ბიტუმებისაგან წარმატებულია. ამ ტექნოლოგიით ქიმიური მოდიფიკაცია არაერთგვაროვანია თავის ფიზიკური და ქიმიური ნაკრებით, აგრეთვე სტრუქტურით და არის გეტეროგენური კომპოზიციური მასალები, კარგი თვისებებით.

ა/ბ-ის საფარის ზედა ფენის მახასიათებლების შედარება

### ცხრილი 3

მაჩვენებელი	ა/ბ ბნდ 60/90 (5%)	ა/ბ ბნდ 60/90 (5.3%)	მოთხოვნები ГОСТ 9128-97
სიმტკიცე კუმშვაზე მპა $50^{\circ}\text{C}$	1.3	2.2	>1.3
$20^{\circ}\text{C}$	4.5	5.7	>2.5
$0^{\circ}\text{C}$	13.7	10.0	9.0-11.0
სიმტკიცე ძვრაზე, მპა	3.6	2.7	—
სიმპვრიცის მოდული კუმშვაზე მპა			
$50^{\circ}\text{C}$	120	200	—
$0^{\circ}\text{C}$	2000	640	—
წყალგამძლეობა	0.8	1.0	0.85-0.95
წყალმედებობა	0.65	0.98	0.75-0.95

ესაა ცდებით ჩატარებული მონაცემები. ა/ბ-ი ტიპის, წვრილმარცვლოვანი მკვრიცი, საშუალო სიმპვრიცით 2.43-2.41 გ/სმ<sup>3</sup>. შემადგენლობა: გრანიტის ლორდი 5-15მმ-46%, ქვიშა-44%, მინერალური

ფხვნილი—10%, მოდიფიკატორი—რეზინის ნაწილაკები რბილი რეზინებისაგან HK(2%) და ავტომანქანის საბურავების ნამცეცების ზომით 0.8მმ (8% შემკვრელის მასის შემადგენლობაში).

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ პირპ ნარევის გამოყენების დროს საგრძნობლად იზრდება სიმტკიცის ზღვარი და ძვრის წინააღმდეგობა მაღალ ტემპერატურებზე, რაც თავის რიგში ზრდის მდგრადობას ა/ბ-ის საფარში. ეს თვისება ძალიან საჭიროა ცხელი კლიმატის რეგიონებისათვის, მეორეს მხრივ ბზარმედეგობა ამავე ა/ბ-ის შეესაბამება I კლასის ფინურ ნორმატივებს (PANK4302) ე. ი. იგი შეიძლება გამოვიყენოთ ცივ კლიმატურ ზონებშიც კრიტიკული ტემპერატურების დროს  $-35^{\circ}\text{C}$ . დიდი ადგეზიური თვისებების გამო ა/ბ გამოირჩევა დიდი მედეგობით წყლისა და ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ. ასეთი ა/ბ-ის ზედა საფარს ქიმიურად დამუშავებული რეზინის ხარჯზე, აქვს გაზრდილი ჩაჭიდულობის კოეფიციენტი ავტომობილის თვლებისადმი და დაბალი ხმაური. ასეთი ა/ბ გამოირჩევა კარგი თვისებებით დატკეპნისას და ადგილია დაგებისას შედარებით იმ ა/ბ-სგან, რომელშიც გამოყენებულია მოდიფიცირებული პოლიმერული ბიტუმის შემკვრელები.

დამუშავებული ტექნოლოგია გამოყენებული იყო სააგტომობილო გზის საცდელი მონაკვეთის მშენებლობის დროს. მოდიფიცირებას ექვემდებარებოდა ბიტუმი, რომელიც მიღებული იყო გუდრონის დაუანგბადების გზით ლოკალურ ხელსაწყოზე. მიღებული ბიტუმი დაბალი ხარისხისა და ბევრი სხვა ტექნოლოგიური გადახრების გამო არ აკმაყოფილებდა ГОСТ 22245-90 მოთხოვნებს.

პირპ ნარევის ტექნოლოგიის წარმოების პროცესი ძირითადად ორგანიზაციულ-ტექნიკური, სხვადასხვა მიზეზების გამო მიმდინარეობდა უამრავი არადასაშვები ხარვეზებით. ამისდა მიუხედავად ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით მიღებული ა/ბ-ის ნარევი მკვეთრად გაუმჯობესდა და დააკმაყოფილა მოთხოვნები ГОСТ 9128-97, რამდენიმე თვისებით, მაგალითად ბევრად გაუმჯობესდა წყალგაუმტარობა.



სურათზე გამოსახულია ბირპ ნარევით დაგებული საავტომობილო გზის საგზაო საფარის მდგომარეობა 2 წლის ექსპლუატაციის შემდეგ. 2010 წლის მონაცემებით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ოვალნათლივ აჩვენა, რომ საკონტროლო მონაკვეთის საფარის ზედაპირული დამუშავების მიუხედავად, შესამჩნევია არსებითი განსხვავება საცდელ მონაკვეთთან შედარებით. საცდელ მონაკვეთში ა/ბ-ის საფარის მდგომარეობა არის კარგი, დაზიანებები არ შეიმჩნევა, რასაც ვერ ვიტყვით საკონტროლო მონაკვეთზე არსებულ დაზიანებებზე - შეიმჩნევა ბადისებრი ბზარები, პატარ-პატარა ორმულები, ზედაპირის გაფხვიერება, ამოფხვნა, ამოცვენა, შესამჩნევია საბურავების დატვირთვებისაგან წარმოშობილი გრძივი ღრმულები, დაზიანებული მონაკვეთების მთლიანი ფართობი შეადგენს მთლიანად დაგებული საკონტროლო მონაკვეთის 15-20%-ს.

ძალიან კარგ შედეგს გვაძლევს ბირპ ნარევის გამოყენება სხმულ ა/ბ-ში. თავისი სტრუქტურის გამო შემკვრელი გამძლეა მაღალი ტექნოლოგიური ტემპერატურების მიმართ ( $230^{\circ}\text{C}$ -მდე). ამ ტექნოლოგიით დამუშავებული სხმული ასფალტბეტონები შეესაბამებიან ყველაზე მკაცრ ნორმატიულ მოთხოვნებს, მით უმეტეს, რომ ის მზადდება უმეტესად არაკონდიცირებულ ჩვეულებრივ საგზაო ბიტუმების საფუძველზე ტიპით БНД60/90 და БНД90/130. შესამჩნევია კარგი

შეჭიდულობა და შემკრავი თვისებები ძველ საფართან. უმეტეს შემთხვევებში საფარს არ სჭირდება წინა სარემონტო სამუშაოების შესრულება. ეს განსხვავებები ძალიან ამცირებს გზის რემონტის სარჯებს. ჩვენ თავიდან ვიცილებთ საფარის გასწორებას, დაფაქტების ფრეზირებას ძველ საფარზე და სხვა სამუშაოებს.

ბირპ ნარევის ტექნოლოგიით დამზადებული ა/ბ გამოიყენება I-III კატეგორიის გზებზე ზედა ფენის მოსაწყობად ყველა კლიმატურ სარტყელში. ამ მოდიფიკაციით დამზადებული ა/ბ შედგება ღორლის მკვრივი მთის ჯიშებისაგან, ბუნებრივი მთის ჯიშის მასალების დაფქვა დახარისხების დროს მიღებული ქვიშისაგან. გარეცხილ და სუფთა ქვიშაში მტკროვანი მინარევები არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს. ღორლის მტკროვანი ნარევის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2%-ს. მინერალური ფხვნილი უნდა აკმაყოფილებდეს 5,15 ГОСТ 9128-97-ის მოთხოვნილებებს. მინერალური ფხვნილი (ფილერი) წარმოადგენს პოლიდისპერსიულ მასალას. მის წილად მოდის ა/ბ-ის შემადგენლობაში შემავალი მასალების ჯამური ხვედრითი ზედაპირის ფართობის 90-95% და მნიშვნელოვან აღილს იკავებს ა/ბ-ის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. მინერალური ფხვნილის ძირითადი დანიშნულებაა მოცულობითი ბიტუმების აფსკურ მდგომარეობაში გადაყვანა, ასეთ მდგომარეობაში მატულობს ბიტუმის სიბლანტე და სიმტკიცე, ერთ მონოლითად კრავს მინერალურ ჩონჩხს. კარგი შედეგები აქვს კირქვებისაგან და ზოგიერთი წილისაგან მიღებულ მინერალურ ფხვნილს მაღალი ტემპერატურების მქონე რეგიონებში. ზაფხულის ცხელ პერიოდში ასეთ რეგიონებში ფენილის ტემპერატურა  $70-75^{\circ}\text{C}$  აღწევს, საფარის ზედაპირი ამ ტემპერატურას ინარჩუნებს 2სთ-ის განვალობაში. ა/ბ-ის სიმტკიცე აღნიშნულ ტემპერატურაზე 30-40%-ით ნაკლებია ვიდრე ფენილის  $50^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს. მინერალური ფხვნილის, ქვიშის და ღორლის დოზირებას დიდი ყურადღებით უნდა მივუდგეთ. უნდა განისაზღვროს მასალების ხარისხი და მათი ტექნოლოგიურ პირობებთან შესაბამისობა. მინერალური ჩონჩხის გრანულომეტრიული შემადგენლობის შერჩევა სიცარიელეთა მინიმუმის პრინციპით, ბიტუმის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრით. სწორედ შერჩეული ნარევის სიცარიელები უნდა იყოს მინიმუმი.. წინამდებარე

ფრაქციის მარცვლების ზომა მომდევნოს უნდა აღემატებოდეს 2-ჯერ, ხოლო მასა შეადგენდეს 0.7-0.9. მინერალური ფხვნილის რაოდენობა ნარევში უმნიშვნელოა, როცა ოპტიმალური მინერალური ფრაქციების მომდევნო მასა შეადგენს წინამდებარე ფრაქციის მასის 0.7. მაღალი საექსპლუატაციო თვისებები აქვს ჭარბდორდიან მცირე მინერალური ფხვნილის მქონე ნარევს.

### 3.10 წვრილდისპერსიული რეზინის ნამცეცებით ქიმიურად მოდიფიცირებული დაუანგული ბიტუმის ტექნოლოგიის უპირატესობა

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ტექნოლოგია, რომელიც გვაძლევს საშუალებას გავაუმჯობესოთ და მოდიფიცირება გავუკეთოთ უხარისხო დაუანგულ საგზაო ბიტუმებს, იაფი მოდიფიკატორების დახმარებით, ძირითადად ამორტიზირებული საბურავის რეზინით. ამის შედეგად ვიღებთ რეზინა-ბიტუმის ნარევს ბირპ-ს, რომელშიც რეზინა იკვრება ბიტუმის კომპონენტებთან მტკიცე მაგრამ საკმაოდ მოძრავი ქიმიური კვანძებით და ავლენენ თავის მაღალ ექსპლუატაციურ თვისებებს უკვე ახალ კომპოზიციურ მასალების შემადგენლობაში. არაერთჯერადმა გამოკვლევებმა გვიჩვენებს, რომ თავისი სანიტარულ ჰიგიენური თვისებებით ბირპ-ის ნარევის მასალები ბევრად სუფთაა ვიდრე ბიტუმის და რეზინის ცალცალკე. ეს კომპოზიცია ყველაზე მკაცრ ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

ტექნოლოგია განსხვავდება სხვა ცნობილ ტექნოლოგიებისაგან (ბიტუმების რეზინის ნამცეცებით, სინთეტიკური კაუჩუკით) იმით, რომ არ მოითხოვს სპეციალურ მოწყობილობას დიდი ძვრის ძალით ინტენსიური არევისათვის, გვაძლევს საშუალებას ელექტროენერგიის ეკონომიის მოდიფიცირების დამამთავრებელ ეტაპზე. იმიტომ, რომ პროცესი გრძელდება და მთავრდება შემკვრელის შენახვით. მოდიფიკაცია მიმდინარეობს სტანდარტულ გამაცხელებელ ბიტუმის შესანახ ავზში. რეზინის ნაწილაკების არევისათვის იყენებენ ჩვეულებრივ ბიტუმის ნასოსებს ან შეკუმშულ ჰაერს, რაც შეუძლებელია თერმოელასტოპლასტების შემთხვევაში. შემდგომი არევა არ

არის საჭირო. მოდიფიკაციის ქიმიური პროცესი მიმდინარეობს რეაქციული გაზების გამოყოფის გარემოში, რომელიც ითვისებს მთელი ნარევის მოცულობას. ეს საგრძნობლად აადვილებს ტექნოლოგიურ პროცესს და ზრდის მისი გამოყენების ეკონომიკურ ეფექტს. პერსონალის გადამზადება არაა საჭირო, რადგანაც ტექნოლოგია უბრალოა გამოყენებაში და მისი მეთოდები არ განსხვავდება ჩვეულებრივი ა/ბ-ის ქარხნის მეთოდებისაგან.

შემოთავაზებულია ბიტუმის კომპლექსური შემაერთებელი დანამატი AKZONOBEL Wetfix BE, Wetfix AD4F. ამ ადგეზიურ დანამატს გააჩნია კომბინირებული გავლენა მასალების შეჭიდულობაზე და მნიშვნელოვნად ანელებს კონსტრუქციის სიბერეს გზის ექსპლუატაციის პირობებში, აგრეთვე ზრდის ეკონომიკურ ეფექტს სხვა ადგეზიურ დანამატებთან შედარებით.

ბირპ-ის ნარევის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიყვანოთ ეს აქტივატორი დანამატი. ამ დანამატს რამოდენიმე უპირატესობა აქვს სხვა ანალოგებთან შედარებით:

1. ხარისხის სტაბილურობა 10 წლის განვალობაში;
2. დაბალი სიბლანტე, რომელიც გვაძლევს უფლებას დანამატის ადვილი დოზირების დამატებითი გახურების გარეშე;
3. უკეთესი წყალმედეგობა;
4. უკეთესი თბომედეგობა (არ იკარგება აქტიურობა ბიტუმში  $170^{\circ}\text{C}$ -ზე და მეტზეც);
5. ადვილად იხსნება ბიტუმში და არ რჩება მასში ფენებად;
6. კარგი არეალი ა/ბ-ის ნარევის შესაძლებელია მინი ენერგო ხარჯებით;
7. პატარა ხარჯი დანამატის რაოდენობის (უფრო ეფექტურია პატარა დოზით 0.15%-0.35%);
8. ნაკლებ ტოქსიკურია და აქვს სუსტი არამძაფრი სუნი.

ეს ტექნოლოგია მასალას მთელი ცხოვრების (ხანგძლივობის) პერიოდში აძლევს უფლებას შეიძინოს ის თვისებები როგორიც აქვს ბუნებრივ მასალას, თანაც უდიდესი სტაბილურობით. წვრილმარცვლობანი რეზინის ნამცველი არის სუბსტანტი, რომლის მეშვეობითაც

შესაძლებელი ხდება გინდაც ნაწილობრივ ამაღლება ბუნებრივი ნავთობის და ბიტუმის თვისებებისა. რეზინა თვითონ წარმოადგენს ელასტომერულ მასალას უნიკალური თვისებების კომპლექსით, მეორეს მხრივ წარმოადგენს ერთ-ერთ საბოლოო პროდუქტს ნავთობის და გაზის გადამუშავების, რომელიც ფართოდ გამოიყენება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. რეზინის წარმოების მასშტაბები ძალიან დიდია, ასევე უდიდესია მასშტაბები რეზინის ნარჩენების. აქედან გამომდინარე რეზინის ნარჩენები წარმოადგენს პრაქტიკულად უწყვეტ წყაროს ელასტომერულ ნედლეულში მისი თვისებების გასაუმჯობესებლად. განვითარებულ ქვეყნებში ეს ესმით და გადაწყვიტეს პრობლემატური და ეკოლოგიური საკითხი მისი უტილიზაციით. დაიწყო მისი ფართო გამოყენება საგზაო მშენებლობაში და სამშენებლო სფეროში. ძვირფას მოდიფიკატორების გამოყენებასთან შედარებით, როგორებიც არიან სინთეტიკური კაუჩუკები და ელასტომერული ტიპის შემკვრელები, რეზინის ნამცევები არის შედარებით ძალიან იაფი პროდუქტი, რაც აგრეთვე ახალ ტექნოლოგიას აძლევს ეკონომიკურობის მხრიდან უპირატესობას. მიღწეული ფიზიკო-მექანიკური თვისებები ბიტუმის შემკვრელებში, გერმეტიკებში და ემულსიებში, მასტიკებში გვაძლევს უფლებას პრაქტიკაში გამოვიყენოთ ყველა ცნობილ საგზაო და სამშენებლო კონსტრუქციებში ძალიან მაღალი დადებითი ეფექტით. მაღალი ადგზიური თვისებები და გამძლეობა მასალების სიბერის მიმართ უზრუნველყოფს ხანგძლივობას და საიმედოობას, ობიექტების ექსპლუატაციისას.

### 3.11 მოდიფიცირებული ა/ბ-ის მომზადება

ბიტუმის და რეზინის ფხვნილის შემკვრელი გაუმჯობესებულია თვისებებით, მცირდება პენეტრაცია, პირველადი ბიტუმები მარკით БНД90/130 გადადის БНД60/90 და БНД40/60 მარკის შემკვრელებში. საგრძნობლად უმჯობესდება ბიტუმის ნარევის ჩაჭიდულობა მინერალური მასალების ზედაპირთან. შესაძლებელია ვილაპარაკოთ ელასტიკურობის მაჩვენებელზე დაბალი ტემპერატურისას, რომელიც

პირველად ბიტუმებს საერთოდ არა აქვთ. ცხრილში მოყვანილია ბირჟ ნარევებისადმი დამატებითი ტექნიკური მოთხოვნილებები.

#### ბირჟ ნარევებისადმი დამატებითი ტექნიკური მოთხოვნილებები

ცხრილი 4

მაჩვენებლის დასახელება	მარკების ნომრები			გამოცდის მეთოდი
	БНД 90/130	БНД 60/90	БНД 40/60	
ნარევის დარღვევის დატვირთვის ციკლების რიცხვი არა ნაკლები	4 000			რეომეტრის ექსპლუატაციის სახელმძღვანელო Rotov sco RT20
სიბლანტე $50^{\circ}\text{C}$ ას.წმ არა ნაკლები	3.0X10 <sup>2</sup>	4.0X10 <sup>2</sup>	5.0X10 <sup>2</sup>	

ბირჟის ნარევის მომზადებისას გამოვიყენეთ საგზაო ბლანტ პირველად ბიტუმებს მარკით БН, БНД ГОСТ 22245-90 მოთხოვნებით და თხევად ბიტუმები მარკით МГდა ГОСТ 11955-82 მოთხოვნებით. დაწესებული იყოს ტექნიკური კონტროლი:

- სისტემატურად უნდა მოწმდებოდა შემკვრელის დამზადების ტემპერატურა;
- გაცხელების დრო;
- საწყისი მასალების დოზირება;
- მიღებული პროდუქციის სიბლანტე.

1. ბირჟის ნარევის მომზადებისას გამოვიყენეთ საერთო მოხმარების რეზინი, ამასთან ერთად გაცვეთილი საბურავების დაჭუცმაცებისაგან მიღებული რეზინის და სხვა რეზინა-ტექნიკური ნაკეთობებისგან მიღებული ფხვნილები, ფრაქციის ზომით 0.3-0.6მმ უნდა აკმაყოფილებდეს ТУ 38.108035-97 მოთხოვნებს ფხვნილის მარკით РД-0,5;
2. რეზინის ფხვნილი ნარევში განაწილებული უნდა იყოს ბიტუმის ზედაპირზე თანაბრად, არ უნდა რჩებოდეს ბიტუმით

გადაუკრელი ნაწილაკები, რეზინის ფხვნილის კოშტები და სხვა უცხო შენაერთებები.

ბიტუმ-რეზინის კომპოზიციური ნარევები მზადდება ასფალტ-ამრევებში იძულებითი არევის წესით. ამრევი დანადგარები უნდა აკმაყოფილებდნენ კომპონენტების დოზირების სიზუსტეს. შესაძლებელი ცდომილება დოზირების კომპონენტების ნარევის არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს თითეული კომპონენტების წონის მინერალურ ნაწილში და 1.5%-ს შემკვრელის წონის ნაწილში. მინერალური მასალების გახურების ტემპერატურაა  $200-230^{\circ}\text{C}$  ასეთივე მომზადების პერიოდში. რეზინის ნაწილაკები ნარევში გახურების შემდეგ ფუვდება 2მმ-მდე, პოლიმერულ მოლეკულური ჯგუფი დიდი ხნის განმვავლობაში ქიმიურად ადგეზიას უზრუნველყოფს. ასფალტ-ამრევის ნარევის არევის დრო დამოკიდებულია ამრევი დანადგარის ტექნიკურ მონაცემებზე და აზუსტებენ საცდელი არევის დროს. დამზადებული ნარევის გამოშვების ტემპერატურა მოცემულია ცხრილში.

ბიტუმ-რეზინის ნარევის გამოშვების ტემპერატურა

ცხრილი 5

ნარევის სახე	ტემპერატურა ნარევის $^{\circ}\text{C}$		
	ტემპერატურა ჰაერის $^{\circ}\text{C}$		
	+10 $^{\circ}\text{C}$ მაღლა	+10 $^{\circ}\text{C}$ -დან +5 $^{\circ}\text{C}$ -მდე	+5 $^{\circ}\text{C}$ -დან 0 $^{\circ}\text{C}$ -მდე
დასატკეპნი ნარევი	180-190	190-200	-
ღორლ. მასტ. ა/ბ	190-200	200-210	-
სხმული ტიპის ა/ბ ნარევი	200-210	210-220	220-230

დორდ-მასტიკიანი ა/ბეტონი ბირკის შემკვრელით გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

- აქვს დიდი მომსახურების ვადა საგზაო ბიტუმებზე დამზადებულ ა/ბეტონს (5-7-ჯერ მეტი საფარის დადლილობის და სიცოცხლის უნარიანობის);
- ГОСТ 31015-2002 მოთხოვნილობებზე გაუმჯობესებულია;

- შესაძლებელია გამოყენება თხელი ფენის დასაგებად სისქით 1.5-3სმ;
- ნარევი მზადდება სტანდარტული ა/ბეტონის ქარხნებში სტრუქტურული დამატებითი
- დანამატების გარეშე, როგორიც არის ცელულოზის ქსოვილი, ბოჭკო ან “Viatop”-ი;
- ნარევის ტემპერატურა დატკეპნის დასაწყისში უნდა იყოს არა ნაკლები  $180^{\circ}\text{C}$

**პირპ-ის შემკვრელზე დამზადებული დორდ-მასტიკოვანი ა/ბეტონის  
ნიმუშების გამოცდის შედეგები**

**ცხრილი 6**

მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის სიდიდე
წყალგაჟღენოვა, %	0.1-0.4
სიმტკიცის ზღვარი შეკუმშვაზე, მპა.	1.3-1.5
$50^{\circ}\text{C}$	3.0-3.5
$20^{\circ}\text{C}$	6.0-8.0
$0^{\circ}\text{C}$	
წყალგამდლეობა	0.95-0.98
საშუალო სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	4.5-5.0
შიმტკიცის ზღვარი გახლეჩვაზე $0^{\circ}\text{C}$ , მპა	4.5-5.0

ბირპ ნარევებზე შესაძლებელია დამზადდეს სხმული ასფალტბეტონი, რომელის გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა. ამ შემთხვევაში ნარევი ხასიათდება შემდეგი უირატესობით:

- ძალიან უბრალოა დასამზადებლად და დასაგებად მოძრავი თერმო-ბუნკერებიდან;
- ჩვეულებრივ დასატკეპნი ნარევების დონეზე აქვს უკეთესი სიმტკიცის და ძვრის თვისებები:

- განსხვავდება გამძლეობით დიდი ტემპერატურის დროს საბურავის კვალის წარმოქმნის წინააღმდეგ, მაღალი დრეკადობით დაბალ ტემპერატურაზე;
- გვაძლევს საშუალებას საფარის ადვილად დაპროფილების;
- გვაძლევს საშუალებას ქვედა ფენა მოვაწყოთ ფრეზირების გარეშე.

სხმული ა/ბეტონის თვისებები ბირჟ შემკვრელზე ხელით დაგებისას

ცხრილი 7

ნარევის გამძლეობა $200^{\circ}\text{C}$ შტამპის შეღწევის სიდრომე $50^{\circ}\text{C}$ მმ წყალგაურენოვა სიმტკიცე კუმშვაზე მპა $50^{\circ}\text{C}$ -ზე $0^{\circ}\text{C}$ -ზე საშუალო სიმტკიცე გ/სმ <sup>3</sup>	20-30 2-5 0 0.8-1.0 5.0-6.0 2.20-2.25
--	--

ტემპერატურა ნარევის დაგების დაწყებისას

ცხრილი 8

შემკვრელის მარკა ბირჟ	ტემპერატურა ნარევის დაგების დაწყებისას $^{\circ}\text{C}$	
	მკვრივი ა/ბ და ტიპის	მკვრივი ა/ბ ტიპის
БНД40/60; 60/90; 90/130; 130/200; 200/300	130-160	130-150

რეზინა-ასფალტის ნარევების ტრანსპორტირება დაგების ადგილამდე რეკომენდირებულია ტენდით გადაფარებული ავტოთვით-მცლელებით, რომელიც ძარას მთლიანად ფარავს, ყოველი ავტომობილი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სატრანსპორტო დოკუმენტაციით. ტრანსპორტირებისას როცა ტემპერატურა  $10^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკლებია თვით-მცლელი აღჭურვილი უნდა იყოს გამაცხელებლით. ნარევის ტრანსპორტირების ხანგძლივობა დამოკიდებულია დაგების ტემპე-

რატურაზე. სხმული ასფალტბეტონის ხელით დაგების დროს ტრანსპორტირდება თერმოს-ბუნკერებში იძულებითი არევის წესით. დაგროვების ბუნკერში შენახვის რეჟიმი და ნარევების ტრანსპორტირება დაკავშირებულია ნარევის დაბერებასთან, მაქსიმალურად დასაშვები დრო შენახვის და ტრანსპორტირების არის მომზადებული ნარევის ტემპერატურამდე რომელიც არ იქნება  $180^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკლები. ნარევების ტიპების დასაშვები შენახვის დრო მოცემულია ცხრილში:

ნარევების ტიპების დასაშვები შენახვის დრო

ცხრილი 9

დარჩენილი ფორმოვნობა ა/ბ-ის %	მაქსიმალური დასაშვები დრო შენახვის და ტრანსპორტირების ნარევის ტიპებისათვის, საათი			
	ღორღ.მასტ. ა/ბ	მკვრივი		
		ტიპიI	ტიპიII	ტიპიIII
1-დან 2.5-მდე	5.0	-	-	-
2.5-დან 3.5-მდე	-	4.0	3.5	2.0
3.5-დან 5.0-მდე	-	3.0	2.0	1.5

როდესაც საჭიროა ხანგრძლივი შენახვა რეზინა-ასფალტბეტონის ნარევის დამგროვებელ ბუნკერში ან აგრეთვე დიდ მანძილზე ტრანსპორტირებისას, ნარევების დაბერების სიჩქარის შემცირების მიზნით რეკომენდირებულია გამოვიყენოთ ნარევის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ მინიმალურ ნარჩენ ფორმოვნებას ა/ბეტონში. შენახვის მაქსიმალური დრო დგინდება ცდების გამოკვლევების მიხედვით. ძირითადი მოთხოვნებია ნარევის ტრანსპორტირების ოპერაციის შესრულების (დატვირთვა, გადატანა, გადმოტვირთვა). თვითმცლელის ძარა უნდა იყოს განთავისუფლებული უცხო მასალებისაგან და ნარევების ნარჩენებისაგან, მისი შიდა ზედაპირი აუცილებელია თხელი ფენით და სწორხაზოვნად დამუშავდეს სპეციალური მინარევებით. თვითმცლელი მიზანშეწონილია დაიტვირთოს ასფალტამრევ მოწყობილობიდან ან დამგროვებელი ბუნკერიდან რამდენიმე ოპერაციით. პირველი პორცია აუცილებელია დაიტვირთოს ძარის წინა

ნაწილში, თვითმცლელის წინ გადაადგილების შემდეგ მეორე პორციას ტვირთავენ ძარის ბოლოს უკანა ბორტის გვერდზე. დანარჩენი პორციები ნარევის იტვირთება ძარის შუაში. ეს ხერხი აძლევს ნარევს საშუალებას დიდი მარცვლების ნაკლებ მანძილზე გადაადგილების და ამასთანავე უწყობს ხელს სეგრეგაციის შემცირებას. ამინდის მდგომარეობიდან გამომდინარე ნარევი საჭიროა დაიფაროს სითბოიზოლირებული მასალით და ძარაზე უნდა ჰქონდეს დამონტაჟებული გამონაბოლქვი გაზებისაგან გახურების სისტემა. ამრევი მოწყობილობის ოპერატორმა არ უნდა გადატვირთოს თვითმცლელი პატარა პორციებით, რომ მიიყვანოს ნარევის მასა მის ნომინალურ ტვირთამწეობამდე. თვითმცლელი უნდა ჩერდებოდეს უშუალოდ ა/დამგების წინ და ახლოს. კონტაქტში ავტოთვითმცლელთან უნდა შედიოდეს ა/დამგები, თვითმცლელი არ უნდა ახდენდეს დაწნევას ა/დამგების მიმღებ ბუნკერზე. თვითმცლელის ძარა საჭიროა ცოტათი აიწიოს ნარევის გადმოტვირთვის მიზნით ა/ბ დამგების მიმღებ ბუნკერში.

ეროვნული სტანდატის დამუშავებამდე ბირპ-ის ნარევებისგან დამზადებული საფარები უნდა მოეწყოს СниП 30603-85 მოთხოვნილებების მიხედვით, ნარევის სპეციფიკიდან გამომდინარე საფარის ზედა ფენა ეწყობა მშრალ ამინდში. რეკომენდირებულია საფარის მოწყობა გაზაფხულზე და ზაფხულში არა ნაკლებ  $0^{\circ}\text{C}$ -ზე, შემოდგომაზე არა ნაკლებ  $10^{\circ}\text{C}$ -ზე. საფარები, რომლებიც შედგება თხელი ფენისაგან უნდა დაიგოს არა ნაკლებ  $10^{\circ}\text{C}$ -ზე.  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე დაბლა შესაძლებელია სხმული ასფალტობეტონის დაგება მხოლოდ ხელით დაგების წესით ორმულ რემონტებზე. მოდიფიცირებული ა/ბ-ის საფარები იგება ასფალტდამგებებით და იტკეპნება სატკეპნების ჯგუფით, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის საჭირო ტემპს. ტემპერატურა დასატკეპნი ნარევის დატკეპნის წინ უნდა იყოს არა ნაკლები  $140^{\circ}\text{C}$  თხელი ფენების  $160^{\circ}\text{C}$ .

ამ პროცესის დროს განსაკუთრებულად უნდა გამახვილდეს ყურადღება ნარევის დაგების ტემპერატურის კონტროლის მიზნით ე. ი. უნდა მიმდინარეობდეს ხშირი და მკაცრი კონტროლი ტემპერატურების, რომ ის არ დაეცეს ნორმატიულზე დაბლა.

საფარის დაგების ტემპერატურები

ცხრილი 10

შემკვრელის მარკა	БИТРЭК 60/90	БИТРЭК 90/130	БИТРЭК 130/200;200/300
ნარევის დაგების ტემპერატურა	150-160	145-155	140-150

**ბ0რპ** ტექნოლოგიით დამზადებული ა/ბ ნარევების გაშლისას საფარის სიმაღლე საპროექტო სიმაღლესთან შედარებით უნდა იყოს 10-15%-ით მეტი. პირველად ტკეპნიან გლუკზედაპირიანი სატკეპნებით (2-3 გავლა) ერთ კვალზე, შემდეგ თვითმავალი პნევმატიური სატკეპნებით, მასით 16ტ (4-5 გავლა), შესაძლებელია ჩართული ვიბრატორებით. საფარის ნარევის დასატკეპნად სატკეპნების ამორჩევის ბოლო ვარიანტი უნდა იყოს განხილული ამინდის და ნარევის ტემპერატურის მიხედვით. **ბ0რპ** ნარევის საფარების დატკეპნა პლასტიკურობის გამო უფრო ადვილი და იოლია ვიდრე ჩვეულებრივი ბიტუმებისაგან მომზადებული საფარების, ძვრები, ტალღები, ბზარები, გახლებები, ნარევის დაგების დროს არ წარმოიშობა, იმის და მიუხედავად სატკეპნების ვიბრატორი ჩართულია თუ არა. ნორმატიულთან შედარებით მცირდება სატკეპნების გავლის რაოდენობა ერთ კვალზე ნარევის დიდი ადგეზიის ხარჯზე. საფარს უმეტეს შემთხვევებში არ სჭირდება არსებული საფუძვლის და ნაწიბურების წინასწარი დაგრუნტვა.

ოპტიმალური ასფალტეტონის ნარევის ამორჩევის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან, ნარევი უნდა აკმაყოფილებდეს ГОСТ 9128-97 მოთხოვნებს. ძირითადი ოპტიმალური ნარევების შერჩევისას არის ის, რომ რეზინის ფხვნილის 5-10% რაოდენობით შეუვანისას მინერალური ფხვნილის შემადგენლობა ნარევში მნიშვნელოვნად მცირდება სტანდარტულთან შედარებით, საბოლოოდ მაინც კომპონენტების შემადგენლობა დგინდება ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე. ფიზიკურ-მექანიკური თვისებები უნდა აკმაყოფილებდეს ГОСТ 9128-97 მოთხოვნილებებს.

ოპტიმისტები ამბობენ, რომ ასფალტირებული გზის მომსახურების გადა პირველი რემონტის ჩატარებამდე დღევანდელ საქართველოში არის 5-7 წელი, პესიმისტები ამბობენ 3-5 წელია, ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, მაგრამ რეალურად ხდება ისე, რომ ახალი გზა დაგებიდან მეორე საუკეთესო შემთხვევაში მესამე წელს უკვე ინგრევა, შემდეგ ხდება მისი ხელმეორე ასფალტირება (რემონტი). აქ ვხდებით პრობლემების მთელ კომპლექსს: – ასფალტების და ბიტუმების დაბალი ხარისხი, ფიზიკურად დაბერებული ასფალტის წარმოება და ტექნოლოგიები. იმ შემთხვევაში თუ ასფალტში სწორედ შევიყვანთ რეზინის ფხვნილს, მაშინ რამდენიმეჯერ იზრდება საფარის ხანგძლივობა, საფარის და საბურავის ჩაჭიდების ძალა იზრდება 2-ჯერ, მცირდება ავტომობილის დამუხრუჭების მანძილი რაც მნიშვნელოვანია მოძრაობის უსაფრთხოებისათვის, მცირდება ხმაური, იზრდება წყალგაუმტარობა, დიდია პლასტიკურობა ე.ო. საფარი უპრობლემოდ მუშაობს დაბალ და მაღალ ტემპერატურებზე გარემოს ზემოქმედების დროს ციკლური დატვირთვების პირობებში, ვიბრაცია მცირდება, დარტყმების მიმართ მედეგობა, ძვრისადმი მიმართ წინააღმდეგობა, გზის დაბზარვის მიმართ წინააღმდეგობა იზრდება, ამის გარდა 1.5-2-ჯერ ნაკლები სისქე შეიძლება პქონდეს მოდიფიცირებულ საგზაო საფარს ტიპიურ საფარებთან შედარებით, რადგანაც ჩაჭიდულობის ძალა დიდია, ამიტომ არაა რეკომენდირებული დამატებითი ხარჯები საფარის ზედაპირული დამუშავების ჩატარების, რაც იძლევა დამატებით ეკონომიას. ამ ტექნოლოგიით დაგებული გზა ურემონტოდ ემსახურება გზით მოსარგებლებს მოძრაობის წესების დაცვის გათვალისწინებით 15-20 წელი. ამ ტექნოლოგიით გზის დაგება შეიძლება ნებისმიერ საფუძველზე, ასფალტობეტონის ნარევს აქვს მაღალი ჩაჭიდების უნარი ნებისმიერი სახის ზედაპირთან, მაგალითად აგურთან, ბეტონთან, ხრეშთან და სხვა. აგრეთვე ეკონომიურია, 1მ<sup>2</sup> საგზაო საფარში შედის არა უმეტეს 1-1.5 კგ. რეზინის ფხვნილი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ერთი საშუალო სიმძლავრის რეზინის გადამუშავების ქარხანა თბილისს და რუსთავს შორის, შემდგომში მეორე იგივე სიმძლავრის დასავლეთ საქართველოში ქ. ქუთაისთან, არსებულ საბურავებთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პრობლემებს

მთლიანად მოგვიხსნის, ხოლო რეზინის გადამუშავებით და შემდეგ ამ ნედლეულის გამოყენებით ანუ მთელი პროცესის ციკლის შეკვრით ჩვენ მივიღებთ ძალიან დიდ მოგებას.

მაგ. რუსეთის ფედერაციაში პირვენი ნარევის ტექნოლოგიის გამოყენებისას  $1\text{m}^2$ -ის გზის საფარის დირექტორი იზრდება არამნიშვნელოვნად 8-12%-ის ფარგლებში იმის და მიხედვით თუ რა ტიპის ასფალტის ნარევია დასამზადებელი. რადგან რეზინის ფხვნილის 0.3-0.5მმ ფრაქცია ადგილობრივ რუსულ ბაზარზე დირს ძვირი შედარებით ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ტექნოლოგისთან, ხოლო ბიტუმი მსოფლიო ბაზართან შედარებით იაფია, იმიტომ, რომ რუსეთში გზების შესაკეთებლად იყენებენ ადგილობრივი საბადოებიდან მოპოვებულ ბუნებრივ ბიტუმს.

საქართველოში კი ასეთი მდგომარეობა გვაქვს, რადგან ბიტუმის იმპორტს ვეწევით ბიტუმი შესაბამისად ძვირი გვიჯდება, ხოლო რეზინის ფხვნილი რუსეთთან შედარებით იაფი დაგვიჯდება (ჩვენს მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგიით), ვინაიდან რეზინის ფხვნილი ბიტუმის შემადგენელი ნაწილია და ბიტუმის ფასი რეზინის ფხვნილის ფასთან შედარებით ძვირია, ამიტომ ლოგიკური მსჯელობით  $1\text{m}^2$  გზის საფარის დირექტორი უფრო იაფდება ვიდრე დღეს ტიპიური ა/ბ-ის საფარის  $1\text{m}^2$ -ის თვითდირებულებაა, თუმცა ჩვენთან ყველაფერი დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე ბიტუმის მომწოდებლის ფასზე.

## 4. შედეგები და მათი განსჯა

### 4.1. შემკვრელი ბიტრეპ-ის გამოყენება სხმულ და დორლოვან მასტიკოვან ასფალტბეტონებში

საინტერესო შედეგებს იძლევა ბიტრეპ-ის მასალის გამოყენება შემკვრელის სახით მანქანური დაგების სხმული ასფალტბეტონებისათვის. შემუშავებული ასფალტბეტონის ნარევები შეესაბამება ყველაზე ხისტ ნორმატიულ მოთხოვნებს, თუმცადა მზადდება ჩვეულებრივი, ხშირად არაკონდიცირებადი, საგზაო ბიტუმების BNД 60/90 და 90/130 ტიპის საფუძველზე. შემკვრელის მაღალი ადჰეზიისა და სპეციფიკური ქიმიური და სტრუქტურული თვისებების ხარჯზე აღინიშნება დაგებული საფარების მახასიათებლების, დროთა განმავლობაში გაუმჯობესების ეფექტი. ჩვეულებრივი ბიტუმების საფუძველზე დამზადებული სხმული და ვიბროსხმული ასფალტბეტონებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად შემცირებულია ძვრის დეფორმაციები (ლიანდწარმოქმნა) საფარებში მათი ექსპლუატაციისას. ასეთ საფარებს ავტომობილის ბორბალთან ჩაჭიდების მაღალი კოეფიციენტი აქვთ, რაც იძლევა დამატებით ზედაპირულ დამუშავებაზე უარის თქმის საშუალებას. შეინიშნება კარგი ჩაჭიდება ძველ საფართან რაიმე დამატებითი დამუშავებისა და შეგრუნტვის გარეშე, რაც იძლევა გზების რემონტის ტექნიკური გამარტივების საშუალებას. ამის, და ასევე სხმული საფარის დაბალ ტემპერატურებზე მომატებული დეფორმაციულობის ხარჯზე არ შეინიშნება ძველი საფარების მიმდებარე მონაკვეთების მომდევნო გაბზარვა ექსპლუატაციის პროცესში.

სანგამმდეობის ჩვეულებრივ და მოდიფიცირებულ ბიტუმებზე დამზადებული ასფალტბეტონების დადლილობითი ჩატარებული შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საგზაო ასფალტბეტონის საფარების სანგამმდეობისა და ბზარმედეგობის გაზრდა შემკვრელი ბიტრეპ-ების გამოყენების შედეგად იძლევა საფარების სამსახურის ვადის როგორც მინიმუმ 3-ჯერ გახანგრძლივების შესაძლებლობას. სამსახურის ვადის ასეთი გაზრდა იძლევა სარემონტო სამუშაოებზე ხარჯების არსებითად შემცირების შესაძლებლობას, იძლევა სახსრებისა და მატერიალური რესურსების (იმავე ბიტუმისა და დორლის)

მნიშვნელოვან ექონომიას აუცილებელი სარემონტო სამუშაოების მოცულობათა შემცირების ხარჯზე.

ასფალტბეტონის შემაღგენლობის შერჩევისას ითვალისწინებდნენ საფარების ფინური სათათბირო კომისიის PANK-ის რეკომენდაციებს, ბიტუმ-რეზინის შემკვრელის თვისებების გამოკვლევათა შედეგებს, ორგანიზაცია-შემსრულებელების სარგებლობაში რეალურად არსებული საგზაო-სამშენებლო მასალების გამოცდების შედეგებს.

დაგება მიმდინარეობდა სტანდარტული ასფალტდამგებების მიერ ზედაპირის მომდევნო გაგლუვებით გლუვი ვალცების მქონე მსუბუქი სატკეპნის მიერ. ცალკეულ შემთხვევებში ბოლომდე გამკვრივებისათვის გამოიყენებოდა პნევმატური ვალცების მქონე სატკეპნი. ნარევის დამზადების ტემპერატურა უნდა იყოს  $210\text{--}220^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში, დატკეპნის ტემპერატურა არანაკლებ  $180^{\circ}\text{C}$ -ისა.

საფარების მოწყობის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სამანქანე დაგების სხმული ასფალტბეტონი შემკვრელი ბიტრეკის საფუძველზე წარმოადგენს პოტენციურად ძალიან დიდი რემონტოშორისი ვადის მქონე მასალას. ამ მასალაში ნულთან ახლო ფორმულობა (მაღალი წინააღმდეგობადობა ტექნოგენური და კლიმატური ზემოქმედებისადმი) შეხამებულია მაღალ სიმტკიცესთან  $50^{\circ}\text{C}$ -ზე (მაღალი წინააღმდეგობადობა პლასტიკური და ძვრის დეფორმაციებისადმი, მდგრადობა ლიანდწარმოქმნისადმი). აქვს ავტომობილის ბორბალთან ჩაჭიდების მაღალი კოეფიციენტი, რაც იძლევა დამატებით ზედაპირულ დამუშავებებზე უარის თქმის საშუალებას (ცხრ. 11). ეს მასალა დაღლილობაზე გამოცდების მიხედვით აჭარბებს (უკეთესია) პოლიმერულ-ბიტუმურ შემკვრელიზე დამზადებულ გამკრივებად ღორღოვან ასფალტბეტონებს და მნიშვნელოვნად ჯობს ჩვეულებრივ საგზაო ბიტუმზე დამზადებულ გამკრივებად ღორღოვან ასფალტბეტონებს.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ველოდოთ, რომ მაღალი სატრანსპორტო დატვირთვების პირობებში დაგებული საფარები რემონტში ფაქტიურ საჭიროებამდე 16 წელს და მეტს მოგვემსახურება. ასეთი ვადა ორზე უფრო მეტჯერ აღემატება ამჟამად ქალაქის გზებსა და ქუჩებში რემონტის საჭიროების წარმოშობის ნორმატიულ ვადას.

ხელით დაგების სხმულ ასფალტებს, შემკვრელი ბიტრეჟის მაღალი სტრუქტურირებადობის, სიბლანტის ტემპერატურაზე არაწრფივი დამოკიდებულების, მაღალი ადჰეზიური უნარის გამო ასევე რიგი საინტერესო თვისებები აქვთ. შესაძლებელია არასტანდარტული შემადგენლობის სხმული ნარევების შერჩევა, რომლებიც ძალზედ მარტივია დამზადებაში, მაგრამ გააჩნიათ სიმტკიცისა და ძვრის

რეზინა-ბიტუმის შემკვრელიზე დამზადებული სხმული ასფალტბეტონის  
თვისებები

ცხრილი 11

მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის მნიშვნელობა
წყალგაჯერება, %	0,0 – 0,1
სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, მკა, +50°C-ზე 0°C-ზე	1,2 – 1,5 8,0 – 9,0
წყალმედეგობა	1,0
საშუალო სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	2,39 – 2,40
შტამპის ჩაწევის სიღრმე +50°C-ზე მმ	0,3 – 0,8
ბორბალთან ჩაჭიდების კოეფიციენტი: - დაგებიდან 2 დღის შემდეგ - 4-5 კვირის შემდეგ	0,35 – 0,45 0,55 – 0,65

მახასიათებლები ჩვეულებრივი გამქვრივებლების დონეზე. გარდა ამისა, ასეთი ასფალტის საფარები გამოირჩევა მაღალ ტემპერატურებზე ლიანდაგწარმოქმნისადმი მდგრადობით, დაბალ ტემპერატურებზე მაღალი დეფორმაციულობით და აქვთ ავტომობილის ბორბალთან ჩაჭიდების მაღალი კოეფიციენტი დამატებითი ზედაპირული დამუშავების გარეშე. ნარევების თვისებები იძლევა პროფილირებული საფარების შესრულების საშუალებას.

მითითებული თვისებები იძლევა ნარევის ხელის ხერხით დაგების

საშუალებას მოძრავი თერმოს-ბუნკერიდან 210-230°C-ის ტემპერატურაზე, დაგებული ნარევის როგორც ქვედა ფენის გამოყენების შესაძლებლობას საგზაო საფარის ფრეზვის გარეშე მომდევნო რემონტებისას.

შემკვრელი ბიტრეპ-ზე ხელით დაგების სხმული  
ასფალტბეტონის მახასიათებლები

ცხრილი 12

ნარევის მდგრადობა 200°C-ზე (კონუსის დაჯდომა), მმ	20 - 30	
შტამპის ჩაწნევის სიღრმე 50°C-ზე, მმ	2 - 5	
წყალგაჭერება სტანდარტული გამკვრივებისას, %	0	
სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას, მკა, 50°C-ზე	0,7 - 1,0	
	0°C-ზე	5,0 - 6,0
საშუალო სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	2,20	

ჩვენს მიერ დაგებულ საცდელ მონაკვეთებზე ღორღოვან-სამასტიკე ასფალტის საფარი შემკვრელი ბიტრეპ-ის საფუძველზე. ასფალტბეტონი განკუთვნილი იყო 2,5-3,5 სმ თხელი ფენებით დაგებისათვის. ნარევის შემადგენლობა: 70% გრანიტის ღორღი (2,5-5მმ ფრაქციის), 20% ქვიშა, 10% მინერალური ფხვნილიდა 8% შემკვრელი ბიტრეპი.

კერნის გამოცდის გასაშუალოებული შედეგები მოყვანილია  
ცხრილში 13.

პერნის გამოცდის შედეგები

ცხრილი 13

მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის მნიშვნელობა
წყალგაჯერება, %	0,1 – 0,4
სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, მპა +50°C-ზე +20°C-ზე 0°C-ზე	1,2 – 1,5 3,0 – 3,5 6,0 – 8,0
წყალმედეგობა	0,95
საშუალო სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	2,35 – 2,36
სიმტკიცის ზღვარი გაგახლებაზე, მპა	4,5 – 5,0

ღორღსამასტიკე ასფალტბეტონს შემკვრელი ბიტრების საფუძველზე თავისი მახასიათებლებითა და დაღლილობაზე გამოცდის შედეგების მიხედვით (10-ჯერ უფრო მეტი დაღლილობითი ხანგა-მდლეობა) აქვს სამსახურის გაცილებით უფრო დიდი ვადის წინაპირობები, ვიდრე გრანიტის ანაცერზე საგზაო ბიტუმზე დამზადებული ქვიშის ასფალტბეტონები. პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაამტკიცა ასეთი აფალსტისგან ცვეთის თხელი (3,0 სმ-მდე) ფენების დაგების შესაძლებლობა. თავისი პარამეტრების მიხედვით დაგებული ღორღსამასტიკე ასფალტობეტონი აღემატება გОСТ31015-2002-ის მოთხოვნებს. ისეთი შემადგენლობის ღორღ-სამასტიკე ასფალტისათვის, როგორიცაა დაგებული, აშშ სპეციალისტთა უკანასკნელი გამოკვლე-ვების მონაცემთა მიხედვით, უნდა აღინიშნებოდეს მაქსიმალური მდგრადობა ლიანდაგწარმოქმნისადმი.

ასევე უნდა აღინიშნოს სირთულეების რიგი ახალი შემკვრელების გამოყენებისას და მათ საფუძველზე დამზადებული სხმული და ღორღ-სამასტიკე ასფალტბეტონების დაგებისას.

ბიტუმ-რეზინის შემკვრელი და მის საფუძველზე დამზადებული ასფალტბეტონის მითითიებული სახეები ტექნოლოგიური თვალსა-ზრისით ჩვეულებრივ ბიტუმებსა და გამკვრივებად ასფალტბეტონებზე ერთობ რთულია, საწარმოო პერსონალს ყოველთვის არ შეუძლია

მომზადების გარეშე შემკვრელისთან მუშაობა, რომელიც, ბიტუმისგან განსხვავებით, სხვა წესების მიხედვით იქცევა (ზოგადზე უფრო მაღალი ტემპერატურები, მეტი სიბლანტე).

შემკვრელი ბიტრეპ-ების შენახვა და გამოყენება მოითხოვს შემსრულებელ ორგანიზაციათა საბიტუმო მეურნეობების მოწყობილობის დაყვანას საშტატო ტექნიკური მოთხოვნებისადმი მათ სრულ შესაბამისობამდე და მათ გარევეულ დამატებით აღჭურვილობას, ასევე ასფალტბეტონის ქარხნების საწარმოო პერსონალის ხელახლა სწავლებას.

მითითებული სიძნელეები საკმაოდ ადგილად გადასალახვია ძირითადად საორგანიზაციო გადაწყვეტილებების ხარჯზე. ამისათვის თბილისის რომელიმე გარეუბანში უნდა შეიქმნას შემკვრელი ბიტრეპ-ის გამოშვების სპეციალიზირებული საწარმოო, სადაც დამზადდება და გამოიყენება ახალი ასფალტბეტონები.

#### 4.2. მოდიფიცირებული ბიტუმის გამოყენების ეკონომიკური გაანგარიშება

დანახარჯები ქარხნის მოწყობაზე

ცხრილი 14

მოდიფიცირებული ბიტუმის გამომშვები მობილური ქარხნის წარმადობა 10-13ტ/სთ მისი ღირებულებაა	400 000
სხვადასხვა მოწყობილობების საბაჟო გადასახადი	48 000
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯები	10 000
სამუშაოები ქარხნის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად	10 000
ქარხნის გაშვებამდე გაღებული ჯამური ხარჯები	468 000

პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები

ცხრილი 15

ბიტუმი საჭირო თვეში	$2\ 000 \times 450$	900 000
ამ მოცულობისთვის საჭირო რეზინის ფხვნილი (ტ)	$2\ 000 \times 0.15$	300
თვეში საჭირო რეზინის ღირებულება	$300 \times 200$	60 000
თვეში საჭირო ბიტუმს აკლდება მასში შესული რეზინის ფხვნილის, ქიმიური დანამატების ფასთაშორის სხვაობა	900 000 – 84 400	815 600
მოდიფიკატორი ქიმიური თვეში 40ტ, მეორე დანამატი 7ტ ღირებულება	$47 \times 200$	9 400
თვეში გაწეული ჯამური ხარჯი მძლოლი-ოპერატორის ხელფასი, ელექტროგია, საწვავი და სხვა	7 $000+815\ 600$	822 600

ჩადებული კაპიტალდაბანდების გამოსყიდვა

ცხრილი 16

თვეში წარმოებული პროდუქციის (ბიტუმის) ღირებულება	$2\ 000 \times 500$	1 000 000
ფასთასხვაობა	$1\ 000\ 000 - 822\ 600$	177 400
გადასახადები 62%	$177\ 400 \times 0.62$	109 988
გაყიდული ქარხნის პროდუქციის სუფთა მოგება	$177\ 400 - 109\ 988$	<u>67 412</u>
რენტაბელობა	$1\ 000\ 000/822\ 600$	122%
გამოსყიდვა	$468\ 000/67\ 412$	6.94 თვეში

#### 4.3 ბიტუმ-რეზინის კომპოზიციურ შემკვრელიზე დამზადებული ასფალტბეტონების გამოყენების არეალი

ჩვენს მიერ უკვე დაგროვილი გარკვეული სტატისტიკური მასალა აჩვენებს, რომ ბიტუმ-რეზინის კომპოზიციურ შემკვრელზე დამზადებული ასფალტბეტონების გამოყენება მოგვცემს არა მარტო ტრანსპორტის მაღალიხენტენსიური, ტვირთდაძაბული მოძრაობის მქონე გზების რემონტის საჭიროების გამოვლენამდე ფაქტიური ვადების გაზრდის, არამედ გაცვეთილი საავტომობილო სალტეების რეზინის ნაფხვენის სახით ეკოლოგიურად და ეკონომიურად სწორი უტილიზების შესაძლებლობას. საფარების სამსახურის ვადის გაზრდა იძლევა ბოლომდე არმიუგანილი რემონტების მოცულობის შემცირების, სარემონტო სამუშაოებზე საერთო ხარჯების შემცირების, ექსპლუატაციისას გზების შენახვაზე მატერიალური რესურსებისა და სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების საშუალებას.

ხარისხიანი და ხანმედეგი მასალების შექმნისათვის მნიშვნელოვანია დავადგინოთ ტექნიკური მახასიათებლების სიდიდეთა აუცილებელი და საკმარისი ზღვრები, მათი ექსპლუატაციის პირობებიდან გამომდინარე და მთავარია, მივიღოთ ეს მნიშვნელობები პრაქტიკაზე. კონკრეტული კონსტრუქციებისა და ობიექტების, მათი ქვევის თეორიული და პრაქტიკული მოდელირება იძლევა ასეთ შესაძლებლობას.

შემკვრელი და მაიზოლირებელი მასალები შეიძლება დაექვემდებაროს სეზონური ტემპერატურების ზემოქმედებას საშუალო  $-30^{\circ}\text{C}$ -დან  $+60^{\circ}\text{C}$ -მდე. ასეთ პირობებშივე ხდება მათი ექსპლუატაცია. კომპოზიციური მასალების ფიზიკომექანიკიდან დაგროვებული ცოდნა, გამოკვლევები საგზაო მშენებლობის მასალების დარგში, სამამულო და უცხოური სპეციალისტების გამოცდილება იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ საგზაო, სახიდე, სააეროდრომო, სანაკერე და პიდრომაიზოლირებელ კონსტრუქციებში მომუშავე მასალების საექსპლუატაციო ხანმედეგობა და ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია ისეთ განზოგადოებულ თვისებებზე, როგორიცაა:

- მასალის მთლიანობის დარღვევისადმი და რეალური დატვირთვების ზემოქმედების ქვეშ უცხო ზედაპირთან

კონტაქტის ადგილში ბზარების წარმოქმნისადმი წინააღმდეგობა ტემპერატურათა საექსპლუატაციო დიაპაზონში;

- ციკლური საექსპლუატაციო დატვირთვების მოქმედებისადმი წინააღმდეგობის უნარი;
- გარემოს ფაქტორების აგრესიული ზემოქმედებისადმი მდგრადობა ექსპლუატაციისას.
- ცხადია, რომ ასეთ მასალებში ხარისხობრივი კომპონენტების გამოყენებისას მათი თვისებები პირდაპირაა დამოკიდებული გამოყენებადი შემკვრელი მასალების შემდეგი მახასიათებლების ერთობლიობაზე;
- მათი დეფორმაციულობის ტემპერატურისგან დამოკიდებულებაზე, ან სხვა სიტყვებით რეოლოგიური თვისებების ტემპერატურულ დამოკიდებულებაზე;
- შემკვრელის დრეკადობაზე, რომლის საქმარისი სიდიდე დასაბუთებული უნდა იყოს კონკრეტული კონსტრუქციების გაანგარიშებებითა და გამოცდებით. არ უნდა იყოს მიღებული, პოლიმერული მოდიფიკატორების და მათი ბიტუმთან ნარევების თვისებებიდან გამომდინარე;
- ობიექტის კონსტრუქციის შემადგენელ მასალებისადმი შემკვრელის ადჰეზიაზე;
- შემკვრელის ქიმიურ შემადგენლობასა და სტრუქტურაზე, მის მდგრადობაზე დაძველებისადმი.

ობიექტებს, რომლებშიც შემკვრელი და მაჰერმეტიზირებელი მასალები ყველაზე მაღალი დეფორმაციების პირობებში მუშაობენ, წარმოადგენენ გზებისა და აეროდრომების, ხიდების ბეტონური ფილების ნაკერები და შეპირაპირები და ასევე ქალაქებში სავალ ნაწილზე გადამკვეთო სალიანდაგო ტრანსპორტის გზების გაწვრივ არსებული შემკვრივებები.

ექვემდებარება გარემოს პირობების ყველაზე ხისტ ზემოქმედებას სახურავების, საქალაქო მაგისტრალების საფარების ნაკერების, ბზარების მაჰერმეტიზირებელი მასალები.

სააეროდრომო ფილების ნაკერებში შემკვრელის შესაძლო დეფორ-

მაციების გამარტივებული გაანგარიშებაც კი აჩვენებს, რომ  $-30^{\circ}\text{C}$ -დან  $+60^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურულ ინტერვალში თერმული ძაბვის ხარჯზე მისი გაჭიმვის დეფორმაციის სიდიდე არ აღემატება 100%-ს. სააეროდრომო საფარის სწორად გათვლილი და აშენებული კონსტრუქციისას შემკვრელის დეფორმაციის სიდიდე 1,5-2-ჯერ ნაკლებია, ხოლო თვითმფრინავის შასის ბორბლით საფარის დატვირთვისას წარმოშობილი დეფორმაცია კი არსებითად დაბალია ამ სიდიდეზე. 2000 წელს შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დამტკიცებულ იქნა მეთოდური სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს ნორმატივებს ცხელი და ცივი გამოყენების იმ მაჟერმეტიზირებული მასალებისათვის, რომლებიც განცუთვნილია აეროდრომების ცემენტბეტონის და ასფალტბეტონის საფარების დეფორმაციული ნაკერების შესავსებად.

მასტიგებისა და მაიზოლირებელი მასალების თბომელებობა არ უნდა იყოს მაქსიმალურ საექსპლუატაციო ტემპერატურაზე ნაკლები ( $+65$ - $70^{\circ}\text{C}$ ). მეორეს მხრივ, დარბილების მაღალი ტემპერატურა ართულებს მათ გამოყენებას და იწვევს ენერგიის დაუსაბუთებლად მაღალ ხარჯვას.

საგზაო ბიტუმებსა და სხვა ერთგვაროვან შემკვრელებზე არსებულ ნორმატიულ დოკუმენტაციაში მათი რეოლოგიური თვისებების ტემპერატურული დამოკიდებულება აღინიშნება სიმყიფის ტემპერატურითა და დარბილების ტემპერატურით. გასაგებია, რომ რაც უფრო ნაკლებია სიმყიფის და მეტია დარბილების ტემპერატურა, ე.ი. რაც უფრო ფართოა პლასტიურობის ტემპერატურული ინტერვალი, შემკვრელი მით უფრო გამოსადეგარია.

ბლანტი ბიტუმის უნარი გაიწელოს 100 სმ და მეტი სიგრძის თხელ ძაფებად მხოლოდ მასალის ერთგვაროვნებას მოწმობს და სრულიად არაა რეალიზებული საფარების ექსპლუატაციის პირობებში. გულმოდგინე დაკვირვებისას ცხადი ხდება, რომ ასეთი მაჩვენებლების მიღწევა არ იძლევა რაიმე დადგებით ეფექტს გზების საფარების ხარისხში. ჭიმვადობის მაღალი სიდიდე  $25^{\circ}\text{C}$ -ზე, რომელიც ჩადებულია საგზაო ბიტუმში, იწვევს რეალური საფარების ძვრისადმი დაბალ მდგრადობას ნორმალურ ტემპერატურებზე. აქედან გასაგები ხდება  $25^{\circ}\text{C}$ -ზე შემკვრელის ჭიმვადობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის

უპერსპექტივობა, რაც ჩადებულია ბიტუმის სტანდარტებში. როგორც ჩანს, ნაწილობრივ ასევე ამ მიზეზის გამო ჭიმვადობის მაჩვენებელი 25°C-ზე გამორიცხული იქნა ბევრი ქვეყნის სტანდარტებიდან.

მეორეს მხრივ, უარყოფით ტემპერატურებზე ნავთობის ბიტუმების დეფორმაციულობის რეალური სიდიდე აშკარად არასაკმარისია და არსებით გაზრდას მოითხოვს.

ასფალტბეტონის საფარების ტემპერატურული დეფორმაციის პროცესში შემკვრელის ჭიმვადობის მინიმალურად აუცილებელი სიდიდე ფარდობითი წაგრძელების საზომი ნიმუშის სიგრძის ერთეულებზე გადაანგარიშებისას შეადგენს არანაკლებ 3 სმ 0°C-ზე და 8 სმ-ს 25°C-ზე.

საფარებსა და ნაკერებში წარმოშობილი ციკლური დეფორმაციების რელაქსაციის უზრუნველყოფა შემკვრელებისათვის დრეკა-დობის თვისების მინიჭებითაა შესაძლებელი. ამ ამოცანის გადაჭრას ხელს უწყობს ბიტუმებში ელასტომერების შეყვანა, რომელთა ტიპიურ, საქმაოდ ცნობილ და ყველაზე გავრცელებულ სახეს რეზინა წარმოადგენს. მისი ნაირსახეობების უმეტესობა გამინების დაბალი ტემპერატურით გამოირჩევა, კ.ი. თავის მაღალელასტიურ თვისებებს ძალზედ დაბალ ტემპერატურებამდე ინარჩუნებს. პოლიმერ-ბიტუმური შემკვრელების დრეკადობის სიდიდე ამ მასალებისთვის არსებულ სტანდარტებში ელასტიურობის მაჩვენებლით ხასიათდება. ეს მაჩვენებელი ისახავს მასალის უკურელაქსაციის დონეს (ხარისხი) გაჭიმვისას გაგლეჯის შემდეგ. გასაგებია, რომ ელასტიურობის დონე (ხარისხი) შემკვრელის და მისი სტრუქტურის ქიმიურ შედგენილობაზეა დამოკიდებული. ცნობილია, რომ მაღალი დამტვირთავი ციკლომედეგობის უზრუნველსაყოფად საკმარისია, რომ ამ პარამეტრის სიდიდე არანაკლებ 3-4-ჯერ აღემატებოდეს კონკრეტულ კონსტრუქციებში შემკვრელის შესაძლო საექსპლუატაციო დეფორმაციების სიდიდეებს. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ მაჰერმეტიზირებელმა მასალებმა უნდა შეინარჩუნონ ელასტიურობის მაღალი ხარისხი დაბალ ტემპერატურებზე, როდესაც რელაქსაციური პროცესები დამუხრუჭებულია. ამიტომ ელასტიურობის მაჩვენებლის ნორმირება პოლიმერულბიტუმური მასალებისათვის არსებულ სტანდარტებში მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში შემცირებულ ტემპერატურებზე

ხორციელდება. მაგალითად, ფინური ხორმები PANK 1502 სტანდარტის მიხედვით რეგლამენტირებენ კაუზუქ-ბიტუმის მასალის აუცილებელ ელასტიურობას 5°C ტემპერატურაზე 25-35%-ის დონეზე.

ამრიგად, ელასტიურობის მაჩვენებლის შეფასებითი მაჩვენებელი 0°C-ზე პრაქტიკულ შემთხვევათა უმეტესობაში არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები.

შემკვრელი მასალების, ჰერმეტიკებისა და მასტიკების ყველა დეფორმაციული მაჩვენებელი დამოკიდებულია მათ ბლანტ-დრეკად თვისებებზე, საკუთარ სიმტკიცესა და უცხო ზედაპირთან ჩაჭიდების ძალაზე, ე.ი. მათ ადჰეზიასა და კოჰეზიაზე. ადჰეზია განსაზღვრავს შემკვრელის უმნიშვნელოვანეს თვისებას-უნარს შეეწინააღმდეგოს გარე ზემოქმედებებს გარემოს მთლიანობის დარღვევის გარეშე სხვადასხვაგვარი მასალების შეპირაპირებზე. ჩვენი აზრით წარმოადგენს პარამეტრს, რომელიც განსაზღვრავს სამშენებლო კონსტრუქციების და გზების საფარის ხანმედეგობას. ადჰეზიური სიმტკიცე ბეტონთან და ასფალტბეტონთან, ხოლო ლიანდაგებისა და ლითონკონსტრუქციების ჰერმეტიზაციის შემთხვევაში კი ლითონთან კონტაქტისას უნდა იყოს შემკვრელი (შემაკავშირებელი) მასალის პირობით სიმტკიცეზე მეტი. გამოცდებისას ეს პარამეტრი მასალის გაგლუჯის ხასიათით განისაზღვრება, ის უკლებლივ კოჰეზიური უნდა იყოს.

სტანდარტული მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ საგზაო შემკვრელების ადჰეზიურ თვისებებს, რომლებსაც ქვიშასთან, მარმარილოსთან ან გრანიტთან ჩაჭიდება ეწოდება, არ ისახავენ ამ თვისების უმნიშვნელოვანეს როლს და არ იძლევიან ამ თვისებების გრადაციის საკმაოდ ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. აშკარაა, რომ ეს მათი გაზომვის ადექვატური მეთოდიკის არარსებობასთანაა დაკავშირებული. ასფალტბეტონის ГОСТ9128-97-ში არის სიდიდე, რომელიც იძლევა შემკვრელების ინტეგრალური ადჰეზიური თვისებების შედარებით სწორი დახასიათების შესაძლებლობას. ესაა ასფალტბეტონის წყალმედეგობა, რომელიც მათი ხარისხის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს. უმაღლესი ხარისხის ასფალტბეტონის ნარევების სტანდარტებში ჩადებული წყალმედეგობის სიდიდე შეადგენს 0,95-ს, რაც სამამულო ბიტუმების უმრავლესობისათვის საკმაოდ დიდი

სიდიდეა და პრაქტიკაში იშვიათად მიიღწევა.

აშკარაა, რომ რაც უფრო მეტია ეს სიდიდე, მით ხანძედებია ასფალტების საფარი, განსაკუთრებით მისი ტემპერატურის 0C-ის გარშემო რხევების პირობებში და დინამიკური ზემოქმედებებისას წყალგაჯერების პირობებში.

ამრიგად, იმ სტანდარტული მაჩვენებლებიდან, რომლებიც საქმარისად სრულად ახასიათებენ ბიტუმის შემკვრელი მასალების, ჰერმეტიკებისა და მასტიკების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს და იძლევიან სასარგებლო ინფორმაციას მათი ხარისხის შესახებ, რჩება გარბილებისა და სიმყიფის ტემპერატურები, ფარდობითი წაგრძელება 20 და +20°C-ზე და ელასტიურობა 0°C-ზე. თვით მაჟერმეტიზირებელი მასალების სიმტკიცითი მახასიათებლები ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ძირითადად არადატვირთულ კვანძებში მუშაობენ. მათი განსაზღვრა გაჭიმვაზე გამოცდების დროს ხდება.

სტანდარტიზირებულ მაჩვენებლებს, რომლებიც გარკვეულწილად ახასიათებენ შემკვრელი მასალის ქიმიურ შედგენილობას და სტრუქტურას, განსაზღვრავენ მის მდგრადობას გარემოს ფაქტორებისადმი წარმოადგენს ჩაჭიდება (ადჰეზია) და წყალშთანთქმა. პირველის ზრდა და მეორის შემცირება აუმჯობესებს ბიტუმის შემკვრელი მასალების, ჰერმეტიკებისა და მასტიკების თვისებებს.

შემკვრელი მასალების მაღალ ტემპერატურებზე დაჩქარებული დამველების სტანდარტული ტესტები ყოველთვის ვერ ისახავენ სწორედ მასალების, განსაკუთრებით შერეულისა და კომპოზიციურის, ნამდვილ თვისებებს და თავისებურებებს, ვინაიდან სრულიად არ ითვალისწინებენ მისი ქიმიური შედგენილობისა და სტრუქტურის ცვლილებას და ასევე ამ ცვლილების მიმართულებას.

ჩვენი სამეცნიერო-ტექნოლოგიური მუშაობა შემკვრელი მასალების, ჰერმეტიკებისა და მასტიკების შექმნის დარგში წვრილდისპერსული ნაფხვენით ნავთობის ბიტუმების ქიმიური მოდიფიცირების გზით სწორედ ზემოთ დასახელებული მახასიათებლების კომპლექსური გაუმჯობესების მიზნით ტარდებოდა.

## ზოგადი დასკვნები

1. ექსპერიმენტულად დადასტურებულია სატრანსპორტო და კლიმატური ზემოქმედებისადმი გაზრდილი მდგრადობის მქონე საგზაო ასფალტბეტონების მიღების შესაძლებლობა კომპლექსური კაუჩუკ-პოლიელეფინის მოდიფიკატორის (კპმ) გამოყენებით.
2. შემუშავებულია მოდიფიკატორის შემადგენლობა, რომელიც პოლიოლეფინებისა და ელასტომერების უპირატესობებს ითავსებს, რაც საშუალებას იძლევა ასფალტბეტონს ერთდროულად მიენიჭოს სიხისტე მაღალ საექსპლუატაციო ტემპერატურებზე და ელასტიურობა დაბალი ტემპერატურების არეში.
3. გამოკვლევებით დადასტურებულია შემკვრელში ელასტიური ასფალტენ-პოლიმერული ბადეების წარმოქმნის პიპოთეზა. გამოკვლეულია კაუჩუკ-პოლიოლეფინის მოდიფიკატორის შემცველი ბიტუმების თავისებურებები მცირე დეფორმაციებისა და დატვირთვების მრავალჯერადი მოდების პირობებში.
4. დადგენილია ასფალტბეტონის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე ბიტუმის, ღორღისა და მოდიფიკატორის შემადგენლობის ზემოქმედების კანონზომიერებები და მათი ვარირების ზღვრები. ასფალტბეტონის ნარევში ჩვენს მიერ შემუშავებული დანამატის შეყვანისას სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე  $50^{\circ}\text{C}$  ტემპერატურისას 40-50%-ით იზრდება, ხოლო  $0^{\circ}\text{C}$ -ზე 5-10%-ით. ამასთანავე, უმჯობესდება წყალმედეგობა და მცირდება ასფალტბეტონის წყალგაჯერება.
5. შესწავლილია მოდიფიკატორის გავლენა სხვადასხვა ტიპის ასფალტბეტონის ბზარმედეგობაზე. დადგენილია, რომ კომპლექსურად მოდიფიცირებულ ასფალტბეტონს დინამიური ღუნვისას სიმტკიცე 1,5-2-ჯერ იზრდება, ხოლო დაღლილობითი ხანმედეგობა – 1,5-ჯერ.
6. შესწავლილია ასფალტბეტონის სიბლანტის განსაზღვრის მეთოდი, ძერის დეფორმაციების დაგროვების სიჩქარის მახასიათებლისთვის,  $60^{\circ}\text{C}$ -ის ტემპერატურაზე, გვერდითი გაფართოების შეზღუდვის პირობებში. კომპლექსური მოდიფიკატორის შეყვანა

იძლევა დუნგისას ასფალტბეტონების სიმტკიცის 2-5-ჯერ გაზრდის შესაძლებლობას, მათი ტიპიდან გამომდინარე.

7. დადგენილია, რომ მიღებულ მოდიფიცირებულ ასფალტბეტონს აქვს მომატებული მედეგობა თერმოჟანგვითი ზემოქმედებისადმი.
8. წლიური ეკონომიკური ეფექტი, რომელიც მიიღწევა ჩვენს მიერ შემუშავებული მოდიფიცირებული ასფალტბეტონის ნარევების გამოყენებით, დანამატების არმქონე იმავე ნარევებთან შედარებით 4 სმ სისქის ფენისათვის შეადგინა 1.7 ლარი, საგზაო სამოსის ყოველ 1 მ<sup>2</sup>-ზე 2011 წლის ფასებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგლიძე ვ. საავტომობილო გზების მშენებლობის ტექნოლოგია. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 1991, 90 გვ.
2. გოგლიძე ვ., ბურდულაძე დ., დუნდუა მ. საავტომობილო გზების ექსპლუატაცია. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 1997, 87 გვ.
3. Яковлев Ю.М., Коганзон М.С., Горячев М.Г. Организация и технология строительства дорожных одежд. Москва: МАДИ, 2001, 65 ст.
4. Баринов Е.Н. Основы теории и технологии применения асфальтобетонов на вспененных битумах. Ленинград: ЛГУ, 1990, 175 ст.
5. <http://www.akzonobel.com/surface/system/images/AkzoNobel Asphalt TB Bitumen Emulsion tcm45-36500.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.11.2011.
6. Каменев С. Н. Строительство автомобильных дорог и аэродромов. Москва: ИнФолио, 2010, 384 ст.
7. <http://stroy-technics.ru/article/regeneratsiya-starogo-asfaltobetona>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.08.2011.
8. <http://www.gosthelp.ru/text/Regeneraciyaasfaltobetonn.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.11.2010.
9. ძიძიგური მ. საგზაო-სამჟებებლო მასალები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, 491 გვ.
10. <http://sg-24.ru/stabilizaciaregeneraciya>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.01.2012.
11. <http://www.techtransfer.berkeley.edu/pavementpres06downloads/metcalf.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 25.11.2011.
12. Васильев А. П., Ремонт и содержание автомобильных дорог. Москва: Транспорт, 1989, 287 ст.
13. მჭედლიშვილი ქ., ბურდულაძე ა., გელაშვილი თ., არჩვაძე გ. საავტომობილო გზები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, 164 გვ.
14. Бабков В. Ф. Автомобильные дороги. Москва: Транспорт, 1993, 302 ст.
15. Каменецкий Б. И., Кошкин И. Г. Автомобильные дороги. Москва: Транспорт, 1999, 175 ст.
16. Першин М.Н., Баринов Е.Н., Кореневский Г.В. Вспененные битумы. Москва: Транспорт, 1989, 80 ст.
17. Kim Y. Modeling of Asphalt Concrete. New-York: McGraw-Hill Professional, 2008, 460 p.
18. Croney P., Croney D. Desing and Performance of Road Pavements. New-York: McGraw-Hill Professional, 2008, 528 p.
19. ВСН 46-83 Инструкция по проектированию дорожных одежд нежесткого типа. Москва: Транспорт, 1985.
20. Корочкин А. В. Проектирование усиления дорожных одежд. Москва: МАДИ, 2007, 86 ст.

21. Федотова Г. А., Проектирование автомобильных дорог. Москва: Транспорт, 1989, 437 ст.
22. Сильянов В. В. Транспортно-эксплуатационные качества автомобильных дорог и городских улиц. Москва: кадемия, 2008, 352 ст.
23. Попов В. Г., Строительство автомобильных дорог. Москва: МАДИ, 2001, 185 ст.
24. ГОСТ 9128-97 Смеси асфальтобетонные дорожные, аэродромные и асфальтобетон. Технические условия. Москва: МНТКС, 1999.
25. Пособие по строительству покрытий и оснований автомобильных дорог и аэродромов из грунтов, укрепленных вяжущими материалами к СНиП 3.06.03.85 и СНиП 3.06.-88 / Союздорнии. - М., 1990. - 204 с.
26. Методические рекомендации по восстановлению асфальтобетонных покрытий и оснований автомобильных дорог способами холодной регенерации: метод, рекомендации / Росавтодор. - Офиц. изд. - Введ. с 27.06.2002. - М.: Информавтодор, 2002.-56 с: ил.
27. Соколов Ю.В. Проектирование состава дорожных асфальтобетонов (Обзор методов). - Омск: СибАДИ, 1994. - 64 с
28. технология: восстановление дорожного покрытия. Принципы и машины для применения: [Проспект фирмы Wirtgen]. - 1994. - № 49-10. RU 07/94. - 18 с
29. Холодный ресайклинг. Руководство по применению. - Wirtgen Gm BH и A.A. London & Partners, 1998. -158 с
30. La «Chaussec Renovee» de Colas, Un precede de retraitement de chaussee a froid //Revue generate des routes et des aerodromes. - 1987. - № 637. - P. 70
31. Соколов Ю.В. Расчет и оптимизация состава дорожного асфальтобетона (Метод СибАДИ). - Омск: СибАДИ, 1989. - 36 с
32. (NCAT Report 03-01, Potential of Using Stone Matrix Asphalt (SMA) for Thin Overlays, L.A.Cooley,Jr., E.R.Brown, April 2003).